ზვიად მეფარე

ცისხე-დედამიწა

შპს „გამომცემლობა ოდა“
ბათუმი - 2022

გამარჯობა. დიდხანს ვიყავი დაკარგული, ვიდრე ჩემი ლექსების მერვე წიგნს არ დაეხმარებოდნენ მზის სინათლის ხილვაში. მე ისევ მეფარე ვარ და ისევ ლექსებს ვწერ დედამიწაზე, ახლა იშვიათად, მაგრამ მაინც. და მაინც, ვისთვის რა არის დედამიწა? გალაქტიკის მცირე ნაწილაკი? პლანეტა? სახლი, თუ რეზერვაცია? სამოთხე, ჯოჯოხეთი, თუ მათი სინთეზი? დიდი ხანია ვფიქრობ, რომ ის დროებითი საპყრობილეა. იქნებ, ვინმესთვის სასტუმროც, მაგრამ ეს არსებითად ერთი და იგივეა. ვისთვის როგორ. და მიუხედავად იმისა, ვინ როგორ აღიქვამს ჩვენს პლანეტას, მე ღრმად მწამს, რომ ეს ის ადგილია, სადაც ჩვენ გამოსაცდელად მოგვიწვიეს, თუ ,,დაგვაკავეს" რათა საშუალება გვქონოდა, თვითონ გაგვეკეთებინა არჩევანი, თუ საით გადავწყვეტდით გამგზავრებას მისი დატოვების, საგამოცდო პერიოდის, თუ სასჯელის გასვლის შემდეგ. დაე, ურყევი ყოფილიყოს ჩვენი შეხვედრა!

პატივისცემით და სიყვარულით,

ზვიად მეფარე

ISBN 000000000000

პოეტის გზა 05.04.2017.

ლექსო, შენ ხარ სასუფევლის სისქე,
შენ ხარ პურიც და აღმძვრელიც მადის!
პოეტის გზა მუდამ მაღლა, ცისკენ,
ჩემი ქვეყნის ხალხის გულზე გადის.

შენ ხარ სულის ოქროყანა მწვანე,
შენ ამიყვან, შენ ამიყვან ცამდე!
თუ გსურს, შენთვის ჩემი ტანჯვა ბრძანე,
თუ გსურს, უძღებ სამარეში ჩამდე!

არ ვეკუთვნი ჩემს თავს, შენი ვარ და
სულ ვიქნები, ქვეყნად დავალ ვიდრე!
რადგან შენზე გული შემივარდა,
შენს მორევში სამუდამოდ მითრევ.

ხელები 25.06.2017.

გველნაკბენივით ხტიან მაჯები,
ვერ გავაღწიე სხეულის გარეთ.
გარშემო ისევ დაალაჯებენ
ყრუ ორფეხები და კივის მთვარე.

ჩანჩქერმა ღამეს ჭუჭყი ჩაბანა,
უკვე თენდება, დილა აღარსად
გარბის და მიწის მძიმე ჭაპანი
ემბრიონების ომმა დაგარსა.

დიდხანს ვირბინე ხან კალთებიან
მთებზე და ვძებნე ძვლები, ღრუები...
ხელები ისევ კანკალდებიან
და ჩემს სამარეს ვერ ვეცრუები!

ბაღი და გველი 13.06.2017.

ხშირად არ ვიცი, სად ვარ და რატომ,
არ ვიცი ჩემი ყოფნის მისია,
რისთვის გავდივარ უწყვეტ მარათონს,
ან ეს ქვეყანა ნეტავ, ვისია.

მგონია, მოკვდა ხალხში სირბილე,
ფეხს იდგამს ირგვლივ სიავე ყველა,
ვერ ვხვდები, რისთვის მიწევს სირბილი,
ან რატომ ველი მომავალს მცველად.

ვიცი, გამოლევს მიწაზე ვერცხლის
მარაგს და არ აქვს ბოლო წამებას,
ერთი მეტახტე მეორეს ვერ ცვლის;
აქ ხომ ტახტს ცეცხლი ესაბამება.

თვალების ფსკერზე უდროოდ ჩახმა
სუნთქვის სურვილი, ყოფის ნება და
ვერც ხელოვნურმა ანათა ჭაღმა
იქ, მზე არავის სადაც ებადა...

არ მსურს, ველოდო, ხვალ რა იქნება!
ყოველთვის მხოლოდ უარესს ველი!
იწრიტებიან მხოლოდ ჯიქნები
და ყრია ვერცხლი, მკვლელი და სველი!

ნაპრალი 31.07.2017.

ქვებით სავსეა მკერდის ნაპრალი...
ქვების ზიდვაში ვინ მეცილებით,
როცა ქვეყანა, ცრუ და საბრალო,
სავსეა სკამის იმბეცილებით?

შეჩერებული წამი 10.05.2017.

„იქით” ეწერა ნათელ აბრაზე,
მაგრამ წავედი თურმე, პირიქით,
ჩემი მეორე მე გავაბრაზე
უკუღმართული ფიქრის ლირიკით.

„დანა დააგდე დაბლა აბრაამ”
– მეც, როგორც იქნა ღმერთო, მომესმა!
ახალი დადგა გზაზე აბრა ამ
გამოცდით სულმა, უდემონესმა.

ბევრი არ ვიცი მონაზონი და
ბერი, რომელიც ატარებს ნიღაბს,
მაგრამ ეს ნდობა მონაგონიდან
ფარისევლობას უფსკრულში მიყავს.

იქნებ, ცხოვრება მხოლოდ ჩამესმა
განწირულ გზაზე სიარულისას?
იქნებ, დამშხამა ხმამ, უშხამესმა,
მაგრამ სახე მაქვს მხიარულისა?

არასდროს მინდა, ვიყო პირველი,
მაგრამ სული არც ნგრევას აზიდავს,
სულ მინდა, ვიყო თავის მწირველი,
ვიდრე აზიდავს მაღლა ვაზი თავს!

აღარ მჭირდება მე თეორია
არაფრის... მინდა მხოლოდ ქმედება,
ვიღლები; რაც კი მეტეორია
ამქვეყნად, ყველა მე მეფეთება.

თავო, შენდობას ელჩად ნუ ელი,
მართლისმეტყველი თუ ვერ იქნები!
შეჩერებული წამი: დუელი,
სისხლი, სიკვდილი და... ჭორიკნები.

კვიპაროსი 21.04.2017.

(სალომეს)

შენ ისე წუხარ, ისე განიცდი
გარესამყაროს კავშირებს ბნელთან...

(თეთრ როიალთან ზის პიანისტი
და მწვანე თითებს ეცემათ ელდა)

შენ ისე ღელავ, ისე ინთები
უცნობი ალით, როცა სხვას შია,
რომ ხედავ, ღმერთის ლაბირინთები
ყველაში – მტერში და მოყვასშია.

მტერი ეს ისე, ღმერთმა გვიფაროს,

შენ მათ არ იცნობ, შენ მათ არ ელი...
დგახარ, უყურებ ეულ კვიპაროსს,
ასე ფაქიზი და საყვარელი.

გზები 13.02.2017.

გზები ქშინავენ, როგორც ხარები,
ველს აწითლებენ ირგვლივ ტიტები,
მე მივქრი სადღაც და ნეტარებით
აღმართზე ლოდებს მივეზიდები.

რა ფერადია ჩემი მამული,
თითქოს ნაყოფში ღვივის მწიფეში,
მაგრამ იქ მიდის გზა მეწამული,
გზა პრომეთესი, გზა სიზიფესი.

ყველას არ ძალუძს ამ გზის გაგნება,
ყველა ვერ ზიდავს ამ ჯვრის სიმძიმეს,

მაგრამ გზა სადაც მიიკლაკნება,
სწორედ იქ ვაგნებთ შუქს მოციმციმეს.

სათოფურები 30.01.2017.

ამოსვლა მინდა შავი ორმოდან,
ფეხქვეშ მენგრევა საფეხურები,
ტალახით უნდა დავიშტორმო და
ცარიელ საფლავს დავეხურები.

ცარიელია ჩემი ნოტები,
მათ ხომ არასდროს არავინ ავსებს,
ვერც გულგრილობას ვედესპოტები
და მხოლოდ დრო თუ გამაცლის ხავსებს.

დილა აკერებს მწვანე მაქმანებს
ქალაქს და კვდება სიბრაზე მწარედ,
სათოფურები, ამოდ დაგმანე,
კენჭსაც არ გესვრი, გამოდი გარეთ!

მასის ხმა 23.01.2017.

უარესობა მაშინვე მოდის,
თავს დაიყრუებს როცა მასის ხმა.
იშვიათდება სიფხიზლე ლოთის,
რომელიც შესვა თრობამ და ზიზღმა.

სულ ელანდებათ ეკლიან ჯოხთა
მქნეველებს მწვანე დასტების კერა,
გაუცხოება მათ შორის მოხდა,
ვისაც სიმდიდრის გაყოფის ჯერა;

არ გაიყოფა ნაგლეჯი კვართის,
ყველას ერგება, როგორც იმედი,
მუდამ ვიყავით, ვიქნებით, ვართ ის
ხალხი, ცოდვების სიმუდმივეთი!

ნისლის ჯადოში 14.01.2016.

მოვმართავ ხოლმე როცა გათოშილ
თითებს საწერად, მაშინვე მოდის
აზრი, ნადები ნისლის ჯადოში,
თითქოს სიცილი ჩამესმის ლოთის.

ვხედავ მდინარეს, რომელიც ნოტებს
გავს და ზღვას ვხედავ, მოტალღულს კართან,
მარტოობისას მუზა რომ გოდებს,
სხვას ვერაფერს ვგრძნობ, ტკივილის გარდა.

ბავშვის ტირილს გავს მუზის გოდება,
გაუგებარი ტანჯვა მაწუხებს
და ლექსს, რომელიც ბრმად მელოდება,
დადუმებული ვესვრი პასუხებს.

თითების გვირგვინი 19.11.2014.
(სალომეს)

გარეთ გავედი მზიან ამინდში,
ცამ მომაგება სიგრილე, რუხმა,
მე თითქოს ვხედავ, გხატავს და ვინჩი
და ჯადოქრობა გეღვრება უხვად.

მე არ გწერ ლექსში, იგი შენია,
უკვდავებაში ლექსს რომ შეიტან
და ყვავილების თეთრი გენია
მოვა რძისფერი ორქიდეიდან.

ჩემს სიბნელეში მზის შუქად წვეთავ,
უერთმანეთო სამყარო გვიკვირს...
როცა მოიწყენ ყველაზე მეტად,
ჩემი თითების დაგადგამ გვირგვინს.

იდილია 10.03.2014.
(სალომეს)

მინდა, ვარსკვლავებს ვგავდეთ, ცისტოლებს,
თავზე გვეფაროს მთვარის მშვილდები,
საფეთქელიდან ვიღებ პისტოლეტს
და ვეძებ სარკეს, რადგან ვმშვიდდები.

შემომუსიკდეს წყაროს რაკრაკი
თავში და სულში, სახლში და გარეთ,
ვარ სიყვარულის ჩუმი აბრაგი,
ალიონს ვპარავ ნაღამარ მთვარეს.

ჩვეულებრივად ავდექი დილით,
ჩვეულებრივად დავწვები გვიან,
რადგან შენი ცა მეფინა, თბილი
და რადგან ჩემი მეუღლე გქვია. 9

მე თუ კარგი ვარ – კარგი ხარ რადგან
და ბოლო ღრუბლის ბოლო ხავსამდე
მთის ბილიკებზე გავუშვებ ბატკანს,
ოღონდ, გავსამდეთ...

გამოგონილი ტაძარი 22.09.2017.

მთები ისე ჩანს ბოლოში სივრცის,
თითქოს ჩაუცვამს ღამეს შორტები,
ბერს ბნელი ისე ჩაუდევს სკივრში,
რომ ვეღარ ვწვდები და ბნელს ვშორდები.

რაზე ჭორაობს ზოგი... ჭორი კი
სიმართლეს ვერ ცვლის, რჩება, რაც არის!
ჩვენ ვართ უბრალოდ, მსხვერპლი, მორიგი
გამოგონილი, შავი ტაძარის!

შენ დაბრუნდები 28.02.2006.

წარსული, ზარი, მზე-თეორია.
ბართლომეს ღამე გამიქრე შენ და
შენი არსების მეტეორია
ის, რაც ცხოვრებას სინათლეს ფენდა.

მაშინ, ტკივილის ღამის ადრესატს
ვერ განუგეშე, ვეღარ გითხარი
ვეღარაფერი და უაღრესად
დავრჩი ყრუ-მუნჯი და საზიზღარი.

მას შემდეგ შენ გგავს მარტო დღე ცივი,
მარტი და მარტო!... ეს სინონიმი
დამათრევს აქეთ-იქით მხეცივით

და სულ მაგიჟებს მისი რონინი.

შენ დაბრუნდები მშვენიერ ერთ დღეს,
გაქრება ლანდთან დუელი ღამის,
გავინაწილებთ მონარქის კვერთხებს
და სარეცლიდან აღვდგები გვამი.

შვიდი სურათი 24.06.2012.

(სალომეს)

შვიდი სურათი ამშვენებს თაროს,
ის ჩვენს ამბებს და ცოლ-ქმრობას სახავს,
უნდა, გულიდან ბნელი მომპაროს,
ლაღად მპირდება ცხოვრებას, ახალს.

მინდა, რომ მუდამ გვერდით მენებო,
ჩემი სიცოცხლის უშრეტო წყაროვ,

აღარ განელდნენ ცეცხლის ენები
და შვიდას სურათს იტევდეს თარო.

ტაძარში დგახარ

28.02.2006.

ხელში სანთლებით ტაძარში დგახარ,
გინდა, თვალებში შეხედო ხატებს,
როდესაც შენში გაისმის აღარ
ლოცვა და სულსაც ბურუსი ადევს.

სულ ფითრდებიან რუხი წამები
და იმსხვრევიან სატანის რქები,
უსასრულოა შენი წამება,
სადაც სიმართლის გვერდით იდგები.

გულის კრატერი იტევს განასროლ
ლავას და მუდამ ხალხში იდება,
ისევ იღიმი, გულში დანას რომ
ჩაგცემენ შავი გუბის გიდები.

შეხვალ ტაძარში, ხელში სანთელი
გიჭირავს ფარად და გულში მღერი
მანამდე, ვიდრე დროის ფანტელით
გაგირძისფრდება თმის ბოლო ღერი.

თეთრი ვარდები, რომელიც დროში
მოგზაურობენ, რჩებიან თეთრად,
მათ გარდა, ყოველს ედება გროში
და გენატრება მათთან შეხვედრა.

***

14.12.2017.

გავურბი ყოველს, ადამიანს რაც ტვინს ულაყებს,
ჩხუბს ვერიდები, გაქანებულს, როგორც ულაყებს,
მაგრამ სულ ვეძებ დამლაგებელს, რომელიც ჩემს თავს
გულს დაუმშვიდებს და ქაოტურ სულს დაულაგებს.

მახსოვს შენი ხმა 26.02.2006.

მახსოვს შენი ხმა – მღვიმის დემონი
და ჭრილობებზე ლურსმნების თქეში,
შენ, ნი, ელენე და დეზდემონა,
როგორც სულებით უძღებთა სქესი.

ახსოვთ მთრთოლვარე ხმები მომენტებს,
როგორ უსმენდა ჯალო ნიავებს,
მოახლოვდი და აღარ მომენდე
მღვრიე ტალღებით ნალოლიავებს.

შენს ღილებზე ღამითა დაღლა,
ცაში ვარსკვლავთა დენა, ქაოსი,
ევა, ადარი, ბურუსი – ახლა
მკვიდრები შენი სასაფლაოსი.

მე დღისაც მახსოვს წკრიალი ხმათა
და მელოდიის სწრაფი დინება...
როდისაც შენგან წავედი, რათა
ისე გეცხოვრა, როგორც ინებე.

მსუბუქი მიწის მოლოდინი 24.09.2017.

როდის დაივლი ჩემს ძვლებს, ქარ-მეხო,
მსუბუქ მიწაში როდის ჩამიტან?
მე მოსვენება ისევ არ მეყო,
მოწოდებული სველი ღამიდან.

ან ჯანმრთელ სხეულს შევირგებ რაში,
სუნთქვა გრძნობებით როცა სნეულობს?
თითქოს, კოცონში მიაფრენს რაში
სულს, უგზო-უკვლოს და უსხეულოს.

ფიქრები შენზე 23.02.2006.

სულ შეიშალნენ შენზე ფიქრები
(ზამთრის ცივი დღე შენზე თბილია)
შენ მუდამ იქ ხარ, აღარ მიქრები,
იქ, სადაც ტკივილს დაუთრთვილია.

იდგა იანვრის საღამო ცივი,
იქ, დასასრულის საშინელ წუთებს
ახლაც ამშვენებს სიკვდილის მძივი
და მარტოობა გულში იხუტებს.

დაბრუნდი! და კვლავ თვალებზე ნისლი
ამეკრას დაე შენი ისრისა,
ახლაც უღრუბლო სივრცეებს ვიშლი
და გაუხელელ თვალებს ვისრისავ.

ცივი წნელები 19.02.2006.

ზამთრის ქარიშხლის ცივი წნელები
გადმოიქნიეს ხელებმა ქართა,
მე არაფერი არ მეძნელება
მათი წივილის მოსმენის გარდა.

აფთრის ხარხარი წარსულში დარჩა,
მაგრამ მომავლის ხიდზე ლანდები
ჩანან და თქვლეფენ ბავშვობის მარჯანს,
რომელიც იწვის და იშანთება.

მე დავხატავდი ღიმილს ღარიბთა
და მარტოობას აღარ ვეცდები...
მაგრამ დაქრიან სცილა, ქარიბდა
და დაცურავენ ირგვლივ ნეშტები.

ქალი 06.02.2006.

მე დღეს ავად ვარ... მრავალი წლის წინ
ღმერთმა წამართვა ძვალი ფერდიდან,
ქალი ატარებს ახლა უფლის წილ
ჩემს მეორე მეს, არ ვარ ერთი და

მაინც ავად ვარ... ხშირად დავკარგე
ხოლმე იმ ძვალზე უფრო მძიმე რამ,
მაინც ის არის ჩემი ავკარგი,
რაც სიყვარულის მომცა ქიმერამ.

რატომ აჩნია უქრობად ფოლად
მკერდს განდეგილის შავი ბინდები?
მე მარტოობა შევირთე ცოლად

და არასოდეს განვქორწინდები.

სისველე 07.03.2017.

კედლებზე მოჩანს რაღაც სისველე,
სახლიც ატირდა მარტის ცასავით.
შველა მჭირდება, ღმერთო, მიშველე,
ჩემში კვლავ იბრძვის ორი ფერის ძველი ნაზავი.

დიდის იერი მთასაც უქრება,
თუ გოლიათი ახლოდან არ ჩანს,
მინდა სიმშვიდით დასაჩუქრება,
კლდეს ვეხეთქები, ვნატრობ უცხო სიმშვიდის მარჯანს.

შიშველი ხე ვარ თითქოს, ლოდი ვარ,
მიტოვებული საფლავის ქვა ვარ...
ყოფნა არ მყოფნის ყოფნის მოტივად
და თეთრი მტრედიც მეჩვენება მსახიობ ყვავად.

თეთრი ღამეები 25.01.2006.

იანვრის ცივ დღეს შენი არია
მწველ ზმანებაში მესმის უცები
და ამ ბურუსში ერთად არიან
ცეცხლის პოეტი, ცივი ქუჩები.
ისევ ვიგრძენი, როგორ ჩაისმა
ამ სულში შენი სურვილის ექო,
მეც ჩამითრია შენმა დაისმა,
რომ ჩემთვის გლოვის ზარები ვრეკო.
მარტოობაში ვწერდი ბარათებს,
ეფარებოდნენ სივრცეს ფარდები,
მაგრამ იმედი სულს ამარადებს
და საკუთარი ნებით ვბარდები
იმ საიდუმლო წამების წამებს,
ვეღარ გავურბი რომლებსაც, ისევ,
არცერთი ღამე აღარ მიღამებს,
არც სიყვარული ყოფილა მტკიცე...
რა ბობოქარი ქარები ქრიან,
როგორც ცეცხლივით ქალის ბუნება,
მათი ტანდემი მფერფლავს და მტვრიან
აჩრდილს სიჩუმით მესალბუნება.
მე იმედი მაქვს; მარად იქნება
ამ ვულკანური შადრევნის სროლა,
მოგვიყვებიან თოვლის თიკნები,
როგორ დაიმსხვრა ცხოვრების ბროლი.
საით მივყავდი ბედის გისოსებს
და უბედობამ რატომ იმატა,
გრიგალი რატომ ატრაგიკოსებს
რძისფერ ღაწვებზე დენას წვიმათა?
წაიღე შენი ფიცის სიელმე,
იგი ყოფილა ჩემი არც მაშინ,
როცა დაკეტილ კართან იელვე
მკვდარი პოეტის გულის ჯვარცმაში.

აპრილის ღამე 24.01.2006.

ფიქრთა კლავიშებს ჭინკა აწვალებს,
ტვინში დარბიან თითქოს, ციყვები,
სადღაც მითხრიან ბრმები საძვალეს
და გაუგებარ გამებს მივყვები.

მე ჩემს ორეულს ვუბამ საუბარს,
გარინდებული მისმენს იგი მე,
ის გონებაში წყვდიადს დაუბამს,
რათა სამარე მქონდეს იგივე,

რაც მას... დამაგდო სიბნელის ძალამ!
არ მინდა მისი სახის შტრიხები,
არ ვცნობ ბოროტი გენიის კალამს,
ის მაინც მებრძვის და იგრიხება.

გარეთ, გრიგალი იცემდა მჯიღებს,
დაბლა ეცემა ბარათი ორი
და განთიადის აჩრდილებს იღებ
შენ – სიყვარულის მარადიორი.

ახლაც ის ღამე მიყვება ზღაპარს,
რომელმაც ადრე ვნებით გამართო
და ჩაძირული ნავიდან ხაპავს
წყალს მებადური უმისამართო.

*** 10.12.2017.

არ გინდათ ჩემით აღტაცება, რადგან სულ მალე
იგი ქრება და სიტყვით ვრჩები მიღმა ცხოვრების...
ერთ დროს კაენიც, თავისი ძმის იყო მძულვარე
მაგრამ მის შვილებს არ აკლიათ ცის საძოვრები.

მოკალი ბნელი 12.01.2006.

მოკალი ბნელი! შავი არშია
უნდა გაწყვიტო, როგორც ძაფები,
შენი ცხოვრება ახლა ქარშია,
სადაც ეკლები არ იკაფება.

ადრე, როდესაც ბავშვი იყავი,
როგორ გჯეროდა შენი ოცნების...
ახლა ოცნების გახდი მრიყავი
აღარ გალობენ ბაღში ფრთოსნები.

აღარ გჯეროდეს შენი კოლაფსის
კეთილსახიან მტერს ენდო აღარ,
აღარ გჯეროდეს აპოკალიფსის
და აღდგომასაც სულ მალე ნახავ.

მოკვდეს სიბნელე! ბედიც თავშია,
მთელი სამყაროც თავში შევიდა,
უნდა გაწყვიტო შავი არშია
და ამოხვიდე მაღლა ხევიდან.

როცა გიყურებ 22.02.2013.

(სალომეს)

დილით შეგხედე თოვლით შენაფერს,
გეძებდი, შენთან მინდა მარადჟამს,
როცა გიყურებ, ვამბობ ვერაფერს
და მიხარია დგომა ჩვენი ცეცხლის დარაჯად.

მათრობს შენი ხმა, თბილი და სუსტი,
შენი ხელები, შენი ყელი და
გამოდარებას მე ისევ ვუცდი,
რომ ნაწვიმარზე დაიბადო ცისარტყელიდან.

მკრთალი განთიადი 14.02.2017.

შუაღამეს თაგვისფერი ედო,
სასთუმალზე ტრიალებდა ტანი.
მკრთალ განთიადს დაერქმევა კრედო,
როცა გავა უსახური ხანი.

აივსება გულგრილობის ორმო,
შენ კი, ზვიად, არ დარჩები მარტო.
მე ვარ შტორმი; მინდა, მიწა ვშტორმო,
რომ სხეულის სურვილები ვმართო.

თითქოს, ხორხში მკვლელი მახრა მიზის,
თითქოს, მადგას მავთულხლართის ღობე...
ვარ გამცემი ჯოჯოხეთის ვიზის,
 მათთვის, ვინც სულს ნამსხვრევებად ყოფენ!

თუმცა, ამას მეკითხება მე ვინ,
თავს მივხედო და ვიცხოვრო, თითქოს...
იქნებ, ამცდეს დაბლა ბნელი ხევი,
სადაც ცეცხლში ვერ ხედავენ დიდგორს.

ნანგრევებიდან 15.12.2005.

ძველი ქალაქის ნანგრევებს ფარავს
მრავლისმეტყველი სიჩუმის სტიგმა,
ქარის ხარხარი დაიდგამს კარავს
ყველა უსისხლო ადგილის მიღმა.

სადაც პაპების ძვლები აწყვია,
შუქს გაუფანტავს ბნელი ყოველი,
მე ვეხუტები მიწას, ნატყვიარს
და მოსვენებას აღარ მოველი.

ლურჯ-ყვითელი 04.05.2017.

ლურჯ-ყვითელი შუაღამის ჯადოს
ლოკავს მწყურვალ მორიელთა წვიმა,
უნდა, ბნელში ბასრი შიში ჩადოს.

ლურჯ-ყვითელი შუაღამის ჯადოს
უნდა, შლეგი შუქი მიწილადოს,
როცა ციდან ბორკილები ცვივა.

ლურჯ-ყვითელი შუაღამის ჯადოს
ლოკავს მწყურვალ მორიელთა წვიმა.

დერეფანი გაიარე გუნდო,
ორმოცი დღე გაწვალებდეს სპაზმი,
თეთრი იყოს ეს გზა, უბინდბუნდო.

დერეფანი გაიარე გუნდო,
ყველაფერი მოკვდეს, ყრუ და უნდო,
არ გტოვებდეს ანგელოზთა რაზმი.

დერეფანი გაიარე გუნდო,
ორმოცი დღე გაწვალებდეს სპაზმი.

თრობის რუ 02.06.2017.

უძილობა – გარდაქმნილი ქაოსი,
შავი სივრცე – შეთრეული ქალაში,
იგი მძარცვავს, როგორც ქართლოსს ჰაოსი,
იგი მათრობს, როგორც სმენას კალასი.

ძილო, ვიდრე უჯრედებში ჩახტები,
დამანახე შენი შავი კოლიე,
შენი იყოს კვერთხები და ტახტები,
ოღონდ, თრობის რუში ჩამიყოლიე!

ბავშვები 04.03.2017.

კონტრაბასი კვნესის. მაგიდაზე დევს
კალამი და ებრძვის ბოროტების დევს.

გემი მიდის ზღვაში, გემი მიდის შორს...
ვერ იშორებს უძვლო ენა ბინძურ ჭორს.

მეღრუბლება სახე, გავს ღრუბელი კრავს,
შევარდენი ცაში მძლავრ კამარას კრავს.

ნეტავ, თეთრ საქმეებს ვახარჯავდე ჯანს,
მინდა, სულ არ ვიყო ქვეყნად, რადგან, ჩანს,

გაყინული ბავშვი წიგნებს ცეცხლში წვავს...
ვერ აუდის როცა მოსავალი ხვავს.

შუქი არის ყველგან, შუქი მზის და ჯვრის,
ავ სიბნელეს ავ შიშს უმწეობა გვრის.

ვხედავ ბავშვებს მუდამ, მაგრამ ვიცი; არ
თამაშობენ, სადაც ვიყავი და ვარ.

უმისამართო 17.10.2017.

უმისამართო ვხდები, სკულპტურა ჟანგში დგას.
წიგნს ეფლითება ყდები, გააქვს ზუზუნი სკას.

კარი ტრიალებს სახლის, ზღაპარს ჰალსტუხი თხზავს.
შუბლს ნაძაღლარი მახლის, მე არ ვთანხმდები ზავს.

კერა ქცევია მაყლად, ვინც დედამიწას სვრის.
სიკვდილმა ვეღარ დაკლა მაცოცხლებელი ჯვრის.

უკან, წარსულთან 28.12.2005.

ჩემი დაბადების წამმა იცოდა,
რომ არსებობს დრო და მარადისობა,

არაფერი მდომებია მის გარდა,
ამეცდინა სასიკვდილო ნისკარტი.

ვინც ქართველებს გულს უკლავდა, ისინი,
ვისაც უყვარს მტრისთვის კუდის ქიცინი,

გაჩენამდე უკვე მკვდრები არიან,
გამოხედვაც, მათი, საზიზღარია.

ვინც ცდილობდა, ყოფილიყო ჯალათი,
ვინც იცხოვრა ხალხის ხათაბალათი,

ვინც ღალატის სიბინძურე ინება,
მას წალეკავს დავიწყების დინება.

ვინც ცხოვრების სიკეთეებს უგანა,
იპარება ვინც კარიდან, უკანა,

სიყვარულის შემოსვლისას, რაც არი,
ნაგავია მისი ნამოღვაწარი!

გუდამაყარი 28.08.2017.

გაფიცებ ხვალის გათენებას, მოვკვდები როცა,
მკერდზე მოკვდავი ყვავილები თუ დამაყარო,
თითქოს შენს სოფლებს, მთებს და ხევებს ღმერთმა აკოცა,
ისეთი მადლი მოდის შენგან, გუდამაყარო.
მოკვდავ ყვავილებს სხვა ხეობა თუ დამაყრიდა,
შენ კი გულივით ფეთქავ ჩემში და სულ ინთები...
მე უსაზღვრობას მპირდებიან გუდამაყრიდან
მთის ბილიკებზე გამავალი ლაბირინთები.

მედროშე ძმები 15.04.2017.

ხშირად ვიგონებ რიტმულ ნაბიჯებს,
რომელსაც დგამდნენ ჯვრები...
მე ყველაფერი რატომ მაგიჟებს,
ყველაფრით რატომ ვთვრები?

თუ გაამწვანებს ჩემი საქმე ველს,
უნდა გავჩერდე აღარ!
აღარ დავუნთებ ეშმაკს საკმეველს,
ვიფიქრებ ღმერთზე, მაღალ.

რა ბედნიერი არის ის დედა,
ვის სულსაც ვეღარ ხრავენ...
ვიგონებ: დროშა, ჯვარი, ქრისტე და
მედროშე ძმები, ცხრავე.

მომოსი 18.01.2006.

ბერძნული მითოსის თანახმად, არის
ასეთი ღმერთკაცი – მომოსი ქვია,
მფრქვეველი სარკაზმის, ბოღმის და შარის
ავყია, დაცინვის, კრიტიკის ტყვია.

ბინძური, გორობი, უზრდელი ღმერთი,
ნერვების ყასაბი, სიავის მამა,
ვინც მხოლოდ შუღლს უდგას თამამად გვერდით
და ვინც ოლიმპოზე მშვიდობა შხამა.

ღვარძლიან გზავნილებს ისვრის და ამით
იგი იკვებება ყველგან და მარად,
ხარობს და ხარხარებს ცოცხალი გვამი,
ისე, რომ შედეგი არასდროს კმარა.

ვეღარ დაიტია სამყაროს გესლი
(მასზე ლეგენდები ელავდნენ ასე)
უნდოდა მართალთა სიბრაზით შეშლა
შეუგუებელი ინტრიგის გზაზე.

და გასკდა მომოსი შუაზე მაშინ,
როცა მოთმინება ურჩ საზღვრებს გაცდა,
ჩაიხრჩო ნაღველში, ბნელში და ღრმაში,
სადაც მწუხარება ღრიალებს კაცთა.

ალის მმართველი

01.07.2017.

ვიცხოვრო ისე, თუნდაც ჩრდილში, ვიყო ალის, თუ
წყალის მმართველი (საკუთარი) და ვქმნიდე მარადს...
ვერც მე ვიცხოვრე ეპოქაში იდეალისტურ,
სულის ტკივილი დამდევდა ქარად.

ძირს მოსვენება! იგი უნდა მეფობდეს ვერსად!
ვემუდარები ხმაურს, მაგრამ ისიც მიცილებს,
ვერსად იქცევა მაჩანჩალა ბატკანი ვერძად,
არწივი არსად დასდევს წიწილებს.

მე ვეცეკვები ჩემს ნახევარს, ღვთისგან ნაბოძებს
და მახსენდება ის – ლილიტი. (კავშირი ქრება)
დრო მოვა, ჩემი ანარეკლი შუბლზე მაკოცებს,
რომ საზვერეში დაიწყოს კრება.

ეს ისე... ყოფა მსურს ისეთი, საქმე ისეთი,
რომელიც მომცემს განუსჯელის ადგილს და სახელს,
დღეს შერიგება ნაბიჯებით მოდის, მტკიცეთი
და ანგელოზი ლურჯ თვალებს ახელს.

ყვითელი ხაზების კერა 06.02.2017.

პირბასრი სხივები გეძებს ყვითელი ხაზების კერავ,
აკივლებ დაკლაკნილ გედებს და პირქუშ ბილიკებს სერავ.

სველ კედლებს შელოცვით იცავ, გიყვარს დედამიწა უცხო,
მდევარო, მკვლელო და ძიძავ, გსურს, სამაგიერო უზღო

ცხოვრების ეკლიან ჯაგებს, ნიღბად მარტოობა გირგებს...
პოეტი არასდროს აგებს, თუნდაც ზედ ჩეხავდნენ ჯირკებს.

სადაც ბრჭყვიალი ჭრის 30.01.2017.

24 სადღაც ბოროტი ხრავს კარიერისტის სულს,
ღმერთს მსხვერპლად წირავს კრავს, ვისაც სიცოცხლე
ძულს.

იქ ნიღბიანი დგას, სადაც ბრჭყვიალი ჭრის,
ძლივს შერჩენია სკას შუქი მბჟუტავი ბრის.

გულგრილად გვაძრობს ტყავს ჩვენი თვისტომი, ძმა...
მუდმივ მეგზურად გვყავს ჯაშუშის ბილწი ხმა.

ჩვენი გიდია ის, ვისაც ეწოდა ბრმა,
მეტად დიდ სკამზე ზის სულით ჯუჯა და ყრმა.

გვიან არ არის ჯერ, ავდგეთ და მომხდურ ჯარს
მოვაგებინოთ ვერ, სადაც ქვეყანა ყარს.

ძლიერნო სოფლის, შვით: შესვენება, თუ კვლა?
ვინც აგათრიათ, თვით ის ჩამოგათრევთ კვლავ.

ეს იყო მაშინ 03.12.2005.

ეს იყო მაშინ, ოთხი წლით ადრე
ათასწლეულის ბოლომდე, როცა
ვიღაც კვერცხებმა საცხოვრისში დადგომა მკადრეს
და წამიყვანეს იქ, სადაც დრომ სიგიჟე როშა.

ის დროა, როცა ჯარი გემია
(რომ იძირება, ის გემი სწორედ)
არავის სურდა, განეკურნა ეპიდემია
და მიარღვევდა მყიფე ჯებირს დინება მდორე.

ემატებოდნენ გემს აგურები,
რათა ტრიუმი შეევსოთ ასე,
„ჩაძირვისათვის საქართველოს ვემსახურები,“
ვთქვი და წავედი გაურკვეველ სამშობლოს გზაზე.

სამუდამო ბანგი 15.12.2017.

ერთ კაცს ვიცნობდი. მას ვერავინ უგებდა, მეტიც,
მასაც ესმოდა არავისი, ბატის ფრთის გარდა,
მან თავდახრილმა ააღწია ლურჯი ცის კართან,
რათა ემღერა გამყინავი სიმღერა გედის,
რომელმაც ამით საკუთარ თავს ჩაუნისკარტა.

იგი ხედავდა ვეღარაფერს წერის გარეშე,
მთელი მსოფლიო მას ებრძოდა სიცივით, მან კი
გადაიტანა არითმია და გულის მანკი,
უმწეო გლოვა, ხან მწოლარე, ხან მოთარეშე,
იგი დათანხმდა, სამუდამო შეესვა ბანგი.

ვუალები 01.12.2017.

ახლა სუსტი ხმით კვლავ ვეძახი დღეებს, ადრინდელს,
ახლა ზამთარი აიფარებს ნაცრის ვუალებს.
როგორც არწივი, მინდა, კლდეებს გადავაფრინდე,
რომლის გადაღმაც ჭირთათმენა ირიტუალებს.

შხეფებს ნირვანის რუხი ხევი ისროდა. წვიმდა.
დაკბილულ სიზმრებს ილუზია თავზე მაყრიდა.
მინდა, ვიპოვო სამყაროში იმდენი წმინდა,
რომ ყველაფერი გავიხსენო გუდამაყრიდან.

გლეხკაცის სამშობლო 17.06.2017.

ვხედავ: დაღმართში, უბოდიშოდ, როგორც არღუნი,
დათვისტორება ჩარბის ხევსური,
(რითმებთან ბრძოლა მე არ მსურდა, ღმერთმა მარგუნა
და მუსიკალურ ზღვაში შევცურე)გვერდით მწვერვალზე
უცინარი დამიხვდა თუში,
მითხრა: „მეწვიე სახლში, წამოდი,”
ჩვენ გადავლახეთ ქარაფები, მკაცრი და ქუში
და დიდხანს ვსვამდით იმ საღამოთი.
დიდხანს სხვა კუთხის სანახავად აღარ ვიარე,
რადგან სულ ახლოს მელოდა ფშავი,
ვნახე სოფლები, სულ დაცლილი და მგლოვიარე,
სადაც მეფობდა აურა შავი...
დავღონდი... მაგრამ დამიძახა ბარში ვენახმა
მღეროდნენ ვრცელი ზვრები კახეთის,
მთების ლულებში ექოებად დაიტენა ხმა
და ვენახებში მაშინ ვნახეთ ის,
რისთვისაც ღირდა საქართველოს აქ ყოფნა, ღირდა,
სადაც ანკარა სისხლია უფლის,
რადგან ბოლომდე ღირს დათმენა ულმობელ ჭირთა,
სადაც გლეხკაცი სამშობლოს უვლის.

ციხე-დედამიწა 23.04.2017.

შუაზე სკდება წითელი ზღვა. მოჩანს ბილიკი,
არ მიჯერებენ მაგრამ ფეხები.
მინდა შეხება უცხო ხილის, მაგრამ ხილი კი
არა, პურსაც კი ვეღარ ვეხები.
მძიმდება ქვედა კიდურები და ვიწვდი ხელებს,
თითქოს, მკვიდრი ვარ მყრალი ჭაობის.
მიწის სიღრმიდან ატყორცნილი სუნთქვა მიცხელებს
ტაფაზე ბოდვას, არარაობის.
ნაწლავებივით დაკლაკნილი ხარხარი მეცა!
ალბათ, მე ახლა გიჟად ვითვლები...
მინდა გავარდნა ტყეში, თუმცა, ვიცი, რომ ტყეც არ
მშველის; ხეები დგანან ტიტვლები.
ცისკენ მიხმობენ ხომალდები, აფრიანები...
მე ვერ ვეტევი მიწაზე, ვერა!
მუდამ ქართული დროშის მინდა აფრიალება,
მაგრამ ხელს მიშლის უჯიშო ძერა,
ვეკუთვნი ციხე-დედამიწას! აქედან, ნეტავ,
როდის გავაღწევ რტოებით, როდის?
ახლა ტკივილით სხვაგან საქნევ ჯავარდენს ვჭედავ,
რადგან დემონი სისინით მოდის.

კარისკაცი 09.06.2017.

რა ჭირად მერგო აბსტრაქტულის ხედვის უნარი!
ვეღარ გავურბი ცინიკოსი ხეპრეს „სამართალს“
და ყოველ ღამეს მინაფოტებს დაუწუნარი
სცენების ჯაჭვი, ფროიდსაც რომ კანკალს დამართავს.

ახალჩამარხულ სარკოფაგში ვწევარ! იღვრება
ღრიჭოებიდან ცხელი წვიმა და მივსებს თვალებს,
ეკრანზე ვნახე განაჩენის გასაზიზღრება
და ყრუ კარისკაცს გავურიგდი, სულს რომ მიწვალებს!

გადარეული სივრცეები 29.05.2017.

გადარეულო სივრცეებო! როგორ მაგიჟებს
თქვენი უსაზღვრო, ცხელი მკერდები!
კი არ მოვდივარ თქვენსკენ, ვისვრი შეშლილ ნაბიჯებს
და თქვენს უფსკრულთან ვეღარ ვჩერდები!
თქვენს გემოს როგორ დავივიწყებ, როგორ ვიქნები
უთქვენოდ, როცა თქვენზე მაბოდებს?!
მუდამ მკვებავენ სხვა ხილვების თქვენი ჯიქნები,
რათა ვიგებდე სხვა ეშაფოტებს!
ვმაღლდებოდი მიუვალი თქვენი კლდეებით,
სადაც გარტყიათ ცეცხლის ხიშტები!
მე გევედრებით: ჩემს მოწამლულ ხელებს შეებით
ამ ბნელ დილეგში, თორემ ვგიჟდები!

28

ეშაფოტი 20.02.2017.

დოლი და გული ბაგუნობენ. გაიხსნა კარი
და შემოიმსხვრა დამღა ზამთრისა.
ტბებს მოეძალნენ დინებები, ცხელი და ჩქარი,
ლოდის სიმძიმემ ლამის გამსრისა.
მესმის თუ არა, აზრი არ აქვს, ღრენენ ძაღლები.
ცარიელ სივრცეს ხელებში ედო
შავი – ფერების დედოფალი და ამაღლება...
რატომ არასდროს მიღიმი ბედო?
ყეფს ხერხემალში გატეხილი ქვეყანა. იკრებს
ფიქრებს და ძალებს ორფეხა თევზი.
ჩვენი ცხოვრება ჩაუგდიათ ჩლიქებში ჯიგრებს
და გვიყვებიან ლეგენდებს დევზე.
მოკვდა ყოველი, მაგრამ როგორ, როცა ჩავხედე,
როგორ იწოდა სველი ნაფოტი?!...
ვეყარეთ ექვსნი: სახრჩობელა, ცული თავხედი,
გილიოტინა, მე, ჯალათი და ეშაფოტი.

ხვეულ კიბეზე

19.02.2017.

ხვეულ კიბეზე ადიოდა ფრთხილად სადა ხმა.
მგლები იყოფვენ ნადავლს უღრანის.
ბაღი, რომელსაც არ უვლიდნენ, უკვე გადახმა
და მუსიკოსებს უნდათ, უკრან ის

მუსიკა, მუდამ რომ იცნობდნენ ჩხავილით. თივის
სუნი ტრიალებს გახვრეტილ თავში.
გადაკარგული მეგობარი საჯაროდ ჩივის,
რომ ვერ ამყარებს ვერაფრით კავშირს.

სულ ვთესავ, მაგრამ ფერადია ჩემი ჯეჯილი,
თეთრი ჯეჯილი მცირეა უფრო,
მტკივა ძველები, ამ გულიდან ამოგლეჯილი,
მწვავს საშინელი, მდუღარე კუპრი.

წყვდიადდებიან ყვავილებიც. წამახულ ფანქრებს
აღარ ჭირდებათ ფერთა გამები
და უნდობლობის ოკეანე ძველ ხიდებს ანგრევს,
თვალახვეული სადაც გავები.

გათანაბრება

29.04.2017.

ბავშვის ტირილი ისმის სადღაც. ახლა ვინატრე
სიყრუე, რათა არ მესმოდეს და მკლავდეს აღარ...
ხანდახან ისე ცოტავდება ქვეყნად სინათლე,
რომ კაცი მხოლოდ უსინათლო დევების გზა ხარ.

ბაღი. გოგონა. მან ირბინა, მან იხალისა,
ყვავილთა სუნთქვის ხეივნებში და მის დანაკრეფ
კონაში თითქოს ყალიბდება ტანი ქალისა,
რომელიც ღმერთთან სიყვარულით გაგვათანაბრებს.

თაღლითი კრავი 29.06.2017.

გვალვიან ველებს ცრემლჩამდგარი გვანან ღაწვები
(მე აღარ მახსოვს გარეგანი ცრემლის ფერიც კი)
დროს ველი, როცა ჰორიზონტზე ისევ გაწვება
და ღრუბლებამდე აიგება გზად ობელისკი.

ცხოვრების გზაზე შევხვედრივარ ბევრჯერ იუდებს,
რა ცოტა იყო ღმერთო, პეტრე, ანდრია, თომა...
დრო მსურს, რომელიც ჩემს ძვლებს გვერდით აღარ მიუდებს
შხამს და ამცდება სამუდამო კოცონში ხტომა.

მაგრამ ჯერ ისევ სისინებენ ენები შავი
ნავიდან, როგორც აბსტრაქტული ძეწნის წნელები,
ჯერ ისევ კრავობს გადაცმული, თაღლითი კრავი
და ჩემს დახატულ ცის მწვერვალებს ვექვესკნელები.

შავი დოქები 12.04.2017.

მწვანე ძალების მსახური ვარ. უნდა მილიონ
მწვანე დღეებმა გაყინული, მჟავე წუთები.
უნდა მოვასწრო! მარმარილოს მოლზე მილიონ
აისბერგს მალე ცხედარივით ჩავეხუტები.

ჯერარსმენილი ყვირილების ექო ჩამესმა,
ვებრძვი მიწიდან პითონივით ამომხტარ ხანჯალს,
ხორხში თოფივით დამახალა ხმამ უშხამესმა,
მე უკვე აღარარსებული კოშმარიც მტანჯავს!

ტრიალებს სცენა-დედამიწა. აძლევს აქ როლებს
ბრმა რეჟისორი მეფეს – მონის, მექისეს – მეფის,
ეს ცხოვრებაა... საითაც სურს, იქით აქროლებს
იგი გრიგალს და რვა ციფრს შორის დავეძებ დეფისს,

მაგრამ ის სიკვდილს შეეზარდა!... ეშმაკის ფიწალს
გავურბი, მაგრამ ვერ გავურბი და ვიჩოქები...
ჭიქა შემივსეთ შავი ღვინით, დავთვრები, ვფიცავ,
შავია ზეცაც, წინ დამიდგით შავი დოქები!

წვიმის ბალეტი

14.06.2017.

კედელში გახტა ჩემი მზერა. წვიმის ბალეტი
ჩადგა უფანჯრო კედლებიდან ეზოში. ბაგეს
იკვნეტდა ჩონჩხი ღრუ კბილებით, მოკანკალეთი,
სადაც ცოცხლებმა ქარქაშებში ხანჯლები აგეს.

მიწისზემოთა დედამიწას მეგონა, ჩირქი
არ ეცხო, მაგრამ ეცხო თურმე... ქაჩავს აღვირებს
ვიღაცის ხელი დაგრეხილი და იწყებს ქირქილს
ის, ვინც მუდმივად დაცემულებს ტანჯვით აყვირებს.

მოძრავ კედელზე იწერება რაღაც აბსურდი,
დაუსრულებლად იკლაკნება უტყვი ცა ხშირი
გზებით... კოცონებს მუნჯ მსახურად ვსურდი და ვსურდი
და ყრუ მღვიმეში მეყრებოდა თავზე ნახშირი.

არ იღლებიან ფეკალიის მირთმევით ზოგნი!
ისინი თვლიან, რომ აღმასვლად მისი ჭამა ღირს,
ატრიალებენ აქეთ-იქით წნელივით მოქნილ
ენებს და ამით ექვსნულიანს ხვეტენ ჯამაგირს.

რატომღაც ფეხქვეშ ამოენგრათ მიწა უჯიშო
მლოკავებს! ცეცხლში იყრებიან მათი გვამები,
კედელში გახტა ჩემი მზერა, რომ გავუგიჟო
გველებს გონება, რისთვისაც ვწერ და ვიშხამები.

დერეფნები 23.06.2017.

ყვავილწნულები, დერეფანი ორი. ჩახმახი
შუბლისკენ; ლურჯი კვამლის სისქე ოთახს ედება...
გასროლის ხმაა! ისმის გზაზე ურმის რახრახი,
სადაც კარგად ჩანს ორმოების შემოქმედება.

ყველგან ორმოა... და ბოროტი ჩიტების გნიასს
საღამოობით ვერ ფარავდა დუმილი მღვიმის...
(ზოგნი კვდებიან და ცოცხლობენ! როგორც წიგნი ას
წელს რომ მიატანს ნორჩ ხელებში, მით უფრო ღვივის)

ქვეყანას ახსოვს მოძრაობა მხოლოდ ბაგეთა,
ასევე ჰური (მათ ფერხულში მეც კი ჩავები)
მხოლოდ ღამემდე ახსოვს ნათელს, ვინ რა აკეთა
ვიდრე ნაკეთებს ქარიშხლები ნთქავენ, შავები.

ადამის ლტოლვა 21.04.2017.

მოდის ყვითელი გეიზერი კლდიდან ისეთი,
ირგვლივ ყველაფერს რომ ანათებს. მღვიმის წინ ისმის
სისინი, სავსე შხამით, შიშით და სიგიჟეთი...
სწრაფად ასრულებს ეს სინათლე ნებას ცინიზმის.

გაშიშვლდა სული გარიყული. ვაშლებმა მალე,
საეჭვოდ მალე იწყეს ლპობა! უნდათ, ხოცონ ის
ლტოლვა ადამის (ხილისადმი) იქ, სადაც თვალებს
უნდა ჩაუქრეს მოგიზგიზე ალი კოცონის.

გადამაოცებს ფარისევლურ სახეთა ცვენა,
ვარ დაისრული ტალღოვანი რიტმის მუსიკით,
ვამაყობ; ხელს ვკრავთ მაცდურ ქისებს, ვწვალობთ და ჩვენ
არგადავალთ ბინძურ საშოვარზე შავი რუს იქით.

აღქმის ტიარა

16.05.2017.

სად ვარ, არ ვიცი! ირგვლივ ისმის მხოლოდ ყრუ ხმები,
მე თითქოს ხე ვარ ერთადერთი და ბაღს ვუხმები,

იმ ბაღს, რომელიც მიატოვეს წყალმაც და ყველამ,
მაქვს ერთი თვალი დაშანთული და ირგვლივ ელამ

თვალს ვატრიალებ... უაზროა აღქმის ტიარა,
სხვა ხილვებისგან გაგიჟებამ თუ მოგიარა,

ვარ უმცირესი ჭკუის კაცი (ან, მინდა, ვიყო...)
რომ სისულელე იყოს ჩემი ცხოვრების ჭიგო,

თორემ ვეცემი, ან არ ვიცი, სად ვარ, რას ველი,
ისიც არ ვიცი, სად აგდია ჩემი საშველი,

ან თუ არსებობს... ვარდისფერი მინდა სათვალე,
რომ ვერ ვიხილო, რაც მირაჟში მშლის და მაწვალებს,

თორემ წვალება წვალებაა ასეც და ისეც,
მაგრამ ვერ ვიტან გულგრილობით დატენილ ქისებს,

რომელიც მეფობს ამა ქვეყნად... ამიტომ მინდა,
რომ ის გონება მქონდეს, რაც აქვს პაწია ცინდალს.

***

31.03.2009.

ვინც გსურს, იყავი, მეფე, გლეხი, მოლა, პასტორი,
მღვდელი, რაბინი... რწმენის გარდა, გრჩება მეტი რა?
მაგრამ თუ შენთვის ფული გახდა ყოვლის სასწორი,
იცოდე ვირო, საბოლოოდ დეედა გეტირა!

წყურვილი 15.04.2017.

მოდის შუადღე. უცნაური გრძნობა მესახლა.
ქვეყნის ყველა ხმა როგორ მძულს და როგორ მაღონებს...
მაგრამ ვიცი, რომ დროებითი არის ეს ახლა
და ისევ ვზიდავ სიხალისის მსუბუქ ვაგონებს.

გავდივარ ბაღში... რა წყნარი და სხვაა სამყარო;
მწვანე ბალახი, ყვავილები, სიო, ბელტები...
და ერთადერთი, რასაც ვმადლობ – მე რომ დამხარა
ყოფის წყურვილთან, როცა ისევ ავმეტყველდები.

შერყევა 04.05.2017.

გამოქვაბულში შეიგრაგნა მზერა ნადირის,
იქ წევს ავხორცი მეძავივით ვიღაც და ტირის.

მე ნათრევ სულში მოღრიალე იდეა მტანჯავს,
შიგ შუბლში ჩავცემ მყრალ ბელიარს ტარამდე ხანჯალს.

მუდამ ყვირიან სახეცვლილი ბრმები. ფლეიტა
გაჰკივის შავი ნეტარების გალერეიდან.

მე ამირჩია გატაცებამ დუმილის წერის,
ჯერ მე, თუ წერა? ვბოდავ მტკიცედ, ურყევად: „ჯერ ის...“

თავაწეული მოვკვდებოდი მისთვის და მასთან,
თუნდაც, ვერ ავცდე მარადიულ დაცინვას კაცთა.

რა არის ხორცი, ძვლები, სისხლი? იგივე, რაც ის
სიამოვნება, რასაც იღებს დაცემა კაცის,

ბევრი მაკლია მაგრამ ცამდე... კაცთა და მხეცთა
შორის ვარ; ბნელა და ეს ღამეც ჭკუიდან შეცდა.

იქ იყვნენ ორნი 23-24.04.2019.

(მარინა ჩაიკოვსკაია-ასათიანისას მარადმწვანე სულს)

იქ იყვნენ ორნი. ერთი სხეულს ტოვებდა ნელა,
მეორე თავთან სადარაჯოდ ეჯდა მწოლარეს,
იქაც ძნელია წასვლა, სადაც არასდროს ბნელა
და ღრუბლები გავს მოფარფატე, რძისფერ ოლარებს.

ის ორი იყო დედა-შვილი... სიცოცხლეს ფატა
მოესხა, ისე მიდიოდა, ასე ნატიფი...
იყო უთქმელი განშორების სირთულე, სადაც
არყოფნის ველი სიყვარულის ცელმა გათიბა.

უუკვდავესი ყვავილების მიერ ნაშობნი
ეთხოვებოდნენ დედა-შვილი ერთმანეთს ჩუმად...
როგორ ვირწმუნო შენი ძალა, სიკვდილო, თუ მათ
გულგრილად უმზერ, შემოდიხარ ცელით და ჯობნი?

დედა მიდის და შვილი რჩება ზოგადად, მაგრამ
როგორ გაბედე ასე ადრე მოსვლა, უჯიშოვ?
შუადღის კაშკაშს უდაბნოებს საზღვრებად აკრავ,
დაუსრულებელ აპრილს თოთო ძარღვებს უთიშავ!

ახლა ღამეა იასამნის კვირტები თავად,
ვერნაცოცხლები მზის წინაშე რომლებიც კრთიან,
სკდებიან, სწრაფად იშლებიან, დევნიან ფრთიან
ანგელოზს, როცა სამარეში სხეული ჩავა.

თეთრი სულები ცაში ავლენ, იქ არის მათი
ბინა და მშვიდი საცხოვრისის მწვანე კედლები...
ჩვენ უნდა დავრჩეთ... ღმერთმა მოგვცეს იმის ყისმათი,
რომ მოვიგონოთ, იმის შნო და იმის შეძლება.

ბრძოლა და რისკი 28.02.2017.

შავი ბარტყები შავ ბუდეში ფერებით ჩავსხი,
რუხი ბურუსი შემოეკრა ისედაც შავ სხივს;

ასე გვერდიდან არ მშორდება ბრძოლა და რისკი,
ყველგან და მუდამ რასაც ვეძებ, ჩემში არის კი?

ზავი დათმობით მიიღწევა, ომი კი – შუღლით,
ვაი, რომ ზეცას ფხიზელ თვალებს ამაოდ ვუღლით.

ვეძებ, რაც კაცთა გონებაში ყოველთვის იდო,
აღარ ჩამენგრე ფეხქვეშ ადრე, მეგობრის ხიდო,

შენ გაგებ მთელი ჩემი ყოფით, მთელი ძალებით,
 ამქვეყნად მხოლოდ ჩვენ გვდევნიან, ჩვენ ვიკრძალებით,

მძულს დარიშხანი და სტრიქნინი ენით. იქ ვარ და
ვიქნები, სადაც მეყვარება, მიყვარს, მიყვარდა.

სტიქია 01.04.2017.

ზღვა აღარ ღელავს. წარმოსახვით ნაპირზე ვწევარ,
როცა ქაოსი მიტევს ხოლმე, მაგრამ იგი არ
არის, იქ, სადაც ვეძებ... ნაცვლად, მე მიწევს რწევა
და ჩემში ღმუის გალაქტიკის ყველა სტიქია.

ძალიან ხშირად მეჩვენება, თითქოს, ჭკუიდან
ვიშლები, თითქოს, კალმით ოქროს ჭიშკარს ვაწვები,
რათა, დაინგრეს... მაგრამ ვიცი: ისევ ვტყუი და
ისევ წითელმა ნაკადულმა კაწრა ღაწვები.

სტიგმატები 26.01.2017.

ახლა ავდგები ფარგლით ხელში და პირამიდებს
კუთხით დავასობ მშრალ მიწებზე, როგორცს ტიგმატებს,
ძილისას გვერდით ალესილი რაპირა მიდევს
და ის წითელი ზღვის დერეფანს გააზიგზაგებს.

მე დავინახე ტურისთავა ანუბისი. ის
კვერთხით მიწისკენ მანიშნებდა, ჩუმი და კუშტი...
მინდა, ბნელი დღეც დავინახო, ანუ მისიის
სიმთავრე ვიგრძნო... გარდასახვას სხვა ტანში ვუცდი,

რათა, არ მყოფნის დანახული... ვუთხრა, მას მინდა,
რომ მეც ვიხილავ მასზე მეტს და მაგიურს სადმე,
შხუოდნენ თეთრი ჩანჩქერები მოკვდავ ჟასმინთა;
რადგან, სიკვდილი ჯობს მოწყენას, მოწყენა დათმე!

სიკეთის ვენახები 10.01.2015.

(სალომეს)

მოვდივართ ერთად ზათხულის და ზამთრის მაყრიდან,
თვალებში შუქი და ოცნების ზღვა ბინად არი.
ზამთრის ნიავი შენს ასწლოვან კაღრებს მაყრიდა,
ჩემს გულს შენს გარდა რომ არ ყავდეს სხვა ბინადარი.

მინდა, სიკეთის ვენახებით ისე ხარობდე,
რომ მოწყენისთვის არ გრჩებოდეს არასდროს წამი,
სიზმრის სიღრმეში შედიოდე უცხო წყარომდე,
იქ, სადაც ღელავს ნიავისგან წვრილი ლერწამი,

სადაც ღვთის სიტყვა იელვებს და სიტყვა კაცია,
ვისაც ადგამენ მძიმე გვირგვინს შენი თითები...
შემდეგ სიკვდილო, ჯანდაბამდე გაგიტაცია
ქვა, ერთმანეთის საფლავისთვის რომ ვეზიდებით.

ქალს აიადან 12.11.2011.

(სალომეს)

ცქრიალა ქალო აიადან, გული წამართვი,
შენს ცხრაკლიტულში დამატყვევე, რწმენა მომეცი,
მინდა, რომ სულში შემოგეჭრა, როგორც წარმართი
და შუბლით ცაში ავიყვანო მზე სალომესი.

ჩამოვყოლილვარ შენს ქალაქში მეც ოქროს საწმისს,
„არგო“ დავტოვე და მოვდივარ შენსკენ სალომე,
ქრიან ფიქრები ფოთლებივით, ჩემს სიზმრებს აწვიმს
და მინდა, გულში სიყვარულად გეგრიგალო მე.

დირიჟორი 11.01.2017.

საიქიოში გადაჭიმულ უვრცელეს ფართობს
ვხედავ მიწიდან და იქ ყოფნის სურვილი მართობს.

ამქვეყნიური ყვირილები როცა მომესმა,
ვერ მიხმო სულმა, ვერც უბრძნესმა, ვერც ულომესმა.

ფიქრს ვერეკები, მწყემსი ნახირს როგორც გარეკავს
ხოლმე და ყველა სილამაზეს ვრიყავ, გარეგანს.

ღიმილი დიდხანს ვერ ჩერდება, სადაც მე ვარ და
იქ შერბის მხოლოდ, მარტოობა სადაც შევარდა.

იქ არაფერი მესაქმება, სადაც ჩაისმა
ის ხმა, რომელიც ვერ მიიღო ყოფის დაისმა.

სულ გულით დამაქვს ამ ცხოვრების ძველი დამღები,
როცა ვუყურებ, როგორ ხარობს ვერცხლის ამღები.

ხანდახან ახლო მეჩვენება ნაპირი შორი...
ახლა ორკესტრთან მეჩქარება; ვარ დირიჟორი.

სიკვდილის ღამე 03.02.2006.

სიკვდილის ღამე ვიდრე ჯიუტს, შემახებს ამბორს,
სიზმრის ეკრანზე დამინახე მღვრიე თვალებით,
იმ ტკბილ ნირვანას მოვიგონებ, რომელიც ამბობს,
რომ შენს თვალებშიც დადნებიან თებერვალები.

ძნელია იმის ატანა, რომ აღარ გახსოვარ,
რომ ყოველივე დაივიწყე მლაშე ხრიკივით...
ვხედავ, თითებში დაჩხვლეტილი გითრთის ნაქსოვი
თოჯინა და თქვენ, უთვალებოდ, წარსულს მიკივით.

იმ ღამემ ტკბილი ისტორიის ამბორი მომცა
(რომ გაგიმხილო ის განცდები, ჩემი ვალია)
მეც ყოველივეს დავივიწყებ, მათ შორის, ომსაც,
ყოფა ისედაც თოვლიანი თებერვალია.

სიტყვით ნუ მომკლავ! 07.10.2017.

სიტყვით ნუ მომკლავ! ჩემს სიკვდილზე პასუხს ვინ აგებს?
სიტყვით მკვლელობა არ ისჯება ნეტავი, რატომ?!
ვერ ვეგუები ავყიების დამპალ ჯილაგებს!

სიტყვით ნუ მომკლავ! ჩემს სიკვდილზე პასუხს ვინ აგებს?
ვიღაც ძარღვებში სისხლის ტყვიებს სიტყვით მილაგებს
და არაგვივით, ორასი წლის იხუვლა ტატომ.

სიტყვით ნუ მომკლავ! ჩემს სიკვდილზე პასუხს ვინ აგებს?
სიტყვით მკვლელობა არ ისჯება ნეტავი, რატომ?!

ცარიელი სივრცე 17.02.2006.

რისი აღწერა შეუძლია ქროლვას იდეის?
უახლოვდება მუქ თმებს თეთრი ჟამის სიმხეცე,
მოდის სიბნელის ხის ხარხარი, მოდის კიდე ის
ძალა, რომელმაც ხე დარგო და კვდება იმ ხეზე!

ვინმემ გაიგო მაგიური რიცხვის ქარაგმა?
ჩემს დაბადებას წინ უსწრებდა დროთა ჭიდილი,
სადაც ყოველი სახიერი ცეცხლმა ალაგმა
და ახლა უსტვენს ცარიელი სივრცე ჩიტივით.

მე საშინელი დაისები, როგორც ლოდები,
მხრებზე მადგანან და მიწაში ჩავდივარ ჩქარა!
მე ვეღარავის მივენდობი, მე ველოდები
სიკვდილს, რომელმაც დამანახა სიცოცხლის შხარა!

რისი აღწერა შეუძლიათ ციფრებს, თუ მათი
ფერი შავია? მათ სკოლაში დიდხანს ვისწავლე
და როგორც იქნა, გავიგონე ბოლოს ჩუმად ის
ხმა, ასე დიდხანს რომ მალავდა ბნელი ზღვის ჭავლი.

მე ამ სიბნელის შესაცნობად დიდხანს ვიარე
და ოცდამეცხრე ზამთარს ვითვლი, ვეღარ ვიშორებ,
მე გაუგებარ ლექსს დავადგი ოქროს ტიარა,
რომ გავხდე მისი თან მსახური, თან დირიჟორი.

ფიქრის მომავალი 14.10.2017.

მშვიდი, გაბმული, ნაღვლიანი, იდგა საღამო.
შემოიფანტა ბნელ ოთახში ბურუსის თოვლი,
ვქმნი მეწამული ღვინობისთვის ჩვილივით მოვლილ
მოსავალს ფიქრში და როგორც ყელს, უყელსაბამოს,
ვეწაფები და დაღლილ თვალებს ვუხელ საღამოს.

მე ერთდროულად შევიცანი ამ ქვეყნის ზიზღი
და თანაგრძნობა (მოიგებენ რბოლას ჯაგლაგნი?)
აღმა ჯიუტად მივუყვები ტალღებს, დაკლაკნილს
და მაგონდება, რომ სათრობად უტიფრად ვისხი
პატარა კაცის ქედმაღლობა და სიტყვა ფიცხი.

ქარის წისქვილები

22.01.2006.

დანაყე წყალი და ეძებე მინდვრად ნიავი,
რადგან ასე გსურს, გადაღებე თეთრად ბნელი და
ახადე ფარდა რეალობას, მტერს ეღიავე
გააშრე ცეცხლი, მკვდარი ქვიშა ჭამე სკნელიდან.

დაუხვდი სიკვდილს, ნუღარ უფრთხი ცელის სიელმეს,
მე აღარ მჯერა სახეცვლილი გველის ბარტყების,
ნურც შენ უჯერებ ბაღის მცხოვრებს, თუ გაიელვებს
გველის გალობა, შენს მიწაზე გადმონარწყევი!

თუ გემტერება ეშაფოტი, გქონდეს იმედი,
სადმე, ოდესმე, როდი სწყალობს ლაჩრებს ბუნება,
საიქიომდე გაიარე გზა სიმძიმეთი,
სიკვდილის ხიდთან სიავე დებს ხელშეკრულებას!

ადრე გეგონა, რომ გონჯი ხარ, როგორც გომბეშო,
მიმქრალ ოცნებებს ამთელებენ მომავლის დღენი.
ახლა რწმუნდები (მომილოცავს) ამდენ ზომბებში
მარტომ იტვირთე უცნაური ცხოვრების სენი.

ეომე აჩრდილს! გაეკიდე ქარის წისქვილებს,
დაე, იცხოვრე ილუზიით, იძმე ბინდები,
სისულელეა, ამ მიწაზე იყო ცის შვილი,
თუ შენს სიცოცხლეს და შენს სიკვდილს შეუშინდები.

წითური თმების დაისი 05.08.2017.

ზღვისპირას იდგა თმაწითური გოგო. ჩამავალ
მზეს უყურებდა და ტალღების ცეკვას ელოდა
(შტორმს აპირებდა) და ელტვოდა დაუშხამავად
კვდომას ნაპირის მაგიური მომხიბვლელობა.

მისი ჟღალი თმა მაგონებდა დაისის ფეთქვას...
(იყო რეგატა ხომალდების) უნდა მისწეროს
ზღვამ გოგოს დემონს: „მას სურვილზე უარი ეთქვას''
და სიკვდილს ფრთები დაალეწოს, საბედისწეროს.

ოქროს სიტყვებით 22.01.2006.

როცა სიყვარულს – დედამიწის მკვებავ ძალას და
მამოძრავებელს – მატერიის გამო დევნიან,
საქმეს იჭერენ ორი სოფლის ხათაბალასთან
და ბნელს ირჩევენ საცხოვრისად, ცხელშადრევნიანს.

ამაოდ ვფიქრობ: „სიყვარულის გარეშე რაა
სიცოცხლე?“ იქნებ, სიყვარულიც „გაყიდა“ ზოგმა,
როცა იმსოფლად მის გარეშე იღება ცა არ,
მიიღე იგი, როგორც სიტკბო და არა დოგმა.

მსურს, სიკვდილამდე მქონდეს ვალი, დავდევდე ექოს,
რომელსაც მისი ხმა გამოსცემს, იწვის და მადნობს,
ვერ დავთანხმდები, რომ მახვილი ქარქაშში ეგოს,
რადგან მუდმივი ბრძოლა უნდა სიყვარულს, სათნოს.

ფიქრის ფრეგატთა უნაპირო ზღვაში ვენდობი
მხოლოდ კრისტალურ წარმონაქმნებს, სხვებს კი არც
ველი,
სწორედ ამიტომ არ მინდოდა, მკაცრი კენტობა
რომ საბოლოოდ გამხდარიყო ჩემი მძარცველი.

კოლაფსი

11.02.2006.

ჩემს გრძნობებს მაშინ დაემართათ კოლაფსი, როცა
შენმა გაფრენამ, ჩემი წილი სხივები ხოცა.

მაშინ ჩამიქრო მდუმარებამ გულში ალები,
მეტიც – მას შემდეგ ვეძებ სიკვდილს, არ ვემალები.

გადაინისლა სული ჩემი ჩრდილის ეკლებით,
იქ ვცხოვრობთ მე და ჩემი სევდა, იქ ვირეკლებით.

შენ გააღვიძე ცხელი წყევლა, სადაც ვიარე,
ბნელი სასახლის მოჩვენება ვარ მგლოვიარე.

ძალიან გვიან შევიცანი სახე ამორძლის,
ის ხარ, სიცოცხლის თასიდან ვინც მსვამს და ამომცლის.

უფსკრულში ჩაყვა ჩემი გული საშინელ გრიგალს
და ვერ ვივიწყებ, ვეღარაფრით ვიხსნი ინტრიგას.

ჩემი ყოფილა სიყვარული, კოჭლი და უხმო,
რათა სიგიჟეს და დაღუპვას საშველად ვუხმო.

ხანგრძლივ წამებას ვუმეგობრებ, ასე მგონია,
მაგრამ ვაი, თუ აგონიაც მონაგონია.

მირაჟის ველზე ქარიშხალი დადის შიშველი,
ფხიზლობს და ღმუის, რომ ვერ ვნახო ის, ვინც მიშველის.

***

28.02.2019.

გვიანი არი არასოდეს – მიხვდე, წინ არი
ცხოვრება, გრძელი და ღმერთივით დაუძინარი.

რაც იყო, იყო 05.01.2006.

რაც იყო, იყო, ნუღარ კოცნი ფორტუნავ, დე სადს,
ის სიძულვილის იარაღად გექცევა თორემ,
რომელიც შენში თვითმკვლელობის სურვილებს თესავს,
ეს სურვილები ჩაგიყვანენ უფსკრულში, სწორედ.

რაც იყო, იყო, აღარ უნდა ბევრი ლაყაფი,
ჯობს, გაატანო სიცოცხლისგან წამსვლელს შენდობა,
სადაც სამოთხის გაეღება მას ალაყაფი,
სადაც არასდროს შეაწუხებს დაღლილს კენტობა.

იბადებოდნენ, იზრდებოდნენ, კვდებოდნენ გვიან,
დაე, ტკბებოდნენ კაენებიც (უკვე ყოფილი)
მაგრამ, რატომღაც, მოძალადეს ძლიერი ქვია

და პატივს სცემენ გარეწრები ტახტზე მყოფივით.

რაც იყო, იყო, ნუღარ ელტვი აფთრებს, ფორტუნავ,
ნუ ააღზევე მოხარხარე ჩვენში ტურები,
თორემ სამშობლოც მეწამული მიწით მორთულა
და ქართველობას სხვა მიწისკენ გვიწევს ყურება!

კლდეები ცისკენ 01.12.2017.

იდგა ჩემფერი დეკემბერი... კლდეები ცისკენ
საფეხურებად ადიოდნენ. თრთოდა მირაჟი.
მე საკუთარი არსებობით საკმაოდ ვრისკე,
ყოველდღიური სიკვდილის და ყოფის კვირაში.

ჭკუიდან მშლიან უპასუხო კითხვები, მაგრამ
მპასუხობს მხოლოდ მარტოობა, საკანში ღამის,
ყოველი, რაზეც ბავშვობაში ვფიქრობდი, გაქრა
და კოცონივით აბრიალდა ბავშვობაც, ლამის.

სული მეორე 13.08.2017.

(სალომეს)

სული მეორე... ის შენს ტანში ლოცულობს, მღერის,
წვალობს და გალობს, ქარაფვებში უცქერს ჯეირნებს,
მე ვარ მდუმარე მოდარაჯე უქრობი კერის,
რომელშიც ერთად ორი სული გაასეირნეს.

რა ავად არის ეს პლანეტა... შენ იცი: ცხოველს
უარყოფენ და ღებულობენ სახეს ცხოველის...
შვილები მამებს ყოველდღიურ მეტალებს თხოვენ,
ართმევენ, გულში იკრავენ და კვდება ყოველი.

მოჩვენება 09.01.2006.

მიდის ცხოვრება კუს ნაბიჯით, ყველგან ის არი
და არი არსად. ქაოსია ბუდეში აზრთა,
ყველგან სიმწირე, სამარე და კუბოს ფიცარი,
აღარც თვითრწმენას ეღირსა გაზრდა.

აღარ სრულდება პერიოდი შავი ფიქრისა,
„რისთვის და რატომ?“ არ აქვს ბოლო კითხვების რბოლას,
შენი ადგილი უშენოა, გვერდით მიქრის, ან
სულს ღაფავს; ცეცხლში იწვის და ბოლავს.

ცვლილებებს ელი და ამაოდ დგახარ და იცდი,
შემოგიქროლებს ბობოქარი სულში გრიგალი,
ძვრაც ვერ უყავი ლოდს გულიდან; მძიმეა, ხისტი
და შენს გრძნობებთან შეურიგალი.

მაგრამ ადექი, არ დაეცე! შენი ედემი
სულშია მხოლოდ და ცვლილების რწმენაში შავი
ნათდება უფრო და გჯეროდეს, არ დაეცემი;
შენ ურყევ კედლად იგრძენი თავი.

ახსნა 24.11.2011.

(სალომეს)

დილა, რძისფერი ალიონი. მე წავალ იქით,
სადაც დამხვდება შემოდგომის თეთრი თარეში,
მე შენ დაგლოცავ განთიადის ზურმუხტის ჭიქით
და ვისეირნებ შენი სულის სიტაძარეში.

ჩემო მღიმარე ანგელოზო, დამლოცე, თუკი
მე ჩემი სული მარად შენზე ფიქრებს მივეცი,
მერე მაჩუქე შენი ჩუმი თვალების შუქი
და მაუკვდავე შენთან ყოფნის სიმუდმივეთი.

46

წიხლი 13.06.2017.

მე ვარ მებაღე აუხსნელი სიზმრის ხეივნის,
მე ვარ თვალხილულ ბრმათა ხედვის მკაცრი ყასაბი,
ვიქნები, ვიდრე ჩემს საფლავში გლოვა შეივლის
მუსიკასავით.

ვარ ჩრდილის ჩრდილის ჩაღვენთილი სანთლის
მძებნელი,
საეჭვო ლექსი დამსხვრეული ხიშტივით ვიძრე,
იქნებ, უძლური დრო ვიხელთო, ჩემი მზე ბნელი
გახდება ვიდრე.

„ლურჯი ვეშაპის“ სწავლა მინდა!... გარშემო ვფანტავ
ნაქონს, თუ მხოლოდ ნაოცნებარს; რა თავში ვიხლი?!
თქვენ შეგიძლიათ (აღარ მიკვირს) მკვლელების ბანდავ
– ჩამარტყათ წიხლი.

ეკლის ჯაყვები 05.03.2017.

ოთახს ანათებს განთიადის მძაფრი ელფერი
(ფოთლები, შავი რომ მეგონა, ყოფილან მწვანე)
კვერთხით და წიგნით მოაბიჯებს გაბრიელ ბერი.

ოთახს ანათებს განთიადის მძაფრი ელფერი,
ფოლადის ხმებით ბავშვობიდან მიყეფს ცერბერი,
ელფები თითქოს, უღრანების კოცონზე მწვავენ.

ოთახს ანათებს განთიადის მძაფრი ელფერი,
ფოთლები, შავი რომ მეგონა, ყოფილან მწვანე.

ჩემს წინ მუქარით იშლებიან ეკლის ჯაყვები...
რატომ არ გყოფნის მცირე იღბლის მწვანე რტოები,
სად წახვალ ზვიად? თუ მიწაში მუზებს ჩაყვები?

ჩემს წინ მუქარით იშლებიან ეკლის ჯაყვები,
ვმარტოობ ისე, საკუთარ თავს არ ვენახვები
და ვერც ვმარტოობ, მხოლოდ რტოებს ვემარტოები.

ჩემს წინ მუქარით იშლებიან ეკლის ჯაყვები...
რატომ არ გყოფნის მცირე იღბლის მწვანე რტოები?

***

11.01.2017.

ამოიწია კრატერიდან ლავამ, უღამო
დღე იდგა თითქოს, გამქრალიყო შავი. მაცხოვრე
თავო ისე, რომ მარტოობა დავამუღამო,
თორემ ჯერ მხოლოდ ქვეყნის ბოდვა დავიმახსოვრე...
ამოიწია კრატერიდან ლავამ, უღამო.

ყოფითი გუბე 03.04.2017.

დადგა ბურუსი. მოისარკა გუბე ყოფითი.
მრგვალი მაგიდის ირგვლივ იჯდა ცამეტი ციფრი.
მათგან თორმეტი დიდი იყო, ერთი ჰობიტი.

დადგა ბურუსი. მოისარკა გუბე ყოფითი.
შორს აშრიალდნენ ბზა, აბზინდა, თმა და კოპიტი,
ვიღაცას ქისამ გადაუკრა თვალებზე ლიბრი.

დადგა ბურუსი. მოისარკა გუბე ყოფითი.
მრგვალი მაგიდის ირგვლივ იჯდა ცამეტი ციფრი.

დურგალი აგებს ახალ ტაძარს. აკეთა მანვე
ჯვრები, რომლებზეც ხალხს აკრავდნენ; შედეგი ვიცით,
48 ჭაობის პირმშო მოჩვენებავ, შორს ჩემგან, განვედ.

დურგალი აგებს ახალ ტაძარს. აკეთა მანვე
ჯვრები... გონებას შესეოდნენ მახეცები, მავნე,
მე ჯოჯოხეთში მიკრძალავენ საკრალურ ვიზიტს.

დურგალი აგებს ახალ ტაძარს. აკეთა მანვე
ჯვრები, რომლებზეც ხალხს აკრავდნენ; შედეგი ვიცით.

ორი მთა 19.06.2017.

განთიადის მზე ამოასკდა კლდეთა ნაპრალებს,
იტრიალა და დასავლეთის უფსკრულს მიადნა
(იმ უფსკრულს ვიღაც უფსკრულობას მართლა აბრალებს)

განთიადის მზე ამოასკდა კლდეთა ნაპრალებს,
ჯუჯებად ვხედავ გიგანტებთან ნათანაბრალებს,
მოჩანს ორი მთა – ნეფერტიტი და არიადნა.
განთიადის მზე ამოასკდა კლდეთა ნაპრალებს,
იტრიალა და დასავლეთის უფსკრულს მიადნა.

შავი ზეწარი 24.05.2017.

ელვის სისწრაფით უშავდება ზეცას ზეწარი,
სასოწარკვეთილს ნაპერწკალი იმედის, როგორც,
რჩება მირაჟი-ოაზისი და ნაზეცარი.

ელვის სისწრაფით უშავდება ზეცას ზეწარი,
ეს გული ხშირად მწოლიარე, დანაზეც არი,
როცა საფლავში ვხედავ ცოცხლად დამარხულ გოგოლს.

ელვის სისწრაფით უშავდება ზეცას ზეწარი,
სასოწარკვეთილს ნაპერწკალი იმედის, როგორც.

ლამის შემშალოს გაყოფილმა ქვეყნის ბაზარმა,
ნაგავი ნაგავს შექმნის მხოლოდ, ღირსი – ღირსეულს,
კისერი ჯვარმა დამიგრაგნა უზარმაზარმა.

ლამის შემშალოს გაყოფილმა ქვეყნის ბაზარმა,
მარში სიზმარში: აზანზარა უჯარმა ზარმა,
ყაზარმა ქაჯთა, გაჯდა სისხლში, ნგრევის პირზეა.

ლამის შემშალოს გაყოფილმა ქვეყნის ბაზარმა,
ნაგავი ნაგავს შექმნის მხოლოდ, ღირსი – ღირსეულს.

ბავშვი მარიამი 18.06.2017.

ვიდექი მოლზე მონუსხული. ჩუმად ვისმენდი;
მღეროდა ბავშვი მარიამი ჟასმინით ხელში,
დუმდა ყოველი და უკრავდა მთელი ცის ბენდი.

ვიდექი მოლზე მონუსხული. ჩუმად ვისმენდი,
არარაობა იყო ყველა აპლოდისმენტი,
დაპატარავდა მატერიის რქოსანი ელჩი.

ვიდექი მოლზე მონუსხული. ჩუმად ვისმენდი;
მღეროდა ბავშვი
მარიამი ჟასმინით ხელში.

ორეულს 18.06.2017.

ქრიან ველური იორღები. მინდორი კივის,
მომხდურს ველოდი,
ვარ ერთი მგზავრი აორტებით შეკრული ტივის,
ჩანს კამელოტი;

მე იქ მივდივარ, ტურნირები სადაც ბოდავენ
და რაინდები
გესხმიან ჩემო ორეულო, შენ კი – მოდავე,
არ აინთები.

არ აინთები მეწამულად, არც მწვანედ და არც
შავად ყოველთვის;
ვისვრი „მეგობარ“ ქვენა გრძნობებს, ველტვი ზენაარს,
ზეცას რომ ელტვის!

სველი სარკმლის მიღმა 09.06.2017.

სველი სარკმლის მიღმა როკავს ცეცხლი. ექო
ისმის, როგორც მოქირქილე ქარი მღვიმის,
იწვის ნედლი აკაციის ტოტი, ღვივის,
ახლა მძიმე დედოზარი უნდა ვრეკო,
ვცდილობ, მაგრამ ვერ ვიხსენებ იღბლის ღიმილს,
გრძელ სახეებს ხატავს ტუშით სხვა ელ გრეკო.

მზე-რა ნისლის ტბაში ჩადის... ცას მინებდა
მზე, ნისლებით დაისრული... აურია
ტვინმა უკვე ცეცხლისწვიმისაურიან
გარემოში, როგორც თრობამ ჟასმინებთან,
სიოს სმერჩში ნუ აურევთ, ზღვაურია,
ის ყურს მიგდებს ჩუმად, როგორც ასინეთა.

გული ბორგავს მოგრიალე ვაგონივით,
ბროწეულის ტევრში ვიკვლევ გზას უბრალოდ
(ჩემად დარჩი უბრალოთა ნასუფრალო,
ნუ წამართმევს შენს თავს ნანახ-გაგონილი...)
ნადირივით ბნელის ქსელში დგას უტრილო,
შიშით, ჭუჭყით და სიგიჟით განდეგილი.

ლოცვა დაფრენს, როგორც ჩიტი! შავი ჭერი
რჩება მაინც მთავარ ჭერად... უნდა ვხატო
უსაზღვრობა!... მხვითქავს ხუთი კუთხის ხვატი
და უჩინარ სკა-საფლავში ჩავიჭერი,
უდაბნოში დაღადრული ღირს ღაღადი
და ფეხებთან გდია შავი თავი ძერის.

კიბეების ნგრევა

30.05.2017.

საათების წიკწიკს (კედელზეა ყველა)
შერევია უხმო, საშინელი, ავის-
მომასწავებელი, შერყეული ხველა,
იატაკზე გდია ძველი პური ჭვავის.

კიბეების ნგრევას თან ერთვოდა როკვა
მხიარული ჩონჩხის... მაგიდაზე დევს ის
ნივთი, რაზეც წუხელ მუნჯმა მოწმემ მოყვა
და იმსხვრევა ყბებში სავარცხელი თევზის.

ჩატრიალდა თავში ანარეკლი ზღარბის!
ARTერიას კაწრავს მორიელის კუდი,
მეწამული ღელე ცხელ ძარღვებში დარბის,
იატაკზე ფორთხავს მოგონება ცუდი.

რუხი ცეცხლი ჩემსკენ მწველ ნაბიჯებს დგამდა,
გრიგალების გუნდი ეპარება ღრიჭოს,
იკლაკნება მთვარე ბელიარის სკამთან,
რომ უჟმურმა დილამ კლდის კბილები კრიჭოს.

სამონასტრო 04.06.2017.

დგას შუადღე. დრო ვიხელთო და მოვასწრო
უნდა შესვლა საბოლოოდ მონსტრებიან
დერეფანში, სადაც არ ჩანს სამონასტრო
კელაპტრები, ვიდრე ბინდი მომსწრებია.

აკაშკაშდა კოცონივით მზე-კარეტა
(იქ შეუბამთ შლეგი კვამლის ტაიჭები)
ყურადღებას მზერა იპყრობს მეკარეთა,
ნემსის ყუნწში თუ აქლემი გაიჭედა.

მე მუხლებზე დაჩოქილის, მენატრება
ხილვა ჩუმი აჩრდილების და ვენთები
მღვიმის ჩრდილში, როგორც თაფლის კელაპტრები...
ირგვლივ ისევ იყუჩებენ მუავე მთები.

შავი თასი 09.02.2017.

პირამდეა შავი სისხლით შავი თასი,
მზეო, ჩემში როდის, როდის აინთები...
მე სიკვდილი ნაფოტივით ავიტაცე,
თავს მადგანან ჯვრები, როგორც რაინდები.

გულს ნუ მატკენ თებერვალო, გულს ნუ მატკენ,
ცივი არ ხარ, ვინ დაგწამა თბილო, ცილი?
შენ არასდროს იყურები ცივად მათკენ,
ვინც გიწოდა ზამთრის ბოლო შვილობილი.

დავიღალე, შემიფარე შენთან, მამავ,
წამიყვანე, აღარ შემრჩა გემო დგომის...
ჩემს სიცოცხლეს შავი ლექსით ისე ვშხამავ,
რომ ახლოს ვარ ხმელ ფოთოლთან შემოდგომის.

მევენახე 27.05.2017.

როცა სულში სიმშვიდეა სამონასტრო,
როცა ყოფის ნებამ გველი დაასრისა,
მაშინ უნდა დრო ვიხელთო და მოვასწრო
დატოვება ყველა ლექსის და აზრისა.

ნეტავ სიკვდილს და სიძულვილს მე ვენახე;
შევუცვლიდი სახეს, ანდა მიზნებს მაინც...
ახლა მე ვარ მხოლოდ ლექსთა მევენახე
და პწკარებით ბოროტების ვებრძვი რაინდს.

მეჯლისი 30.04.2017.

ჩემს ოთახში აინთნენ სურათები კედლის,
ალბატროსი დაფრინავს შავი ნავის ზემოთ,
მონუსხული ვუყურებ აჩრდილების მეჯლისს,
პირში მწარე სიზმრების ჩამრჩენია გემო.

გალავანი გაინგრა! მე ვერ მცნობენ, ვერა!
ახ, სადამდე ვეთრიო უცხო კაცის სახით?!
ამომეშადრევნება ყელში ბასრი ბგერა,
რომ მიწაზე ცხოვრების განვიცადო კრახი!

უნდობლობა მსოფლიოს – აი, ჩემი ჭირი...
ვერ ამიტანს შხამი ტანს მატერიის მიღმა!
ვისვრი აბებს, ვღრიალებ, ვკანკალებ და ვტირი,
რადგან დაბლა დამაგდო უიღბლობის მჯიღმა!

სულ მჩეჩქვავენ ჩლიქები, ვასაფლავებ შუქებს,
რომ შევიგრძნო მომაკვდავ, გაუგებარ ხმად ის...
პოეტს, თანაც შერყეულს, ახლა ვიღა უგებს?!
ის მარტოა ყოველთვის, მაგრამ ნიღბით დადის!

სანატრელი ქოხი 21.05.2017.

მე ვარ წყალქვეშ. დაცურავენ სკაროსები,
ფსკერზე ლურჯი შუქის სხივებს დავდევ ნელა
და გარშემო ისე ყინავს, ისე ბნელა,
რომ გადავრჩე, ბოროტს ვეავგაროზები.
მე ვარ წყალქვეშ. დაცურავენ სკაროსები.

ვერ ვახერხებ სიტყვის თქმასაც! აგონია
დახტის ჩემში მათრახივით, დაბლა მაგდებს,
მე ვეღარსად გავექცევი კვდომის ფაქტებს,
რადგან მკერდში ღვივის ცეცხლის ლაკონია.
ვერ ვახერხებ სიტყვის თქმასაც... აგონია!

მე მტერი რომ მყვარებოდა, ისიც ვცადე,
ვცადე, ცეცხლი რომ დამენთო გრძნობის, მევლო,
მაგრამ სად ხარ ჭეშმარიტი რწმენის მრევლო,
რატომ აბამ გულგრილობის ირგვლივ ბადეს?!
მე მტერი რომ მყვარებოდა, ისიც ვცადე...

სად წავიდე? პატიმრობა ამცდა არსად!
ყველგან მხვდება გისოსები, ყველგან ბოღმა!
ღმერთო, იქნებ, შემიფაროს შენმა ქოხმა,
რომ დუმილით ვუპასუხო ბოღმის ჯარსაც!...
სად წავიდე? პატიმრობა ამცდა არსად!

ირგვლივ მეფობს ისტერია 14.05.2017.

ირგვლივ მეფობს ისტერია! მე რა მინდა,
ამას ჩემთვის შევინახავ უჩინოდ,
სინამდვილეს ვერსად იგებს ვერავინ და
გვინდა, უფალს ქვები რომ დავუშინოთ.

ხშირად ცამდე აყვანილი ბრმის ჭორია,
ხან სიმართლეს ჩქმალავს ხალხი უჯიგროდ.
მაგრამ მართალს არ დამალავს ისტორია,
ჩვენ სიმართლეს რაც არ უნდა ვუჯიბროთ!

გულგრილობის ბაზარი 22.03.2017.

კლდეთა ნატეხები მკერდზე მალაგია,
ვიყავი ჩუმად და ველოდი უარესს.
ძილში ჩაძირული, ჩუმი ქალაქია,
რომელსაც ქარებმა გარშემო უარეს.

ვფიქრობ, ან ვერ ვფიქრობ; დილას ველოდი, ან
იქნებ, არც ველოდი, ვინ იცის, არც ველი...
წყვდიადში უკრავდა შავი მელოდია
– ჩემი სიმშვიდის და სიცოცხლის მძარცველი.

ყველგან რატომ დგანან უწყვეტი ბინდები?!
ბურუსში იღვიძებს მომავლის ყაზარმა!...
მე ადამიანებს ველაბირინთები,
რათა გულგრილობის დამტოვოს ბაზარმა.

ჩიტები 31.08.2017.

იმიტომ ვწვალობ და ვიწვი კოცონში, უჯიშო ყოფის,
იმიტომ მესობა ხიწვი სინდისგაყიდულთა ცოფის,

მინდა, შევიტანო წვლილი სამოთხის შექმნაში ჩემი,
მინდა, რომ დავიპყრო წვრილი ბილიკით მწვერვალის
თხემი...

მაგრამ არ მცალდება ესეც, ვიღაც უსულგულო მიტევს...
მე ისევ ვკითხულობ ჰესეს და ისევ ვაპურებ ჩიტებს.

ყოფის ნაყოფი 08.01.2017.

მე არ ვიცი, ოქროს თასი ვინ ასწია,
გამარჯვების მოზიარე გახდა ვინ და
ვინ დაამხო ბოროტების დინასტია,
მაგრამ ჩემი გზის ნაყოფის პოვნა მინდა.

მინდა, ვნახო, რას დავტოვებ, ვიდრე, ვარ და
ვიცი, ჩემი სიზმარეთი მძაფრი არი,
ვიცი, რა ვქნა მოსაწყენი სუნთქვის გარდა,
სად ჩავუშვა ხომალდები, აფრიანი.

დღემდე ვეძებ ყოფის ნაყოფს... ვიდრე ვნახავ,
სულ თვალწინ მაქვს რთული ფიქრის გისოსები...
და ყოველდღე (სიკვდილამდე) ვიცი, ახალ,

რუხ ტაეპებს სიმწრით ვეტრაგიკოსები.

ლურჯი გვირაბი 28.03.2017.

მე სულ მტანჯავს და თავიდან არ ამომდის
ისტორია, სადაც ერთი გმირი შორი
გზიდან სახლში ვერ აღწევდა საღამომდის,
რადგან დრამა იყო სცენის დირიჟორი.

ჩანს გვირაბი, ვიწრო, გრძელი. მზეთა რიგი
ცეცხლით ლურჯად ანათებდა შიშის ორმოს,
ეს თარიღი იყო ჩემი ზეთარიღი;
ბევრი რაღაც ვნახე, წელში, თითქმის, ორმოც.

იქვე, ლოდზე ჩამოვჯექი... მე ლოდები
არ მიჭერენ უმწეო მხარს, ვცდები, როცა,
შენ, სიკვდილო, ვიცი, გზაზე მელოდები,
მოდი, სუფრა გაშლილია; მწდემ ილოცა.

სულ მარტო ვარ... ბნელო, ნუღარ მატან ძალას,
ბინადარი არ გავხდები შენი ბადის,
გაეფანტე ერთ უსახურ მაწანწალას,
ფეხშიშველი ვინც ეკლიან გზებზე დადის.

ხმა აღარ მაქვს, ვერ ვმეტყველებ! დავა სრული
სიღრმით ხმაურს გავუმართე! გზამ არევა
იქ დაიწყო, სადაც ფიქრი დავასრულე...
აღარ ვითხოვ დროს ფიქრისთვის; სამარე ვარ.

***

14.04.2017.

უუფალოდ, ანდა უფლით, ვინ სად არის, მე რა ვიცი,
ვის რა უნდა, ვინ რას გეგმავს, ვინ რას ლამობს, ვის რა ელის,
მაგრამ სიტყვა ვერ გახდება ისე სიტყვა ვერავისი,
იგი თუ არ დაუშვია მოძღვარს ძველი ისრაელის.

მტაცებლები

27.01.2017.

მეჭიმება მზერა, რადგან მინდა, ვწერო,
ჩამყოლია ქვეყნის ტკივილი და დაღლა...
გული მტკივა, დაბლა რომ დახოხავს წერო
და სულ ქათმები რომ დაფრინავენ მაღლა.

მტაცებლების მყრალი დამესია ხროვა,
არც კი გავნძრეულვარ; მომწყენია აქ მე...
რაც ნამდვილად მიყვარს, წავა, რაც მძულს, მოვა,
სულ ასეა ჩემი უკუღმართი საქმე.

ისტორიას უყვარს ეს თამაში – ჯაბან
კაცს დროებით აძლევს სადავეებს სოფლის...
ღმერთო, სულით ბინძურს ბნელ სულს როდის დაბან,
რომ ამაოდ აღარ იღვრებოდეს ოფლი?

ალი ჩემი

05.02.2017.

სიმსივნე მხრავს. ეს უჯიშო კიბო როდის
იყო, ხორცს რომ ხრავდა უგრძნობ საგანთა?
ვარ მდევარი დაუღლელი სიბოროტის,
ვხედავ, იგი დაღმართზე რომ დაქანდა.

მზე ცარგვალზე ისე მოჩანს, თითქოს, მაღლა
აუგდია ბერ ანგელოზს მონეტა...
შავი გრძნობის დავიწყების დროა ახლა,
ვებრძვი აზრებს, ბრმებს და სადემონეთა.

ჩემში დიდხანს იგიზგიზებს ალი ჩემი,
რომ დაფერფლოს ეს სხეული, უფალო...
ცამ გაშალა მოლზე მწვანე ხალიჩები,

აღარ მინდა, ამ სენს ვეალუბალო.

კიდევ დიდხანს იმრავლებენ შავი ბლები,
რომ სიცოცხლე დაამარცხოს უჯიშო...
ვცოცხლობ და არც ამ სიცოცხლით დავიღლები,
მე ფესვები სიკვდილს მინდა, ვუთიშო.

ირგვლივ ყველგან გაზაფხულის ველი არი,
სულ სიმღერით ფრენენ დაბლა ჩიტები...
სულ ამაოდ ცდილობს უშნო ბელიარი,
ჩამისახლდეს, რადგან სულ ვერიდები.

მან მომაგნო აქ და ოფლში ვიწურები,
რომ ღრუბლებში დავიბადო თავიდან...
არ მელიან დაბლა ბნელი მიწურები;
სამარეში სულს არასდროს ჩავიტან.

მარადმწვანე 17.01.2017.

ფუნჯი ხატავს ორნამენტებს. ის ლანდია
მარადმწვანე ოაზისის... უკრავს მარში
სამარეში, ცივი, როგორც ისლანდია
და ფოთლების ხეივანი ცეკვავს ქარში.

იმ თვალების ნაპერწკლები ინთებიან,
სულ რომელსაც დავეძებდი, საიმედოს...
ფუნჯი ცაზე აღარ ხატავს ბინდებიან
სხივს, სიკვდილმა ღიმილი რომ გაიმეტოს.

დროის ფრენა მხოლოდ ერთი ჰწკარედია!
გლეხმა ხნულში თესლის ნაცვლად თესა ვალი,
ბრმა აჭენებს საფირონისკარეტიან
ეტლს გაპობილ წითელ ზღვაში... შესავალი.

კლდის ქარაფზე 05.05.2017.

კლდის ქარაფზე იდგა ქალი, გატაცებით მღეროდა,
ეშვებოდა ციყვი დაბლა ძველი მუხის ღეროდან,

იქ ქალაქი იდგა ძველი, ნაშენები ლოდებით,
ზანზარებდა, როგორც ზარი, გალავანი გოდების.

დრო აღარ მაქვს სხვა ყოფისთვის, სულ სიცოცხლეს ვუნდები,
აქამდე რომ ვერ ვამჩნევდი, ფრენენ მტრედთა გუნდები.

როგორ მინდა, სულ ვუყურო, მზის და მთვარის ვნებიან
წოლას ცაზე, ვარსკვლავები როცა ეტმასნებიან,

კლდის ქარაფზე ამოზრდილი დგას და მღერის განცდებით...
ეს ის დროა, როცა ბრძოლით ბედისწერას გავცდებით.

ყოფის კალთები 04.01.2017.

ყელში კოცონი აყვირდა, დაწვა ტკივილის მალამო,
თავო, სატანის აღვირთა გზა ცრემლით უნდა დანამო!

იქ ყოფნა მეყო... მე კიდე, მდევარის როლში ვიყავი,
ჩრდილს სახრით გამოვეკიდე, როცა გავიგე, მრიყა ვინ!

შევქმენი სულთა საელჩო, ხმაში ჩაუდგა რკინა დარს,
შუბლში სიჩუმე გაერჭო ხმაურის მუდმივ ბინადარს!

შავის და თეთრის აღრევამ დახია ყოფის კალთები,
ახლა მზის შუქის სახრე ვარ, ქვესკნელში ჩავღრიალდები!

გარშემო მუდამ დადიან ჭკვიანები და ბრიყვები,
60 შენ კი, სამოთხის გადიავ, დროდადრო ბრიყვებს მიყვები!

ვინც ხალხის ტანჯვა ინება, არ მსურს, კბილებით ვიცავდე,
ბოროტის მოლოგინება უნდა ჩავშალო მიწამდე!

ყოფის მეორე მხარე 08.12.2016.

(სალომეს)

ახლა გძინავს. ისე გიცქერ, თითქოს უცხო
ვარ და არ მაქვს მე უფლება შენი ცქერის,
გინდა, სუნთქვით სამუდამო ძილი სუსხო
და თვალების სიღრმეში დუღს მზის ჩანჩქერი.

ვხედავ, მივქრით შარაგზაზე. კარეტიან
ეტლში ვსხედვართ, წინ დავლანდეთ არე ძნელი,
ისევ ხარობს თვალთახედვის გარეთ ია,
უკან დარჩა გაყინული გარესკნელი.

ქარქაშებში ჩაჟანგული გორდებია
ის დღეები, ჩემი ხმა რომ ვეღარ აგნებს,
ბრმა სხივები მთიდან დაბლა გორდებიან,
აქეთ-იქით ვიქნევთ ძონძებს, მეტალს, საგნებს...

ვიცით, მათზე ფიქრი მხოლოდ ვამპირია,
იგი სულს გვწოვს სხეულიდან, ვუტევთ, გარბის,
ვკვდები, ვგდივარ, ნიღბოსნები დამტირიან,
მაგრამ ვიცი, რა ცოდვაა სული ხარბის...

შენ კი ის ხარ, ვისაც ახლავს ხშირი თმები
ცისარტყელის და ის შენში ბინას ეძებს,
მე შენს შუბლზე ვიმარცვლები, ვირითმები,
შენ კი – ისევ გზას უნათებ სანთლით ბეცებს.

ოცნების მწყემსები

08.03.2012.

(სალომეს)

მიჯნურს მზეს და გულს მიუტან, ცისკენ გაყვები ტაიჭებს,
ღამით კელაპტრად ჯიუტად, ხელში ვარსკვლავებს
დაიჭერ.

ხარ სიყვარულის მთესავი, გსუნთქავ, არ მყოფნი, დაგეძებ,
მინდა, დაგედო მზესავით შენს უყვავილეს ბაგეზე.

სავსეა თეთრი მინდორი შენით... გულშიც ხარ ნამყოფი...
ძვირფასო, მუდამ მინდოდი, ვით სიყვარულის ნაყოფი.

რას გიამბობენ ლექსები, რას გიკრავს ბაღში ფლეიტა?
დროს როდის გამოექცევი ლექსების გალერეიდან?

ვერასდროს! ოღონდ, იცოდე, გავფრინდეთ, როგორც
ფრთოსნები,
რომ ჩემში მარადისობა მწყემსია შენი ოცნების.

ოდესღაც 24.12.2011.

(სალომეს)

ოდესღაც ტირილის ჰანგებით ავივსე
და დროა, ეს სული გარდაქმნას განიცდის...
მე ვწერდი, უსმენდი ლექსებს და კლავიშზე
თრთოდა ვარდისფერი თითი პიანისტის.

ჩემს წინ მდინარეა, შენს წინ – ჩანჩქერები,
დავდევდი სტრიქონებს, სუსტებს, დაუცველებს,
როგორც ანგელოზის თვალით ნაცქერები,
წერილი საყვარელს თვალებს დაუსველებს.

გეძებდი, გეძებდი! სიცოცხლე მეძახის
და როგორც მორწყვისას მებაღის ხელები

და როგორც მორწყვისას თვალები მებაღის,
სიკვდილს და ჯოჯოხეთს ერთად ვემკვლელები.

ახლა კი, სიცილი მეღვრება ჰანგებად,
არაფერს დავეძებ! მე მინდა მხოლოდ ეს:
არასდროს დავშორდე, გვლოცავდეს განგება
და ჩემი ვარსკვლავი სულ გვერდით მყოლოდეს!

ცხელი წვიმა 22.01.2012.

(სალომეს)

ვარ მდელოზე, ვარ უჟმურ და გრილ ღამეში,
ლანდებს ვუმზერ, ბინძურებს და ნაგვიანებს,
ჩემი ძილი დასრულებას აგვიანებს,
მოკვდავობას ვებრძვი, როგორც გილგამეში,

მთები მოჩანს, თეთრი მთები, მთიანეთი
და ვბოდიშობ ჩემი „დავიგვიანეთი.“
სულ მტანჯავდა მარტოობის ტვირთის თრევა,

არ გავატან ამ ტვირთს სულის აღარც მისხალს,
არ ველოდი, ახლა ველი ისევ სისხამს,
მე მათ შორის მცირე სივრცე, თხელი შრე ვარ,

ისევ დილა... მეწამული აისები,
ყანწს, რომელსაც შევეხებით, აივსება.

ვიმახსოვრებ წამებს, როცა შემეხები
ხოლმე, როცა გორდა მორბის ქარქაშიდან,
როცა დილით მოჩანს მწუხრის კაშკაში და
მწუხრში ჩანან ვარსკვლავების ქვემეხები,

ნეტავ, როდის დაბრუნდები ჩემთან, როდის...
ქარი ქრის და სადღაც ცხელი წვიმა მოდის.

*** 09.08.2017.

ხუთიათასი მეგობრის თვალწინ ჩაივლის ნაწერი,
ინტერესს ცოტა ამჟღავნებს, არ მიტოვებენ იმედებს,
ვიგრძენი მზერა გულგრილი, უნდობი და ალმაცერი
და ეს ცხოვრებაც ბოლომდე დავიწყებისთვის მიმეტებს.

მარათონი

03.03.2017.

ჯეირნები ღრმა უფსკრულებს ახტებიან,
ექოს ისვრის ჭიუხების მორევი,
აღარ ძალუძს მსხვრევადბროლისტახტებიან
ჩურჩულს კლდეთა შეკივლების მორევა.

მონადირევ, იქნებ, აღარ გაიმეტო
სასიკვდილოდ ნადირები... ანათონ
ვეფხის დედამ, მოყმის დედამ, საიმედო
კერა, სადაც ღმერთი გეგმავს მარათონს.

უტკბილესი ნაჟური ხარ 16.06.2012.

(სალომეს)

უტკბილესი ნაჟური ხარ, დაწურული ვაზიდან,
ალბათ, ღმერთმა შენი შექმნა ლურჯ ზეცაში აზიდა.

მეც მოვიწევ შენსკენ, არც გზის პოვნის ალღო მღალატობს,
ჩემი სულის სიმშვიდევ და ჩემი სულის ჯალათო.

ჩამოფრინდი ფრთების ტივზე, მე ვიქნები მეტივე,მეტი
მახსოვს არაფერი, მეყვარები მეტი ვერ.

მდინარიდან 08.07.2014.

(სალომეს)

ვიოლინოს წრიპინს სიოს ტალღა ერთვის,
მოდიოდი ჩემსკენ, მოგყვებოდა ლანდი,
ჩაუმქრალი ცეცხლი მოიგონე ჩემთვის,
სააქაოს როცა უკვე აღარ ვჩანდი.

მდინარიდან ფრთხილად მოდიოდა სიო,
მე მიკვირს, რომ გხედავ; არ ხარ, მაგრამ ხარ და
მინდა, ბურუსების ყალიონი ვწიო
და ავმაღლდეთ მზემდე ატაცებულ ქართან.

მოგონების ფერი დავიწყებამ ყლაპა,
ის ბნელია რადგან! დარჩა თეთრი მხოლოდ,
გაიტაცა ქარმა ყორნისფერი შლაპა,
თოვლის ველზე ცეკვავს ცივი სხივის ლოლო.

მოგეკიდა მხარზე ცისარტყელის ჩანთა,
მოდიოდი წყალზე, ტალღებს ფრთხილად შლიდი,
მწვერვალების მიღმა ათინათი ჩანდა...
და გელოდი, მხოლოდ შენ გელოდი – მშვიდი.

სიმღერა მთვარეში 25.08.2012.

ცისა და ღმერთის ამაგო, ნეტავ, თქვენს კოშკად ამაგო,
თქვენთვის მაცოცხლა ნეტავ.
ყვავილთა ყველა ღერი თმა მინდოდა, თქვენთვის მერითმა,
თქვენზე სიმღერას ვბედავ.
წვიმს წვიმის გრძელი, ხშირი თმა, წვიმის წვეთების ჯირითმა
გამომაცოცხლოს, მინდა.
თრთის ფანტელების თარეში; ისმის სიმღერა მთვარეში
– ჩემი სურვილი წმინდა.

უგალაქტიკო სული 31.05.2017.

უგალაქტიკო სული ვარ, ჩემი ხვედრია თარეში
მხარეში, სადაც მძაფრდება მირაჟი შავ სიწყნარეში,

დავეხეტები მდელოზე, სადაც ცრემლები ადინეს
უდაბნოს სუნთქვას და წერენ სიზმრები კარაბადინებს.

როგორ მომბეზრდა ხრიოკი! თავისუფლება მიმძაფრებს
სურვილს აღმართის დაპყრობის, ვეძებ, აღმართავს ვინც
აფრებს.

ყურს ვუგდებ საღამოობით კლდეთა დაღარულ ბარაბნებს,
დავდევ ქარიშხალს, რომელიც სიზმრებს მიგროვებს, არ
აბნევს,

ჩემი სახლია ეს მიწა, ეს ნამეხარი ზეცა და...
ვფიქრობ, სიცოცხლე ეგება ამ სამყაროში მეცადა!

ია 25.03.2017.

მუდარით უმზერს ია რუს: „ვხმები, მჭირდები, მოდიო,“
ზეგანის მაღალ იარუსს ველი აკლია ნოტიო.

„სულ გამეყინა ფურცლები, ნეტავი, მალე ინათებს?“
მაგრამ რუს მკერდში უძლები გულის მაგივრად რკინა
დევს.

„აქ მე უცხო ვარ, გამეცი ხმა, გამილურჯდა კაბა მე,
ყინვის ეკლები ღამეში უღმერთოდ რატომ მაბამენ?“

იამ ფურცლები აწია, იას მთაც გულში იკონებს,
სულ უმღერიან პაწიას სასიყვარულო სტრიქონებს.

66

ბურანი 28.02.2017.

ქვები აშენებენ სახლებს, ტანზე ნარ-ეკალი მაყრის.
ტორებს ღრმა ბურანი მახლებს, წევრი დემონების მაყრის.

ტანზე ლურჯი ცეცხლი მენთო, მანგრევდა სიტლანქე
ლოდის,
ყორანმა დამჩხავლა: „კენტო!“ მაგრამ მისი მჯერა
როდის?!

ხევენ ქარიშხლები ტატნობს, რბიან ფაშატები შიგნით,
მძაფრი სიყვარული მადნობს, ვერთობი გონების ჯიქნით.

უხმო ნაპერწკლები კრთიან ყველგან და მოველი ბინდებს,
ვიღაც მიღიმის და ფრთიან ალებს უჯრედებში მინთებს.

სახლებს აშენებენ ქვები, შიში ადამიანს ჭამდა,
ავადმყოფ კოშმარებს ვყვები, მფლობელი ცარიელ ჯამთა,

მფლობელი მახვილის, თუ ის მოდის ღრუბლებიდან
ჩქარა...
ჩემთან ხომ არავინ ტყუის, ჯერ წინ მაქვს სიმართლის შარა.

ხელებაწვდილი 14.05.2017.

აღარაფერი მახარებს, აღარაფერი მარგებს,
უკვე გავურბი იმედებს, მაცოცხლებლებს და კარგებს.

სიცოცხლე აღარ მაღელვებს, ვეალერსები დაბლა
დაყრილ იარაღს; ბოროტმა მზის ყველა სხივი დაფლა.

ვაკოწიწებდი ნამსხვრევებს ჩემი გულისას, მაგრამ
ახლა ჩემს ხილვებს ვარდისფერ ლიბრს ვეღარაფრით
ვაკრავ.

ვხედავ, თოვლიან სივრცეში გარბის ცხენების რემა,
მე კი მეწყება კანკალი, კრუნჩხვა, სპაზმები, გვრემა.

ხელებაწვდილი მომბეზრდა დგომა! მე მჯერა იმის,
რომ ვეღირსები ვერასდროს სააქაოში ღიმილს!...

სისხამი 11.06.2017.

(სალომეს)

ყვავილების წვიმა-თოვა შეგიყვარდა ასე სავსე,
მე ზამთარმა მიმატოვა და უნიჩბოდ დავრჩი ნავზე.

ეს ღრუბლები აფრებიან გემებს გვანან, როცა გვიან
ღამით დაიზაფრებიან გრიგალები, გზებს რომ გვიან.

მაგრამ შენზე ამინდები ვერ მარჯვობენ, ისევ ის ხარ...
და თითები ამინთებენ გრძელი ღამის შემდეგ სისხამს.

დაკარგული კერია 11.11.2017.

შავ ფონზე თეთრით წერია: „ხალხისთვის უნდა იარო
და ღია გქონდეს იარა“ დაკარგა თბილი კერია
შემოქმედს ვინც ეზიარა...

ვუსმენ ნოემბერს წვიმათა წკაპუნს და მოდის რიჟრაჟი,
შენში გადარჩეს ის ვაჟი, ქვეყნისთვის ფარი კვიმატი,
მტრისთვის – მებრძოლი გიჟმაჟი.

თიხის მსხვრეველები 20.01.2017.

ჩანს დღე სიკვდილად, ღამე – ხსნად,
რომ საბოლოოდ გამეხსნათ
გონების ბნელო კარებო.

ვათვალიერებ კუნჭულებს
იქ, სადაც მნათე ძუნძულებს,
მაძღარი და უზარებო.

არ მომეწონა იგი მე;
იერი ქონდა იგივე,
როგორც მსხვრეველებს თიხათა.

თიხა კაცია, იგი თუ
გავრიყეთ, წავალთ იქითურ
ტბაში, ავმა რომ გვიხატა.

იწვა ღელეში კამეჩი
და ღელის სიკამკამეში
ქვიშაც რა კარგად მოჩანდა...

არა ცარიელ ქარქაშებს!
თუმცა, დღითიდღე „კაშკაშებს“
ნაჯღაბნი ცრუ კალმოსანთა.

სალამურები 07.01.2017.

სალამურები უკრავენ ირგვლივ და ვფიქრობ: „იქნებ,
ხმებისთვის ვლაბირინთდები?“ ხელებს გიჟივით ვიქნევ.

ძველი კვართის წინ დავეცი, მსხვილი ცრემლები ვყარე,
ახლა წარსული მხარეა ჩემი დესპოტი მხარე.

კოშკი ინგრევა მაღალი, ანგელოზები დუმან,
ჩემს ხალხს სიცოცხლეს შევწირავ, შვილად მიმიღო თუ მან.

ვებრძვი საკუთარ ორეულს, რომელიც ვეღარ ირგებს
ორეულობას, იქ, სადაც ვღეჭავდი მუხის ჯირკებს.

მე არაფერი მერგება და ვერც ვერავის ვარგე,
დე დავრჩე ასე უსახოდ, უნდა დავლეწო სარკე! 69

მას მიეტეოს, ვინც ღმერთის ნაბოძებ სითხეს გვიშრობს,
წყალი ისმევა, იღვრება, ვერაფერს ვუზამთ ქვიშრობს!

ილუმინატორი 12.04.2017.

გამჭოლი სიტყვების სროლა ჩემს ილუმინატორს აღებს,
იმსხვრევა წითელი ბროლი, სინათლე უკვდებათ ჭაღებს.

მიწისძვრა ვიხილეთ ორმა – მე და მარტოობის დაღმა...
მძლავრობს ტყვიისფერი შტორმი გონჯი გალაქტიკის
გაღმა.

უნდა მოწყენილი ვართო ჩემი ანარეკლი სარკის!
მე ვრჩები ურჩი და მარტო; ვეღარსად ვიპოვე კარგი...

ტყვე ვარ უშავესი აზრის, ლექსი მაშიშვლებს და ტირის...
მინდა სხეულისთვის კასრი ნაშუაღამევი ჭირის.

ველური სურვილები 08.03.2017.

იწოდა მზერა გათოშილ ოთახში, სადაც აბნევს
იერარქია ჯადოში უხეშად მიყრილ საბნებს.

ცათა კივილმა იძალა, ხორხი ხრიალით დასკდა,
სხვაგან დაერჭო ფიწალი მოხეტიალე ბასკთა.

კოშმარმორეულ თონეში იწვის პური და ამბობს,
რომ ტილოები მონესი იღებენ ურიცხვ ამბორს.

ეკლები გვანან ყაჩაღებს, სხეულშიც აღარ დახტის
ის, რაც მუდმივად აჩაღებს ველურ სურვილებს ტახტის.

ისევ დავკარგე გონი და ვიპოვე, რაც კი არ სურს
70 უმკვიდრო კაპიშონიდან ტვინში შეტყორცნილ ავსულს.

შემოქმედის საქმე 08.01.2017.

ღმერთო, ნეტავ, ურჩი სული არ გამიხდეს ძლიერ ავად,
შემოქმედის საქმე როცა ტახტზე ცეცხლის მიერ ავა,

როცა შევალ სიზმრის ტბაში, დავინახავ როცა ნავებს,
მოვიმარჯვებ როცა თითებს, თეთრ ფურცლებზე
მოქანავეს,

ნუ გამიხდი მელანს შხამად, რითმს – ხელებად,
ჯვარედინად,
სული ისე მეღლებოდა, როცა კალამს არ ეძინა...

გაზაფხულზე, დედამიწა რომ ჩაიცვამს კაბად იებს,
როცა ხალხი შეგიყვარებს, პოეტობას გაპატიებს,

იტყვი: „ნეტავ არ გამიხდეს ურჩი სული ძლიერ ავად,
შემოქმედის საქმე როცა ტახტზე ცეცხლის მიერ ავა...“

გადაფიქრება

05.05.2017.

დილით მოდის ხომალდივით საიქიოს ელჩი,
ის შედგება ბურუსისგან, არ აქვს სახე, ტანი,
დავინახე თეთრი მტრედის გარდა სხვა ქედანი,
ფრთების ქნევით მიმიძღოდა ჯოჯოხეთის ხვრელში,

დიდი იყო ის ქედანი, შავი, როგორც ყვავი,
არ მენახა, იქედნური, მტრედს ქონოდეს ღიმი,
სადღაც ჩამწყდა გულის ყველა ძარღვი, ყველა სიმი,
მე – მდუმარე, რეალურად გულში მხოლოდ ვბღავი.

მე არ მინდა, მას რომ გავყვე, ვწვალობ, უკან ვიხევ,
მაინც აქ ჯობს, სააქაო არის თუმცა ციხე.

აქ – წვალება, იქ – წვალება, სად წავიდე ღმერთო?
თავს დამყურებს უპასუხოდ მოკაშკაშე რკალი,
აკლდამასთან ქალი მღერის, შაოსანი ქალი,
ის, რომელიც უიღბლობამ მარტოობას შერთო.

აისვეტა ჩემს წინ ლანდი. ლანდო, თქვი, რა მიდევს
მკერდში, რატომ ვერ ვცნობ ჩემს თავს, რატომ გავხდი
უცხო?
აღარ მინდა, შავბნელ ფიქრებს მაგიერი ვუზღო
და გავყურებ ჰორიზონტზე ჯიუტ პირამიდებს,

კაცის ხელმა რომ ააგო, მაგრამ, უფრო ღვთისამ
და ვწერ: „რასაც ვაპირებდი, აღარასდროს ვიზამ.“

მკლავთა დაისი 06.04.2017.

უკრავდა უცნობი ბგერა, გოგონა ტირის და ამბობს:
„ჩემი აღარავის ჯერა...“ ის სიკვდილს უგზავნის ამბორს.

ბოძივით სწორდება მთვარე, ჰორიზონტს მორევში
კლავდა
ღალატი, გესლივით მწარე, წილი ჩამოშვებულ მკლავთა.

ცრემლები დაიქცნენ ტბებად, გულები სურვილმა დაყო...
მყინვარი არასდროს თბება და გვამში ჯაყჯაყებს ჯაყო.

ილოცე, ქაოსის მრევლო, გამოდი ნერგიდან, ყლორტო!
მინდოდა, მღვიმეში მევლო, მღვიმემ კი ღრიალი
მორთო...

წკავწკავებს დაბმული ძაღლი და ვიღაც გრძელ სახრეს
უქნევს!
მე ტყვიებს სახეში ვახლი ეშმაკებს, ბერწებს და მსუქნებს.

ცრუ ლოცვა 26.05.2017.

საკენკს კენკავენ ჩიტები, კიბისქვეშ კვდება ძე კაცის,
მგელი პოულობს საკბილოს, შია და ჩქარობს, დაკბინოს,
მაშინებს უშნო დრეკა ცის და დრამას შევეჭიდები.

ქვეყანა გახდა უნდო და ცივი, ყინულის ლოდივით,
უნდა სეირი და პური. ყოველი მამაპაპური
კვდება სიცილის მოტივით – ახდა, რაც ეშმაკს უნდოდა.

არ გვინდა ცისკენ, ჩუმისკენ, მხოლოდ ბრჭყვიალი
აბოდებს
განათლებულს, თუ ამებას. რაც გვინდა, სულში გამებას,
გავს ბაღში დაყრილ ნაფოტებს; ცრუ ლოცვა – „ღმერთო,
ნუ მიწყენ.“

მხრები-ჰამაკები 18.05.2017.

წვიმა დაასხა ცამ კუბოს, მხრებზე ირწევა რომელიც.
სიკვდილს უნდა, რომ დამღუპოს და უმწეობა მომელის.
ხმა ხორხში შხამად ჩამახმა, ხავილი მესხმის ტურების.
თვალებს დავხუჭავ; ამაყმა არ ვიცი, სად ვიყურები.

ჩემი იღბალი ვანდე მის ხედვას, ვინც იცის, საიდან
მომემსხვრა ხროვა ლანდების; და ეს ვარ მე ვინაიდან
– მარტო მჩვევია ტარება საკუთარი გზის და თავის
და ვეღარც მეაფთარება ყალამი ჯოჯოს მხატავის.

აღმართი 26.05.2017.

მუქნაცრისფერი ღრუბლები, მონარქის სრული უფლებით
და ღამის შეალუბლებით, ქაოსმა უნდა დაღადროს.

მსურდა, მერითმა ყოველი, როგორც ველი და ცხოველი
და სიკვდილამდე მოველი ბედ-იღბალს... თუმცა, რაღა
დროს?

დამიხრავს მალე ჭია ტანს და სხვა იონა მიატანს
საუზმეს სხვა ლევიათანს, მე კი დავრჩები უჩინო.

თუთას ვუყურებ, თუ შინდებს, თუ ჩემს სურვილებს,
გუშინდელს,
მინდა, რომ არ შეუშინდეს და აღარც მე შევუშინო

წყვდიადს სინათლე მოზარდი, უკრავდეს ბახი, მოცარტი
და ისევ გასაოცარდი ჩემი სიცოცხლის აღმართო!

გახსოვდეს, გისმენს მამა. ხმა უგზავნე, ხომ არ ჩაგახმა?
ხელები, როგორც ამაყმა, სულ მაღლა უნდა აღმართო!

მირაჟის ხვავი 14.01.2017.

ნელ-ნელა იშლება ჯაყვა,
მშვიდობამ ზღაპარი მოყვა.
იმედი საფლავში ჩაყვა
წყვდიადს და ისწავლა მუხლებზე ხოხვა.

თავზე დამამსხვრია შიშმა
ლტოლვა უგემური სახლის...
„უნდა ახლებურად იშვა“
– ბურუსი განაჩენს სახეში მახლის.

ვგრძნობდი ჭაობების სურნელს,
დაჭრილი ხარივით ვბღავი,
სპაზმებმა ჭრილობა კურნეს,

თვალებში ჩამახტა მირაჟის ხვავი.

მუსიკა კელაპტარს მინთებს,
განვდევნე ხმაურის დოგმა,
ბოთლებში ვაგროვებ ბინდებს,
რომ დილით დამისხას სხვა ხართა ჯოგმა.

გავრბი დაქსელილი გზიდან,
ვსახლდები მდუმარე სკასთან...
ისევ აღმართებზე ვზიდავ
უცნაურ კლანჭებს და დათმენას კაცთა.

ფიჭვის და საკმევლის სუნი 19.07.2017.

თეთრი როიალის ნახვა დამჩემდა ხილვებში ფერად,
გაფრენილ იმედებს გაყვა უღრუბლო ბავშვობის მზერა.

ვედექი გაზაფხულს მხარში, გაუმქრალს, წვიმიანს, დაღლილს...
მდუღარე მდინარემ მხარშა, ცრემლებმა წალეკეს სახლი.

ფიჭვის და საკმევლის სუნი ერთმანეთს ერწყმოდნენ ისე,
მე მგლეჯდნენ ფლიდნი და ცრუნი და ვეგდე, უხმო და მტკიცე.

ბინდი

20.07.2017.

წყენის სიბრაზედ ქცევა რომ ავირიდო, მინდა...
ღრიალა ბნელში შევა ვიდრე მდუმარე ბინდი.

სულს მინადგურებს რუხი აურის აღქმა ყრუ ხმად...
აქ საკრალური კრუხი დაკორტნა კრავთა კრუხმა.

შხამიანი მზით მორთულ ცას ზედმეტ ბარგად ვერგე...
მე ვიღაც მიქნევს ხორთუმს და ვთხრი ავადმყოფ ნერგებს.

ოთხნი

01.03.2017.

მეკარე ავსებს ქვითრებს, ძმები გრძელ რიგში დგანან.
ჩვენც იმ გრძელ რიგში გვითრევს ჩვენი ცოდვების ყანა.

ძმები ელიან თავის ბნელ კარში შესვლის წუთებს,
იმ კართან ვიღაც ბღავის, რადგან შვილს ღამეს უთევს.

იქნებ, გადარჩეს ბავშვი, თექვსმეტის არის მხოლოდ,
იქნებ, სამოთხის საშვი სხვასაც ეღირსოს ბოლოს.

ის დაჭრილია დანით, ის დაჭრილია ათგან,
პირქუშად დგანან ძმანი, სითბო არ მოდის მათგან.

მათ მიაწოდეს დანა მოზარდს, მწოლარეს წუხელ,
ახლა კი კართან დგანან ოთხნი და სვამენ წუხილს.

არყოფნის მოტივი 20.05.2017.

მუქლურჯი საღამო ადგა და
ჩაიცვა წყვდიადის ძაძები...
შორს სივრცე გამოჩნდა ქათქათა,
მომავლის მზით განატაცები.

ღრუბლები – ფურცლები ზამბახის,
დაისი – მდინარე პოეტის...
ბურანში აჩრდილი ჩამძახის,
ნათდება სამეფო რტოეთის.

აკლდამებს ვეკვროდი მძინარე,
ვნატრობდი მკვდრადყოფნას დაღლილი,
ნეტავ, ეს აკლდამა მდინარის
ნაპირზე ამეგოს სახლივით...

ვარ მიწის ქვესკნელში მრიყავი
და გულიც მძიმდება ლოდივით...
ვიცი, რომ ამ დროში ვიყავი
შეცდომით, არყოფნის მოტივით.

მე მთელი ღამე ვწერდი 10.06.2017.

მე მთელი ღამე ვწერდი; გრიგალი აღარ ჩადგა...
ვუმზერდი რაღაც წერტილს კედელზე, როგორც ბატკანს.

გადაველეწე ჯაგებს, რომელიც ხევში მიდის...
აქ პასუხს აღარ აგებს არქიტექტორი ხიდის.

წარმოვიდგენდი თამამ ფორმებს როდესაც კლდეთა,
თქვა ხოლმე ბნელის მამამ, რომ კვლავ მელოდა ლეთა.
გამოვიგონე დოგმა, რომელსაც ხიბლში ვყავარ,
გადაირბინა ჯოგმა ჩემს საცხოვრისზე, მთავარ.

მე სად წავიდე, ბაღმა უარი რომ თქვას ჩემზე?
ძარღვებში სისხლი გახმა, ვერც საკუთარი ვკემსე

სულის იარა... მაგრამ ჯერ იმედი მაქვს კიდევ;
რაც დღევანდლიდან გაქრა, ხვალის გეგმებში მიდევს.

წითელი დაისი 20.06.2017.

დაბლა ღრენა ჩაისმა, ცას იარა მობანა
მეწამულმა დაისმა და ცრის უნდობლობანა.

რაც მიყვარდა, ო, გახმა, დამრჩა სტიგმა უხეში,
დამატყვევა ოთახმა ფიქრთა სიმარწუხეში.

წითელ დაისს პალმა ხევს, ზღვის ნაპირზე ნაზარდი, 77
მდინარეში კალმახებს ახტუნავებს აზარტი.

აშიშხინდა ტაფაზე რაღაც, მსგავსი ნარ-ეკლის,
ვერასოდეს ვაფასებ თვალებს, ცაში არეკლილს.

ფოთლების ბანქო 13.12.2017.

ტრიალებს ფოთლების ბანქო, კოცონი ტრიალებს დროში,
სიცოცხლეევ, ავო და ტლანქო, დაუშვი სამკუთხა დროშა.

ცეკვავს მათრობელა ბოლი, ხორცი კიდობანში ჩახმა,
ლოყები – მარწყვი და ჟოლო, ტუჩები – ვნებების ნაღმი.

თვალებში ყინული შედნა, ბაწარი ეკიდა ხეზე,
იფრქვევა მღვიძარე ეტნა და წერს ტრამალებზე ჰესე.

ეცემა ყოველი მეფე, ეცემა ყოველი მონა,
ისევ მამონები ყეფენ და ისევ მეფობენ დრონი.

ვიღაც ვიღაცას ატირებს 22.04.2017.

ვიღაც ვიღაცას ა ტ ი რ ე ბ ს (ნ ა დ ი რ ე ბ ს არ აქვთ ჯიგარი)
მიკარი ხელი სატირებს, ანდა, ჩაიცვი სტიქარი,

ანდა, აიღე შ ე ნ თ ო ფ ი, ე ნ დ ო ბ ი ნუღარ, საბრალოს,
მაბრალო უნდა შენდობის შესმა, საფლავის ნაპრალო!

დიდხანს ვინც ავად მ ი ყ უ რ ა, ჯ ი ქ უ რ ა დ, უხმოდ წავიდა,
ნავიდან გაქრა ფიგურა და დრო შეიქმნა წამიდან.

ღმერთო, მოკეთე მ ი ლ ო ცე, კ ი ლ ო ზ ე შენი გონების,
მონები დროის ტილოზე სულს ნუღარ ვედემონებით.

დაცემა 12.02.2017.

ღორები იძღობენ უძირო მუცლებს,
ძაღლები მცველებად დგანან,
ცხვრები კი სულ დუმან და ვეღარ უძლებს
პატრონის დაცემას ყანა.

ცხენები უაზროდ ზიდავენ მხედარს,
მამალი უაზროდ ყივის;
უგემურ განთიადს ვერავინ ხედავს,
ვერ ხედავს ბუნების ტკივილს.

არ აქვს დასასრული წამებას მხოლოდ,
უცინის ჯოჯოებს ბედი,
არავის აღელვებს სიმღერა ბოლო,
თუ მღერის უცნობი გედი.

ლომების ბუნაგი ციხეა მწირი,
მშვიდად დაპარპაშებს მელა,
გოლიათ მუხებს კი ეთხრებათ ძირი,
რადგან სულ ბნელა და ბნელა.

რიჟრაჟი ძალას იკრებს 07.04.2017.

რიჟრაჟი ძალას იკრებს, შორს დაიკივლა ბუმ.
შეჯიბრი უნდათ ჯიგრებს, ბრძენი ჯიუტად დუმს.

ქალმა თაროზე შედო წიგნი, რომლისაც მწამს,
ნუ ემტერები ბედო შესაჩერებელ წამს.

აქ: ვიღაც ხელის მტევნებს საერთო გობში ყოფს.
გადავიკარგე, ვევნე, ვუმეგობრდები თოფს.

ვიგონებ ახალ საკრავს, კოცონს კოცონი ცვლის,
ირგვლივ მცველებად მაკრავს კედლები გველის ძვლის.

გზად ცულის პირი ეგო, გავრბი და ტანში მცრის...
ნეტავ, მომიკვდეს EGO ნაცვლად მოსისხლე მტრის.

დაშხამული ჟასმინი 31.05.2017.

ვდგავარ ნავსადგურში, გემს ველი, მაგრამ იგვიანებს იგი...
დარბის გეიზერის შემცველი სხივი სისხლძარღვების იქით.
აეკრა მეწამულ ცას მინა, გისოსი ხმაურობს თავში...
მათრობს დაშხამული ჟასმინი, დავეძებ თრობასთან
კავშირს.
მინდოდა, ანგელოზს ვენახე, როდესაც ვანთებდი
კოცონს...
ვაყვავებ დუმილის ვენახებს, რომ ხმები (უაზრო) ხოცოს.
მე მუდამ მოტირალ ცას ველი, მუდამ მელანდება ციხე...
მსურს გზები, ირიბი და სველი და უკან არასდროს ვიხევ.

ღამეთა თევის ჩვევა 16.01.2017.

სილიან ნაპირს ვნახავ, როცა ქალაქში შევალ
და ღრმად შემანჯღრევს ახალ ღამეთა თევის ჩვევა.

ვდევნი რუტინას და ხევს ავსებენ ცხელი ცვრები,
უძველეს ანდერძს დახევს ბრმა, მე კი ხევში ვძვრები.

ხმას აღარ იღებს კრავი; უნდა შეთქვლიფონ, იცის...
მომრავლდა ხელის მკრავი მოძმის, რწმენის და მიწის.

რაც არ ჩანს, ადრე ჩანდა, ხედვას აბრკოლებს ხორცი,
ღალატით სავსე ჩანთა იხდის პომპეზურ ქორწილს.

ცხოვრება ბრძოლას მიგებს, ვედაისები მუხებს,
80 ღალატით სავსე ტიკებს კარს მატერია უღებს.

რატომ მიყვები ზღაპარს პლანეტის ავო ყოფავ?
სულს სამართალი ღაფავს, შენ კი მის სივრცეს ღობავ.

ვხვდები, თითების კანკალს ვერსად გავურბი და ვარ
ასე, როდესაც კარგავს გონი იდეებს, მთავარ.

საცეცები 27.07.2017.

ჰაერზე იზრუნა ვიღაცამ, გარშემო დაუდგამთ ნაძვები,
დაიდგა კუთვნილი ჯიღა ცამ და მუხის გალავანს ვაწვები.

ეს ლექსი რამდენი ირანდა... ვინ წავა მაღლა და დაბლა ვინ?
ვარწყევდი საფლავებს ტირანთა: ტირანებს რად უნდათ საფლავი?

რა არის პოეტის მყოფობა, მხოლოდ საუბრების მასალა?
ქალივით გადაწვა ობობა, თექვსმეტი საცეცი გაშალა.

დროს ველი, როცა 06.05.2017.

დროს ველი, როცა ავალ ბოლო მწვერვალზე დროის,
სადაც უნახავს მრავალ ფვერთა პალიტრა ჯოისს.

როცა მოვუსმენთ ბოლო სადღეგრძელოებს ერთხმად,
ოცნებავ, ჩემში მქროლო, ვერ დაგცა ავის კვერთხმა.

უძირო ზღვაში ვანთე მხნე ჩირაღდნების ჯგუფი,
იქ, სადაც იდგა დანტე, ატყდა სიტყვათა ჩხუბი.

უამრავ სცენას ვნახავ ჩემი ცხოვრების გზიდან,
სადაც ყოველდღე ახალ ჯვარს გოლგოთამდე ვზიდავ.

ეულ ბრონწეულს უხმობს წარმოსახვითი ბგერა...
მე ვერ ამანთებს უხმო გულების ჩუმი ძგერა.

დროს ველი, როცა ამბავს იტყვიან ჩემზე: „მოკვდა!“
ახლა სიყვარულს სტამბავს ძღვენი გარდასულ მოგვთა.

ფრთები 26.07.2017.

(სალომეს)

იდექი ქვაზე ნათალ, ელოდი ციდან ექოს,
იმედის ზარმა რათა ყველგან, ყოველთვის რეკოს.

მზერით მივსებდი ორმოს (შენ ქარიშხლები ზიდე)
შენ და მე ერთად ორმოც წელს უნდა ვიყოთ, კიდევ,

ან ორმოცდაათს... ღმერთი რამდენსაც იტყვის, ანდა,
შენ იქ ჩანდი და ჟღერდი, სადაც, მეგონა, ჩანდა,

მხოლოდ, წყვდიადი, მაგრამ შენ სინათლეში კრთები...
ფრთებზე ფოთლების დაყრამ გაგიფერადა ფრთები.

კურთხევა 02.07.2017.

დაკარგულ ბავშვობას მივტირი... იგი მეორდება რატომ არ?
იქ მიწევს ყოფნა და ტივტივი, დრომ სადაც ღიმილი დატოვა.

ვარ მხეცი. ტორები ჩავყავი მხეცური გონების გუბეში.
სულ მესმის ღრენა და ღავღავი, არ არის შვება და ნუგეში!...

ყურებში უღმერთოდ შეისმა ყვირილი, წყევლა და გინება...
ცოდვებით დამსკდარმა ქეისმა დატბორა სამკუთხა ბინები.

აქ ყრია ურო და ფარგალი... კურთხევა გაისმა წევრობის...
 და მაინც, ჩამკვდარი ჩარგალი ცენტრია ბებერი ევროპის.

დარბაზი ქვაში 20.03.2017.

დარბაზი ქვაში. რუხი შუქი უკრთოდათ ჭაღებს,
მე ვუსმენ სისხლის დუღილს და ვიღაც კარებს აღებს.

გამღებს არ ქონდა სახე, ვუყურებდი და ვდუმდი
და სისინებდა მკვახე გველების ბრების გუნდი.

თითქოს ხელახლა ვიშვი, როცა მომესმა ეს ხმა,
აღარ ვაპირებ ვიშვიშს, რაც უნდა მითხრას ლექსმა!

გულზე დამახტი მჯიღო ჩემი უცნობი მესი!
სადაც არ უნდა ვიყო, წივის წითელი წესი.

მეც ვეღარ ვიტან თხათა მოძღვრებას, ვხვდები მუშტით!
ზღვამ ჯოჯოხეთი ხატა და შტორმს ორივე ვუცდით.

საილუზიო ხვავი 04.01.2017.

ცრემლი გარდაქმნა ხმებად ნანახი სცენის კრახმა,
ძარღვებში აღარ ხმება, რაც გულგრილობით გახმა.

სადღაც ჩაიმსხვრა ღერძი ამქვეყნიური ვერხლის,
მე იმ მდინარეს ვებრძვი, რომელიც რუსაც ვერ ცვლის.

ჭრილში ნისკარტი ჩაყო ბუმ და შედეგზე არ წუხს,
მიცდის ნაყმევი ჯაყო, როდის მომიჭერს მარწუხს!

მიმდის გონება... ვიღაც გამვლელი მიკრავს თასმებს,
ზელს კალატოზი თიხას და ამღვრეულ წყალს მასმევს.

მიხდება იმის ჭამა, ჯერ მიჭამია რაც არ...
მე ფიგურების მამა მაყრის თვალებში ნაცარს.

საილუზიო ხვავი სულ ჯოხებივით ვთალე...
მკორტნის ბებერი ყვავი, რათა ვეკურთხო მალე.

ხმელ ფიცარნაგზე 22.03.2017.

ხმელ ფიცარნაგზე ვწევარ, წვალობს ორივე ფილტვი,
გარეთ სარბენად მწევარ ძაღლებთან ერთად ვილტვი.

გვერდით არავინ არის, ბუტბუტებს მხოლოდ ტროლი
და მსტუმრობს მხოლოდ მთვარის ქარი, ხარხარით
მქროლი.

მზეო, ბნელო და ჯუჯავ, ღამით ანათებ რატომ?
თეთრ მზერას რატომ რუჯავ, რატომ დაგმარხა ჯადომ?

მტვრიან თაროზე ვურტყი მარგალიტების შარა;
არ მყოფნის ქვეყნის ფურთხი დავიწყებისთვის, არა!

მიმოდიოდა საქართველოში 14.02.2006.

ნეტავ, რა არის ჩვენი სამშობლო, პატარა ლაქა
რუკაზე მხოლოდ?
არ დასრულდება ბრძოლა არასდროს, ჩვენ სამუდამოდ
უნდა ვიბრძოლოთ!

მიმოდიოდა საქართველოში ბრძოლის ქარცეცხლი,
ყრუ და მკათხიო,
ყველგან ისმოდა ნაცნობი ხმები – ხრიალი, რომლის
ბოლო ხათვია,

ტრაგედიების რეკავდა წამი, ქალებს სდიოდათ
კრემლის მდინარე,
ესიზმრებოდათ მებრძოლებს ომი, ყიოდა სისხლი
დაუძინარი,

საუკუნიდან საუკუნემდე არ დაგვშრობია სისხლის აუზი,
მებრძოლმა მუდამ უნდა იბრძოლოს, ჩვენი მტერია
ბრძოლის პაუზა!

დასაბამიდან დასასრულამდე მოვდივართ ომით,
შრომით და მარად,
მარად იქნება ქართველი ერი, დღემდე მოსული
რწმენის კამარად,

არა, არ არის სამშობლო ჩვენი, რუკაზე მხოლოდ
პატარა ლაქა!
მარადისობას შეეზიარა, ვინც იმ ბრძოლების
კოცონი ნახა!

ლოდი და გოდო 31.03.2017.

მშრალ ნაკადულებს აგნებს ამაოების ცრუ ხმა,
სადღაც მიწიერ საგნებს მიაგნო ლანდმა, რუხმა.

მე ვარ გამშლელი ბადის, ვიჭერ უსულო მხეცებს,
გული ადის და ჩადის, მაგრამ არავინ მეძებს.

მე ვიმალები; იქ მე არ მინდა, სადაც, ვიცი,
მიწა მომისჯის სტიგმებს, ყოფა დამიშლის სიცილს.

აღარ მოვიდა გოდო (ახლა მტრედია იგი)
შენ კი, სულ მიხტი, ლოდო, მკერდის დარაბებს იქით.

სიმშვიდე ბრძანებს

28.08.2016.

(სალომეს)

ისეთი დღეა, როცა გიყურებ, მეც სამოთხეში
მგონია თავი,
ისეთი დილა, ისეთი ღამე, მიყვარს ყოველი,
მტრედი თუ ყვავი,
ვგრძნობ, ცოცხალი ვარ, რადგან სიცოცხლე განგებამ
მუდამ შენს გვერდით მარგო,
ისე ანათებ, ვხვდები, წარსულში რისთვის მოცურდა
კოლხეთში „არგო,“
გარემოს უცქერ, თითქოს უცქერდე აპრილის ჰეპლებს,
მაისის ყანებს,
ნეტავ გიყვარდე სულ ისე, როგორც ჩვენი
საერთო სიმშვიდე ბრძანებს...
მომეცი სარკე! უკვე ვაგროვებ ადრე გადაყრილ სარკის
ნაწილებს,
რადგან სიკვდილზე ვეღარ ვიფიქრებ, რადგან სიცოცხლე
თვალს არ მაცილებს
და ვიცი, მხოლოდ მდუმარებისას უკრავს ასეთი
ტკბილი გამები...
მადლობელი ვარ, მადლობელი ვარ, რომ სიყვარულის
ქსელში გამები!

აღარ იმარტოო! 04.03.2012.

(სალომეს)

შენი სახე ანგელოზის დარად გულში მედო,
სიყვარულის შემოქმედო, ფრთაქათქათა მტრედო.

მაჯადოებს ეგ თვალები, წამწამი და წარბი,
შეჩერდი და მოახლოვდი, ნეტავ საით გარბი?

მე მარტო ვარ, მაგრამ მარტო შენ რატომ ხარ რტოო?
მარტო – თვეო გაზაფხულის, აღარ იმარტოო.

მომაგებე ეგ ხელები შავი ნისლის ნაცვლად,
ჩემმა სევდამ მწვერვალზე რომ ვეღარ შეძლოს ასვლა.

აღმიმართე დღეს და ღამეს შორის თეთრი ხიდი...
თეთრი, როგორც თოვლი, თეთრი ღრუბელივით მშვიდი.

ჩამოეშვას ჩემს და მიწას შორის შავი ფარდა,
ჩემთვის არის არაფერი, შენი სუნთქვის გარდა!

ერთხელ 05.02.2017.

ერთხელ ჩემთან მოვიდა კალატოზთა მესაჭე,
სურდა, შავი კურთხევით იქვე რომ დავესაჯე.

მე ვუთხარი: „რა გინდა ქვისმთლელების მაგისტრო,
ან რას ელი? არასდროს მოვა ჩემთან მაგის დრო.“

ადგა, კარი გააღო და უსიტყვოდ წავიდა,
დამიტოვა არავინ კარის დამკეტავი და

ამის შემდეგ სულ ვფიქრობ: „კარი ღია იქნება,
მისთვის, ვისაც ეკუთვნის ღია კარის მიგნება.“

დილის სიმღერა 02.01.2017.

ვერიდები იმ კერებს, სადაც ალი ქრება,
მე კი მუდამ მიმტერებს მოლაყბეთა კრება.

გულში აღარ მიმატებს ეს დღე მძიმე ლოდებს,
დავდევ ჭინკებს, კვიმატებს და წყვდიადი გოდებს.

მოვა ჯარი წვიმათა, როგორ ველი იმ დროს!...
სასოებამ მიმატა, აღარც რწმენა მიმტრობს.

რა ვქნა, რა ვქნა, თუ ქურდმა ეს წუთები მპარა?
ვთალე ცეცხლის ჩუქურთმა, ვმწყემსე ფიქრის ფარა.

არავინ მყავს ბატონი, როცა დილა მხედავს,
სულნი საფარფატონი არ მტირიან ცხედარს. 87

ლექსით სადაც მივედი, ღამემ ბნელი დათმო...
ჟღერდეს საარწივეთი და ლომების საძმო!

მოსასხამი 28.05.2017.

მასხამს დაღლილი ძაღლის წუხილს რუხი ე ს ღ ა მ ე.
მ ე ს ხ ა მ ე შხამი-მოსასხამი, როგორც მ ა ნ ტ ი ა.
ა ნ თ ი ა ცეცხლი შევერცხლილი თითების ტ ი ვ ზ ე.
მ ი ვ ც ე, თუ არა გასაღები სამოთხის, ა მ წ ა მ ს?
წ ა მ წ ა მ ს უწეწავს მაისს ქარის მყარი ხ ა რ ხ ა რ ი.
ა რ ხ ა რ ი ს კაცი, ვისაც ელის შემჩნევა ს ა დ მ ე!
დ ა თ მ ე გვამური სურვილები. ვილევი დ ა მ ე
ღ ა მ ე მიყურებს. თხელ ფიგურებს ვძერწავ და ვთვრები.

ღმერთი და მე 01.04.2017.

ისევ ერთად ვართ ღმერთი და მე, როგორც ადრე.
ის სულში ლოცვებით შემობრძანდა, მაფარა კალთა,
ყოფის გარშემო გავაკეთებ ფიქრით ათ რეისს,
რომ ვიგრძნო ხორცის უმწეობა გონების ხმალთან.
მე ვეღარ ვიტან ქვეყნის ხმაურს... სიჩუმე მხოლოდ!
ვფიქრობდი ბედზე ნაწვალებთა, მოკლულთა, მგზავრთა,
მშიერ-ტიტველთა... საქმით, კალმით უნდა ვიბრძოლო,
რომ სუფთა ვიყო საზვერეში მომავლის მსჯავრთან.

იცეკვონ თოვლზე ბატის ფრთებმა... ასე მაოცებს
კალამი, როცა ქარიშხლებით ვებრძვი ქაოსებს.

შავი ღრმულები 28.06.2017.

ასე მგონია, ნანგრევებში გავჩნდი. ურგები
ბედი ლამდევს და წინ ჯვრის ნაცვლად რაპირა მიდის,
გამოცდილ მგლებზე სულ რიგდება ბატკნის ქურქები,
მეც, სახლის ნაცვლად, ამგები ვარ სხვა პირამიდის.
მდევარი მხოლოდ მააზროვნებს!... და ვრჩები უღრმეს
უფსკრულთან მარტო! აქ თვალებმა დიდხანს იყურეს
და შევეჩვიე, შემიყვარდა, რადგან აქ უხმეს
ფიქრებმა ნანატრ მოსვენებას, საალიყურეს.
ვინმე თუ მეტყვის, რომ უფსკრულზე ნაფიქრი მავნებს?
(დაბადებიდან მე ნარ-ეკლის საწოლზე დავრჩი)
მე მოქცევამდეც ვმეგობრობდი უავეს სავლეს
და მერეც, მაგრამ ვერ ვჩერდები სამოთხის მგზავრში!...

ხანდახან თავი მაგონებდა უბნელეს ჰადესს,
ჩემი სული კი იმ ზარდახშას, რომელშიც ჩადეს
მხოლოდ ცერბერის მართვის ნიჯი და შიში მიწის.
ფეხებთან ფორთხავს ორეული, მე კი ჩავცქერი
იმ შავ ღრმულებში, საიდანაც მოხტის ჩანჩქერი
და აღარ ვიცი, მე რა ვიცი და მან რა იცის.

ეპიდემია 13.05.2017.

ახალ კონტაქტებს ვერიდები (ძველმა ხომ გლიჯა)
და ისევ ველი დაკარგული მეგობრის ხელებს,
ოდესღაც ერთმა დაბრმავებამ შემიკრა კრიჭა,
თითქოს ძარღვებში გამეყინა მჩქეფარე ღელე.
თუმცა, რა უჭირს! მთავარია, მინდა, იგივე
ვუსურვო ყველას, ვუსურვებდი რასაც ჩემიანს,
ვერ გამაავებს და ვერასდროს დამცემს იგი მე,
ვისაც წარსულის დარქმევია ეპიდემია.
ვსწავლობ ცხოვრებას გაუსაძლის ტკივილთან ერთად
და დუმილს ვირჩევ თანამგზავრად, ბოლომდე ყოფის,
არ ვაღიარებ არსებობას მევერცხლე მტერთა,
მაგრამ ვისწავლე ნიღბებს მიღმა შემჩნევა ობის.

კიდევ კარგი, რომ არ ვუსმენდი ახლომყოფ დემონს,
როცა ჩამიდგა პირში ადრე სიკვდილის გემო.

მდინარე 19.05.2017.

ისე თენდება (წერა მიწევს დროსაც ბურანის)
რომ არც მიგრძვნია უძილობის რამე ზიანი,
შუადღე არის მთვარიანი, ღამე – მზიანი
და უსასრულო გზაზე მიდის აზრის ქურანი.
მთელი ქვეყანა წითლად ღვივის, როგორც დაისი,
უნდა მეძინოს, მაგრამ მღვიძავს... მათრობელ ღამეს
მიმინოსავით ვანადირებ ლექსებზე და მეც
ლოცვის სიღრმეში ვიქანცები, როგორც პაისი.

დრო მოვა, როცა გულგრილობას ცრემლები დაბანს,
მრცხვენია, როცა ვუფრთხილდები საკუთარ საბანს,
მდინარეს დრო აქვს ხან სიწმინდის, ხანაც დრო ქაფის...
და ეს მდინარე ხან ჩვენს ძარღვებს შხუილით გადის,
ხან ისე ფრთხილად დადის, როგორც აჩრდილი კატის,
ხანაც იმღვრევა, როგორც სახე მთვრალი როკაპის.

ცარიელი შარა 22.07.2017.

სამასსამოცი ვირის ტყავზე ღამით დაწერილ
ტექსტის ბუნდოვან ღრიანცელში ვეხვევი მძაფრად,
მიყურებს ვიღაც, ეჭვიანი და ალმაცერი,
თვალს ეფარება სწრაფმავალი ხომალდის აფრა.
მგზავრი ვარ, ვისაც უყურებენ თვალებით ეშმის,
კარს არ უღებენ და გარიყვის ღირსად ჩათვალეს,
რადგან კარს იქით ყრუ დგას მხოლოდ... ვისაც არ ესმის,
ის დირიჟორობს და ბრმა ირგებს წითელ სათვალეს.

სხეულს ძონძები მიფარავენ დღისით და ღამით,
მაწვდიან მხოლოდ უნდო მზერას, გაუღენთილს შხამით,
მეტს აღარ ველი, აღარ მჯერა ადამის, არა!
გავურბი ხარბი დედამიწის სცენებს და კადრებს,

უსასტიკესი სიდუხჭირე ჭაობში მათრევს
და მოჩანს მხოლოდ ცარიელი, მტვრიანი შარა.

მძიმე მდგმური 30.04.2017.

ჩემი აზრები ფერს იცვლიან, როცა ამანთებს
მწვანედ მყოფობა გარდასულთა; არ კვდება ზოგი!
ყმაწვილკაცობას დაჟინებით მოვდებ ქამანდებს,
რომ არ გამიწყდეს ასასვლელი ღრუბლებში თოკი.
სული სახლდება სხვა სხეულში. მდგმური მძიმეა.
მისი ტარება როგორ უჭირს ახალ საცხოვრისს...
ამქვეყნად ყველას თავისი ყავს, ალბათ, ტიმეა,
მაგრამ ბრმად ირჩევს მაინც სხეულს ზოგი მათხოვრის.
უარესობა გველოდება მხოლოდღა წინ და
სხვა გზა გვექნება აღარასდროს! ყოველს აქვს ბოლო!
ჩვენ ვიბადებით, ჩვენ ვკვდებით და მხოლოდ ის გვინდა,
რომ სიკვდილამდე შეცდომილი მოყვასი ვქოლოთ!

ზამთარი მოდის შემოდგომის შემდეგ. ჩაათრევს
ყინვა მიწაში, ვინც შენდობას ელის ნაადრევს.

ალკოჰოლური 08.02.2017.

დარდის უჯრედებს მინადგურებს ყლუპი ყოველი
და მიყოლებით იცლებიან ჭიქები სავსე,
ირგვლივ ბურუსი დააბიჯებს, სიზმრის მქსოველი,
რათა პასუხი ვეღარ ვაგო საკუთარ თავზე.
ინგრევა სუფრა, აქეთ-იქით ყრიან კათხები,
ნაწყვეტ-ნაწყვეტად ხტიან თავში მუავე ბგერები,
„ჯანმრთელთა“ მიერ ვილანძღები და ვითათხები
ხოლმე, როდესაც თრობის გუბეს დავეძგერები.

მე მავიწყდება სამყარო და ბახუსი მოდის,
სტატუსად მერგო გარიყვა და სახელი ლოთის,
მეც სულ დავცინი მორალისტებს, ვსვამ და სადავე,
რომელიც ადრე ხელში მეპყრა, ღვინოდ მერგება
და რადგან ღვინით საზრდოობენ ჩემი ნერგები,
ყოველ სხვა სითხეს ღვინო მიჯობს მაშასადამე.

ტრავმა 29.04.2017.

გრძელდება ღამე უსასრულო. ღამეს ვერ ახევს
ასე ადვილად შუქი წყვდიადს ცაზე, მაგრამ ის
მაინც ლივლივებს და ახარებს სულის ვენახებს,
მაინც როლს ირგებს დაწყევლილი ბნელის მჩაგრავის.
ორსულიანი სააქაო. ქალის მიზანი
– ხილი, უცხო და აკრძალული – გველმა იცოდა,
ქვეწარმავალში გადასახლდა ავი მისანი,
გამეფდა შური, თვალთმაქცობა და უვიცობა.
ორივე გარეთ... და მას შემდეგ ქალები შობენ
ტკივილით, მაშინ დაგვიტოვა რომელიც ავმა
და იმ ტკივილით გაივლება სამოთხის ღობე,
რათა არასდროს დაგვავიწყდეს იმ ცოდვის ტრავმა.

კარგად ვერ ვცდილობთ დაბრუნებას უკან, თორემ ის
ტრავმა აქამდე დაუკრავდა სულში დო-რე-მის...

სხივი სიბნელეში 09.03.2017.

ქარი წვრილ მილში აქეთ-იქით აწყდება. ყირმიზ
ღამით დევივით დააბიჯებს დურგალი სულთა.
ცაზე მშვილდივით იჭიმება ნახტომი ირმის
და ბუმბერაზი ხე ეცემა შვილობილ ცულთან.
ახლა მეტალის ბლაგვი პირი წვრილ-წვრილად დაჭრის
ტყავის აფრების ხაოიან ნაფლეთებს. თითო-
თითოდ სკდებიან შუბლზე მკრთალი ძარღვები ვაჭრის,
რომ განწირულმა მოძმეებმა კვლავ ტვირთი ზიდონ.
მეც იქ ვიყავი! ბედისწერა ისევ მომიქნევს
დაკბილულ კომბალს (კარგად ვიცი) და დაბლა დამცემს,
დრო უმოწყალოდ შეეჩვია სამგზის ჭორიკნებს
და თავდახრილი ელოდება რიჟრაჟზე გამცემს.

დუმდა იმ წუთის შემოქმედი, რადგან არჩევანს
არ გვართმევს, გვირჩევს სიბნელისგან სხივის გარჩევას.

შავი ტიარა 21.02.2017.

ვიდექი ველზე მობიბინე და თავზე მედგა
მარტის მარადი მუზარადი. მომხდურს ველოდი,
ლოდინის მიღმა ნისლიანი დგას კამელოტი,
ჩაფიქრებული თვალს ვირთობდი ბრძოლებით, მედგარ.
მე იქ ვარ, სადაც ეს დრო მხოლოდ ქვემძრომს იბრალებს,
მე კი არ მინდა სიბრალული! რატომ ლესავენ
დანებს ტურები, პრიმატების მონათესავე,
საფლავში რატომ გზავნის ეს დრო ჩემს ნაფიქრალებს?

ეძლევათ ფართო ასპარეზი გაბერილ ქისებს,
სტომაქი მიყეფს და მკვლელებად შავ ფიქრებს მისევს
დღე, მე კი საშველს უკვე აღარ, აღარ მოველი!
მკვლელები, ფიქრი, ავი დრო და ქისა კი არა,
უნდა დავიდგა უნდობლობის შავი ტიარა;
ჩემთვის ერთია ახლა მთვარე, მზე და ყოველი.

ბნელი შეხება 30.06.2016.

მე ერთდროულად დავინახე წარსულის ლანდი
და ოკეანის დინებების ცასთან შეხება,
ნავიდან მღვრიე ლეთას შხეფებს ამფორით ვსვამდი,
ყალბი სიცოცხლე რკინის ნისლით რომ შემეღება.
გაინგრა ძვლების გალავანი! სახლში შეტოპა
ქარიშხლის ღრენამ და ყვავილმა სული დალია...
კმარა! მე ვნახე გესლიანი გედის გედობა
და ახლა ვიცი, ყველა ქალი ამორძალია!
თითები სადღაც გამირბიან! ველი წვიმათა
ბრუნვას თვალების სველ კუთხეში, როდესაც კატის
ათინათები ასხივებენ ბნელში კვიმატი
და ჩემში უკვე მოჩვენების სიმშვიდით დადის

– სისხლი, რომელმაც დაიბრუნა ადგილი ძველი,
მაგრამ მე ვდუმვარ და საკუთარ თავს ვეღარ ვშველი.

ვალი იხდება არასოდეს 18.04.2017.

ვარ ოკეანე უხილავი. ჩემში ჩაძირავს
ტალღა ყოველგვარ ამოუცნობს, ყოველგვარ უცხოს.
იმსხვრევა კერპი, ვერ იწირავს ყველა საწირავს,
შვილს უნდა, მშობელს გაჩენისთვის სანაცვლო უზღოს,
მაგრამ როგორ შობს შვილი მშობელს? ვერც ცხრა თვე და ვერც
უსაშველო დრო გადაიხდის მშობლების ამაგს,
ჩვენი სიცოცხლით ვიხდით მცირედს, ვარიგებთ ალერსს
და ვკიდებთ ცაში სულებისთვის ამოწნულ ჰამაკს.
ვალი იხდება არასოდეს! ჩვენმა ფინიშმა
უნდა იხილოს, რა ლამაზად ჩამოდის ციდან
სიტყვა, რომელიც სულ პირველად, ყოვლის წინ იშვა,
სიტყვა, რომელმაც გალაქტიკის ცოდვები ზიდა.

ვარ მშვიდი ხიდი, კარგი ხარკი მგელთა და ცხვართა,
რომ ჩემი ფეხით არ მივიდე სიგიჟის ზღვართან.

მე ის ვარ 01.03.2017.

მე ის ვარ, ვისაც თავი მოსწონს არასდროს. მოგვის
ქარი საჩუქარს, გაიტაცებს მოტანილს თავის.
ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოაბიჯებს ბუტბუტი მოგვის,
რომ გავხდე ხალხის დასაცინი – ამგები ნავის.
კედლის საათი არ მანებებს თავს. მინებიან
სასახლეს ვხედავ თავდახრილი და სენაკს ვაგებ,
ველზე გაშლილი, მათრობელა ჟასმინებია,
მე კი დავეძებ სულის მკაწრავ, ეკლიან ჯაგებს.
მუხების ტევრში ჯერ მიუგნებ ჩრდილს ვაგნებ. საგნებს
ბოლომდე იცავს მხოლოდ ბილწი მპყრობელი ქისის,
სულს აქეთ-იქით მითქმა-მოთქმის სიმწარე აქნევს
და ბოლოს ხვდები, ის ვინ არის, გვერდით რომ გიზის;

არ აიმღვრევა სუფთა წყალი, რადგან არ იცის,
რა არის ფურთხი, ან ბინძური წვიმა მკვდარი ცის.

ქალაქის ელფერი 17.02.2017.

სითეთრე ქალაქს, ისეთ წმინდას, ანიჭებს ელფერს,
თითქოსდა, ჯამში ნელთბილი რძე ჩაუსხამთ ღამით.
ტყეში თვალებით ვეძებ ზღაპრის პერსონაჟ ელფებს,
რომლებიც ხშირად კავდებიან უცნობი დრამით.
გარეთ ილტვიან ფუღუროდან ფერადი ფრთები,
ავად ბუტბუტებს თავის ქალა. წვიმა შხამია.
ცხელი ძარღვები მეჭიმება, ვდგები, ვმძაფრდები
და მეზიზღება ვერცხლი, როგორც პოლიგამია.
მე ქალაქიდან დევნილი ვარ, ან მინდა, ვიყო;
ის არის სულთა სახრჩობელა... სადაც ღიპიან
ვირთხებს უჭირავთ ქვეყნის საჭე და დედის ტრიკო,
იქ, სადაც მზერა მედიდური და ირიბია.

დიდი ხანია, გულს მიღრღნიან ძველი ეჭვები,
რომ სხვა დროში ვარ და ამ ეჭვებს ვეღარ ვეჩვევი.

უცხო ხმები

29.03.2017.

ვაშლზე ეცემა სისხლის წვეთი. წვიმდა და კვახმა,
რომელსაც ქონდა კაცის სახე, ბრძანა: „თუ ხარ ის,
ვინც ხარ, მოკვდები.“ ყველაფერი შუბლზე დაგვახმა,
ოთახის ხორხში ხრიალებდნენ ხმები ბუხარის.
იღება მწვანე ძვლების თარო, ერთზე დევს ერთი
წერილი... იგი მეუბნება: „შენ ხარ უტანო.“
წავედი, შევხვდი. გავუყარე თვალი, შევჩერდი,
არსობის პური ბნელში მყოფებს რომ მივუტანო.
ალი და ხმალი მეზიზღება, მიყვარს თითები,
რომ ამწვანებენ ირგვლივ ყოველს, ტყვე ვარ ტრაგიზმის,
ვიძლევი სიტყვას: მე არაფერს მოვერიდები,
რომელიც ახსნის, უცხო ხმები ჩემში რად ისმის.
ჩემი ძვირფასი კლავიშები! უნდა მოვარგო
თითები დილის და წყვდიადის ტანდემს. ვმღეროდე
ჯობს, უეფექტოდ, ვიდრე, ვდუმდე, ლექსო-მონარქო,
რათა არასდროს შეიფარო შენში ჰეროდე.

მინდა, მიცნობდეს აღარავინ! რისთვის ვინატრო,
ვანგრიო სულის მშვიდი სახლი და საბინადრო?

თხოვნა 07.09.2013.

(სალომეს)

მოდის მდინარე მოცინარი. დნება დინება.
ლოდის ლოდინი უცნაური. მზე ადევს ბადეს.
ქრიან თევზები წვიმისფერი და მეძინება,
იმსხვრევა სარკე და ცეცხლოვან სიცოცხლეს ბადებს.
შორსა ხარ! ვებრძვი ბნელ ჰორიზონტს, ხელებს ვიქნევ და
აბრეშუმივით ვფხრეწ წყვდიადებს და განთიადებს,
გნატრობ და გეტყვი: „დარჩი ჩემთან და ჩემს წიგნებთან
და ჩვენს შემდეგაც ეს დარჩენა გაგადიადებს!“
ქრება ყოველი, რაც შავია, რჩება თეთრი და
რჩება ყოველი, რაც ისწრაფვის თეთრისკენ მხოლოდ,
შენს გვერდით ყოფნას ეგ დუმილი დამაყვედრიდა,
მაგრამ სიჩუმით ეჩხუბები სიჩუმეს ცოლო!

თქვი რამე! მარად დავრჩებით და წავა ბოროტი,
მითხარი რამე მაგ ტუჩებით, საამბოროთი.

ბრძოლა სიმართლისთვის 10.03.2017.

დამეგობრებას ჩემთან ცდილობს ყვავის ბახალა,
უნდა ჩემსავით შეიცვალოს ტანი და ფორმა.
ის ჩხავის, მაგრამ ხმა ჩემსავით არ აქვს მაღალი,
ანუ, ისეთი, გადაწყვიტა როგორიც ჭორმა.
სინამდვილეში, მე ხმა არ მაქვს ისე მხეცური,
შავი ფრინველი რომ დააფრთხოს. მახსოვს ილეთი,
როცა დარბაზში ოვაციამ მრუდედ შეცურა,
როცა ელოდა პოეტს მოლოდ ზღვა სიკვდილეთი!

გაზაფხულობით მხოლოდ მოლი არ არის მწვანე,
ხანდახან უნდა გვარიგებდნენ ისინი, წვანან
ვინც სამარეში... მათ შევყურებთ, მათ ველით მხოლოდ.
სულმა იწვალოს, ჩვენ – ველოდოთ. სუნთქვაც შარია,
მაგრამ აზრი აქვს ყველა ბრძოლას, როცა ქარიან
ღამითაც მხოლოდ სიმართლისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

ქვეყნის ტრიუმი

01.12.2017.

ქვეყნის ტრიუმი... იგი იწვის, იქ მუდამ ბნელა,
მუდამ ვირთხები ფუთფუთებენ და წრიპინებენ,
მუდამ სავსეა აბსტრაქტული განავლით, როგორც
გეენის ქვედა სართულები... ცხელი სტეპები
სავსეა ცხელი კრატერებით. წვიმს ცეცხლის ალი
და ჯიბემძიმე ბრმები (შიგნით ქვები უწყვიათ)
გაღიმებულნი მედიდურად დააბიჯებენ,
მაგრამ ხომალდი ისე იწვის, როგორც ჯორდანო,
ვირთხებს გაქცევა უნდათ, თუმცა, ამაოდ; მათვე
მოაქვთ სიბნელე, საიდანაც გარბის ვერავინ.

აპრილის რწმენა 29.01.2017.

მწვანეთითება ანგელოზების
არამიწიერ სუნთქვის სიმაღლეს,
ღრმა გალაქტიკის სულიერ მარილს,
ამაზონივით წყალუხვ ღელეებს
(წრფელი ცრემლისგან რომ შედგებიან)
როგორც გმირების, ისე ამქვეყნად
მოსული ყოვლის არასდროს სიკვდილს,
ზარებიანი ნაგებობების
დედამიწაზე მართალ შენებას,
გულების გუგუნს და პატიებას,
მარადიული აპრილის რწმენას,
დაჩოქილ ცოდვილს, თავდახრილ მართალს
და ერთმანეთის სულის სარკეებს,
რომ არ ველოდით, იმ ხალხით სავსე

და უნაპირო სამოთხის ველებს,
საფეხურების და გვირგვინების
ნგრევა-გაქრობას (გარდა ერთისა)
და სხვა არაფერს, აღარასოდეს,
მე მხოლოდ ამას ვუყურო, მინდა.

მოლოდინი 13.04.2017.

საათის წიკწიკს, ღამეს რომ არღვევს, ბავშვის ოცნების
საყვარელ ხედვას,
ნაწვალებ დღეებს, ასე მრავლად რომ მობრძანდებიან
ჩემს ცხოვრებაში,
ურყევ სინათლეს, რომლისაც მჯერა, განუსაზღვრელად
რომელსაც ველტვი,
გადაღლილობის აუცილებელ წუთებს, საათებს,
დღეებს და კვირებს,
ამ საშინელი ყოფის ატანას და იმედების ცვალებადობას,
(მიუხედავად გამუდმებული ტანჯვა-წამების)
ბრძოლას და ჭიდილს,

უიღბლობაში შეზრდილ სიცოცხლეს, მეგობრობისთვის
გამოწვდილ ხელებს,
ხალხის სიყვარულს, რომელიც ყველა ტვირთზე ტვირთი
და განძზე განძია,
მიწიდან ცაში ამოყვავებულ, სიკეთის მიერ ნაფერებ ვენახს,
ქვია მელექსის ცხოვრება ბნელი და ველოდები, მე
ველოდები
ბევრი წლის შემდეგ სავანის პოვნას, ნანატრ სიმშვიდეს
და მოსვენებას.

თითების ხმა

27.02.2017.

თითების ხმაა კლავიშებზე, თუმცა, არ არის,
ის მეჩვენება. ახლოვდება ნისლი ორთქლივით.
განუწყვეტელი შიშინია ირგვლივ. ღამდება,
თუ თოვლისფრდება ცა, არ ვიცი და არც მაღელვებს.
სულ არ ვოცნებობ, ნორმალური რომ ვიყო ახლა,
ხვალ, ან ოდესმე; რა რუტინას ავიკიდებდი...
მყრალი სამყარო გაცილებით მშვენიერია,
როცა შენ არ ხარ ნორმალური. ხმაა თითების.

უსხეულოდ

08.08.2017.

ყველგან ნაბიჯების კვალია! ვიღაც უსხეულოდ დადის!
რეკენ გაბზარული ზარები, სხვათა ტკივილები მკლავენ...
(კაციშვილს არ ახსოვს ჩემები)
სასაცილოა კედლისა და ცერცვის ტანდემი!
ვიცი, ცარიელი ადგილი ბევრის ცხოვრებაში ვიქნები.
ისევ ვიმალები მღვიმეში, თევზები მხვდებიან და მკბენენ.

დიდი ხნის წინათ 25.11.2017.

(სალომეს)

დიდი ხნის წინათ, როცა ჩვენი გრძნობა გავიდა
სულ სხვა სივრცეში, სხვა კოცონში, სხვა ჰორიზონტზე,
დაიდო ბინა განძთსაცავში... ახლაც იქ არის
და სამუდამოდ იქ აპირებს ყოფნას და ფრენას.
მოჩანან სცილა და ქარიბდა, წრეებს უვლიან,
ბასრი ლოდებით უპირებენ გასრესას, მაგრამ
გრძნობას ვერასდროს იხელთებენ და იმსხვრევიან,
როგორც ქვის ფარზე შელეწილი ბროლის ისარი.

ადამიანი-ღამურები 01.03.2018.

პლანეტას ქონდა ფორმა სასახლის.
აქ ერთმა მუქმა ფერმა შთანთქა ყველა სხვა ფერი.
ობობის ქსელის გისოსები საზღვრავენ ყოველს.
ჰოი, რამხელაა თითო ოთხკუთხედი!
მშიერი მღრღნელები, პაწია ფრთოსნები
და რეპტილიები ყველგან მოძრაობენ.
ადამიანი-ღამურები უთვალთვალებენ
მღვიმეებიდან გასათბობად მზეზე გამოსულ
გაუგებარ და უცხო ფიგურებს,
რომლებიც ქვედა კიდურებით ჩაფლულან ცეცხლში,
ხოლო ფრჩხილებით ჯოჯოხეთის შავ ჭერს კაწრავენ!
ადამიანი-ღამურები... კოცონი... ფარდა.

ყოფილები 30.08.2017.

რა საშინელი სიტყვებია: ყოფილი სატრფო,
ყოფილი ძმა და მეგობარი, ყოფილი სახლი,

ყოფილი ეზო, ცოლყოფილი, პირველყოფილი,
კაცადყოფილი, გზადყოფილი, სულ კმაყოფილი,
მიწა, შენი და შეღობილი მტრის მიერ... მაგრამ
მშვენიერია, თუ ბოროტთან ხარ გაყოფილი,
კარგია იყო სრულყოფილიც, მაგრამ სად არის...

*** 18.12.2017.

(ვაჟას)

ვაჟავ, ნუ ნაღვლობ, თუკი ლაყბობენ,
მცირე კაცების ხვედრი არის ლაზღანდარობა.
განა შენ არ თქვი, რომ მტერობა ცუდას არ უნდა?
აბა, რას აქნევ აგდებულ ხმებს, მოარულ ჭორებს,
როცა შენს ფეხთქვეშ მუხლებს იტყავებს,
თვითსაჭურისი გდია სატანა!

დილა-ქალი 03.08.2017.

ასე მგონია, დილა ქალია.
როცა დრო მოდის გაღვიძების, იგი ენთება,
სარკეებს იწყობს თეთრ მუხლებზე, შემდეგ მძინარეს
ბრმად მაცქერინებს ამ სარკეებს, რომ გამაღვიძოს...
ის აშოშმინებს „სამაიას“ ცეკვით ღამეებს,
გაავებულ და გრძელ ღამეებს ეალერსება...
შემდეგ მსოფლიო ხალხთა აკვანს არწევს ზეციდან
და იავნანას იადონის ენაზე მღერის...
ქალია დილა; იგი მოდის, იგი მაღვიძებს
და თეთრ მუხლებზე მაცქერინებს სარკეთა ქაოსს...

მძიმედ ნაცხოვრები კაცის მონოლოგი 31.01.2017.

მძიმედ ვიცხოვრე, სულ მინდოდა, მოვმკვდარიყავი.
სისხლი მდიოდა, ისე ვიჭერდი
კბილებს კბილებზე, რადგან ყველა მივკარგ-მოვკარგე.
მშობლები ადრე დამეხოცნენ, აღარც კი მახსოვს,
ოდესმე მათი არსებობა არც კი ვიცოდი.
ფრჩხილებით მიწაც გამითხრია ახლობლებისთვის,
ტკივილებისგან დაკრუნჩხული ბევრჯერ ვხოხავდი,
ჩემი ღმერთივით გარიყული ვიყავი მუდამ,
რადგან არავის სურდა, უბედურ
და ხელმოცარულ კაცთან გაევლო.
ასე მგონია, ეშმაკები მესხდნენ თვალებში,
რადგან ყოველთვის ცუდს ვხედავდი... კარგი ხომ თვითონ
 დაასამარა ქვეყნად ჩემმა ავმა მოვლენამ.
ის გურმანი ვარ, საკუთარი გულ-ღვიძლის გემო
სიკვდილამდე რომ ემახსოვრება.
ათასჯერ მაინც დამღრეჯია პირქუში სახე უსაშინლესი
მწუხარებისგან,
მაგრამ ვცოცხლობდი ერთადერთი, მძაფრი ოცნებით
– მუდამ მინდოდა დაკლაკნილი სიკვდილის მოკვლა.
და მე მოვკალი იგი. მე ვცხოცხლობ.

დაისის ზეცა 30.03.2017.

კაკუნი. (წითელ ძონძებს გავდა დაისის ზეცა)
ახმოვანებდა არსმენილი ბუტბუტი დუმილს.
ბუჩქებს მოძრავი, შხამიანი ყლორტები ესხათ,
კალატოზები აშენებდნენ სამკუთხა ბინებს,
თვალების ფსკერი მაგონებდა ფსკერს ოკეანის,
ისმის გედების ყრუ სისინიც, აგრეთვე, ფეხქვეშ
ბუყბუყი მრუში გალაქტიკის. ხტოდნენ თითები,
აღარსად იყვნენ ნაპირები შველის, ბნელოდა.კაკუნი.
წითელ ძონძებს გავდა დაისის ზეცა.

უცნობი შიში 13.03.2017.

მე გადავყარე ფეხსაცმელი; ის არ მჭირდება.
მუდამ მინდოდა, განმეცადა უცნობი შიში,
მაგრამ არ უნდა ჩემი ცნობა სახის სილურჯეს.
ღმერთო, რამდენი გადავიტანე,
ოღონდ, თვალებში ჩამეხედა გრიგალებისთვის.
დღეს უკვე მითრთის აღარაფერი;
გაყინულ ქვათა მეგობარი ვარ
და დამრჩა მხოლოდ ვულკანების კრატერში
წვდომა.დგანან ძეგლები, მე კი ვწევარ და
ეჰ... ვამოძრავებ მხოლოდ წამწამებს.

ლოდების ქალაქი 20.03.2017.

ლოდებით ნაშენი ქალაქი. შევდივარ
შიგნით, ვიხედები ირგვლივ და ვივსები;
უკრავდა მუსიკა, უკრავდა მუსიკა!
ყოველი ფოთოლი არის მუზეუმი,
ყოველი ჩასუნთქვა – დღესასწაულია.
რა საყვარელია სიცოცხლის სურვილი!
არ ჩანან მტრედები, მაგრამ ზუსტად ვიცი
– ისინი ყოველთვის დაფრენენ გარშემო.

მატერიის ბორკილი 16.02.2017.

შემეშვი ჯაჭვო მატერიის! მე შენს შესახებ
ვიცი ყოველი, ჩაიფიქრა რაც კი ბოროტმა.
რამდენი სისხლი, რამდენი ოფლი,
რამდენი ცრემლი, ტკივილი და ხარხარი ერთად!
შენ მოიგონე ყველაფერი, რაც ადამიანს
აავადმყოფებს სულიერად და ფიზიკურად.
შენი ყველაზე ბინძური საქმე
და პირველწყარო ყველა მძიმე უბედურების
იმაშია, რომ დააჯერე ადამიანებს,
რომ შენით ბრწყინავს ამ დამპალი ცხოვრების აზრი!

უპაემანო 17.03.2018.

მე ვეუბნები საკუთარი თვალების სხივებს:
„რამდენი რამე გვიხილავს ერთად!
ლექსის თემადაც კი ქცეულა ზოგი მათგანი.
ზოგი მათგანი დაენახა უნდა არავის,
ზოგი ყველას, ან მხოლოდ თქვენ და მე,
ან მხოლოდ ბავშვებს, ან სულერთია.
როცა ნამდვილად მეკუთვნოდით (ეს იყო ადრე)
მე დაგეძებდით მუდამ სარკეში,
როდესაც თქვენი მაშინებდა ნაცრისფერობა.
დადგა დრო, როცა ერთადერთი დამრჩა სათქმელი;
ვერავინ ვერსად გაექცევა შავ ფერს ბოლოჟამს...
მოგვენატრება ერთმანეთი, მაგრამ იცოდეთ,

რომ მე თქვენ გნახავთ ვეღარასოდეს.“
კუბო და ფარდა ეშვებიან დაბლა. წერტილი

შეხვედრა 16.07.2017.

(სალომეს)

შენ დგახარ ჩრდილში მწვერვალების და გაგონდება
– მრავალი წლის წინ ექიმმა და პოეტმა ღმერთმა
ჩვენი შეხვედრა გადაწყვიტა. მილიარდობით
პაციენტიდან ყურადღება ჩვენ ორს დაგვითმო.
კვლავ დედამიწა; გიგანტური ციხე-დარბაზი.
ვერავინ წავა ამ ციხიდან ცოცხალი, ვერა!...
შენ დგახარ ჩრდილში და ცხოვრების სცენებს იხსენებ,
მაგრამ ეს მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ მოხდება.
ნელ-ნელა გვტოვებს ნაბიჯების ხმა, გვტოვებს ციხის
ზედამხედველი და გავდივართ კაშკაშა შუქზე,
რათა შევეხოთ უბოლოო პაემნის საწყისს.

სარკოფობია 04.03.2017.

ვერ მაიძულებს მრუდ არჩევანს ტკივილის შიში.
ამოტალღული სხვა სივრციდან, სხვაგან მცხოვრები,
ვწვალობ ფერადი და მყვირალა სანახაობით,
რომელსაც ხედავს და აღიქვამს არსად არავინ.
სულ ვიწამლები უხილავი ისრით ბუნების,
ტუჩებდამსკდარი ბროწეულის ბაღებს გავყურებ,
ვცდილობ მარილის მოპოვებას ყრუ-მუნჯი ხალხის
გულგრილობიდან და საკუთარ თავზე ვიცინი.
ხანდახან ისე მენატრება წყურვილის განცდა,
რომ ვმალავ ყველა სასმისს ირგვლივ, ვჭედავ იარაღს,
მივდივარ ომში, სადაც იბრძვის არავინ, ვკვდები,
რომ დავიბადო და ვგრძნობ შიმშილს უდაბნოების,
მახსენდება, რომ არის სარკეც და კვლავ ვიღიმი,
რომ საკუთარმა ანარეკლმა არ შემარყიოს.

სარკის უარყოფა 11.11.2018.

ვინატრე წვიმა. იგი მოვიდა.
(სიცხე და ყინვა გზაზე ეყარნენ)
ვინატრე თოვლი და არც მისთვის მიცდია დიდხანს.
ოთხი სტიქია რა ბედენაა, როცა ამქვეყნად
ვნახე ყოველი: ახლობლები მიწადქცეული,
ცხელი ცრემლების ნიაღვარი, ჰაერის ქალი
და ცეცხლოვანი განცდების ცვენა,
მაგრამ ვერასდროს ვერაფრით ვნახე
სარკეში ჩემი ანარეკლი ისეთი, როგორც
წარმომედგინა – ბედნიერი, გულწრფელი, მშვიდი...
ჩემი თვალები უფსკრულებში იყვნენ და სარკე
ავიღე, რათა მომავალში აღარ ამეღო;
მე დავამსხვრიე ჩემი სარკე. ახლა, ბოლოჯერ.

ლურსმნის სახრე 27.10.2017.

მე ხშირად ვფიქრობ, რომ გრიგალი არის ეკლების
და იგი არის არსად და ყველგან,
ვფიქრობ, რომ ლურსმნის სახრე არის ყოფის დინება,
იგი უსახო აჩრდილს უჭირავს
და მწარედ გირტყამს სწორედ მაშინ, როცა არ ელი...
მე დამრჩენია მხოლოდ ისღა, გავძლო იქამდე,
არ ამომხდება ვიდრე სული და აღსასრული
არაფრით დადგეს ჩემი ჩარევით.

ბავშვთა თვალებში 05.02.2018.

ჩნდება კედელი არაფრისგან. ინგრევა სახლი.
უსურვაზები ძლიერ გვანან მდინარის ტოტებს.
ძველ სახურავზე ამოსულან შავი ხეები,
გაავებული ცეცხლი ლოკავს მწვანე ხეობებს...
გვამთა კრიზისი აღარ უნახავთ
სასაფლაოებს დიდი ხანია,
სამაგიეროდ, წყალსაც აღარ აქცევენ იმდენს,
რამდენიც მისცეს სისხლს დაქცევის „ბედნიერება.“
ბავშვთა თვალებში საშინელი იწვის სამშობლო,
ცხვართა კი არა, ადამიანთა
მოთქმა-ტირილიც ესმის არავის.
ჩვენს ჭირისუფალს ქვია არავინ
(ჰო, ჩვენ მკვდრები ვართ)
გამწარებული რეკდნენ ზარები
და რეკვა მხოლოდ ზარებს ესმოდათ.
დიდი ობობა დააბიჯებს ქალაქის თავზე,
მას კლავს არავინ, რომ ქალაქი არ ჩაიძიროს
ბლანტ სისხლის ზღვაში და არ ნახოს განადგურება.
ადამიანთა ნამსხვრევებში ეძინა რწმენას...
დაუსრულებლად ელოდნენ სახლში
დაუბრუნებელ დედებს ბავშვებიდა წარღვნის სუნი ცხელ
გულებში ანთებდა ქაოსს.

მე გამიმართლა 15.03.2017.

მე გამიმართლა – სულ მარტო დავრჩი.
ასე ვერავინ მომატყუებს, ვერავინ წავა
ჩემი დინების წინააღმდეგ ბასრი ნიჩბებით,
გულს ვეღარავინ დამიჩეხავს რკინის კლანჭებით,
მას ვეღარც ყალბი იმედებით მოიგებს ვინმე!
რა ტკბილი არის მარტოობა! ერთადერთ სტიგმად
მარადიული მონატრების სიმძაფრე დამრჩა!

ჩაძირულია ყველა გემი 22.07.2018.

წმინდა ღიპები ბუყბუყებენ! ინგრევა ხიდი.
დიპლომატ აფთრებს ვერავინ ხდის ტყავებს, ფარას კი
რატომღაც, ისევ მოთმენისკენ მოუწოდებენ.
ჩაძირულია ყველა გემი, მაგრამ ვირთხები
ისევ გადარჩნენ ჩვეულებრივად.
ავი მუსიკაც მუსიკაა, ჩვილის ტირილიც,
ხალხის გოდებაც, კბილთა ღრჭენაც, კვნესაც, სიცილიც,
წყაროს რაკრაკიც, მიწისძვრებიც, ჩიტების სტვენაც,
მაგრამ ნამდვილად დროებითია ყველა მუსიკა,დაღლილი
სულის ვულკანური ღრიალის გარდა!

მეფე დაკვეთით 16.06.2018.

აქ ყველას უნდა მეფე დაკვეთით:
ყველა მათხოვარს, ქურდს, მამაძაღლს, მეძავს, ადვოკატს,
მცველს, მოსამართლეს, მასწავლებელს, მოსწავლეს, ჯალათს,
სულგაყიდულს და პატიოსანს, ბავშვსა და მოხუცს,
ციდან კი ღმერთი იყურება, წუხს და იცინის,
წუხს, რომ ვერ ვამჩნევთ უმადურთა შემქმნელს. იცინის,
რომ თოჯინები ვეძებთ ხელებს, რომელიც გვმართავს,
ოღონდ, ხელები გამოვთალოთ ჩვენ თვითონ, უნდა.

ნუ გეშინია 23.06.2017.

ხანდახან მინდა, უგონოდ დავთვრე!
მოსაწყენ ყოფას აღარაფრის კეთება შველის...
გავს ყველაფერი სახრჩობელას, რაშიც გავყავი
ეს არაფრისთვის მოაზროვნე და მძიმე თავი.
არ ვარ ძლიერი, ან არ მინდა, ვიყო, არ მინდა!
იმის იმედი მაკავებს მხოლოდ,
იქნებ, გამოჩნდეს ვინმე, ვისაც სახე ექნება
ღმერთის, ან გლახის (მნიშვნელობა არ აქვს) და მეტყვის:
„მშვიდად იძინე, ნუ გეშინია,
ახლა შენს ომში ჩვენ ვიბრძოლებთ, ჩვენ მოგიგებთ..“

მუსიკა 19.07.2017.

მინდა, ვცხოვრობდე სამყაროში, სადაც მუსიკა
განაგებს ყოველს. ჰო, მუსიკა! მუსიკა ველის,
მუსიკა ყანის, ტყის მუსიკა, ხეთა მუსიკა,
მუსიკა ქარის, უდაბნოს და კლდეთა მუსიკა,
სითბოს, ყინულის, ზაფხულის და ზამთრის მუსიკა,
წვიმის წვეთების, მღვიმეების იდუმალების,
ღმერთის და დედის, სამშობლოსი, ლოცვის მუსიკა
და კიდევ ერთი, ნანატრი და ყოვლისმომცველი
– გულის სიღრმიდან ამომსკდარი სულის მუსიკა!

სიტყვა და კოცონი 05.10.2017.

ქვეყანა მგონია ხანდახან ფუღურო,
სადაც შეყუჟულა ყველა მოყვარული
ნივთების, სახლების, ქაღალდის, მეტალის...
ხშირად დედამიწის ვხედავ სასაფლაოს,
სადაც შავი ფერი განაგებს ყველა ფერს.
გესმით? არსობის პურს მარილი აკლია!
სიტყვა და კოცონი ანი და ჰოეა.

სუნთქვის ფოთლები 10.06.2018.

(სალომეს)

სულთა დულაბი გვაკავშირებს. იგი იქმნება
სუნთქვის ფოთლებით, სიხარულით და მწუხარებით.
გულის გალია! – აი, რაა მარადიული,
წყენა, სიბრაზე – აი, რა ბუტაავს.
ნუთუ, ერთია მტრედისფერი და ნაკრისფერი?
თეთრიკ ხომ არის მტრედი და შავიც,
ხოლო ნაკარი მუდამ რუხია.
ვიკი, ამაოდ, მაგრამ მე მჯერა,
ყოველი დილა რომ იწყება და დაიწყება
ჭრილი მტრედების კამარებით. ვიკი, ისინი
შენ მოიყვანე, შენ გამოგყვნენ აქამდე, რადგან
ისინი გგვანან, გენდობიან და გიჯერებენ.
ჩემი მკერდი კი ისევ მიაპობს
ზღვას, ზოგჯერ მშვიდს და ზოგჯერ ბობოქარს,
თმების მორევში ვიძირები და ისევ ვმღერი.

გარესკნელი 09.06.2018.

შენ ძალებს იკრებ, გიკვირს, რატომ გეცლება ღონე,
ებრძვი პრობლემებს, თუმცა, ამაოდ...
„ლურჯი ვეშაპის“ შედეგებზე ოცნებობ ზოგჯერ,
გძულდება სარკე,
მეგობრებს ვერ ცნობ, ანდა, ვერ გცნობენ...
გზებს ეძებ, მაგრამ არსად ჩანან ისინი. მოდის
პირველი შიში ძლიერ შიშებს შორის – მარტო ხარ!
მაგრამ ეს შენი არჩევანი იყო და ასე
რჩება ბოლომდე. ეჩხუბები სისხლის გამყინავ,
ბლაგვ რეალობას და ხვდები, რომ ეს არის ბოლო
– ამ ცხოვრებაში არათერი გამარცხებს ისე,
როგორც შეგრძნება უმწეობის... შენ მიეგდები,
გრძნობები გდიან ძარღვებიდან სისხლის მაგივრად,
მათგან იცლები. გარესკნელი – გრძნობ ვეღარათერს.

ბინადარი 25.04.2018.

ძილისას ამოდის ტანიდან სული,
მას უნდა ყველაფრის ნახვა,
გარშემო მუქლურჯი ბუჩქების ტყეა,
ინგრევა ორსული ციხე.
ტიტინი გაისმა, ტიტინი ჩვილის!
მიმოდის მდუმარე ქალი,
ასე თმაგაშლილი მინახავს მხოლოდ
ტირიფი, ჭაობში მდგარი.
ტრიალებს ეშმაკის ბორბალი! დუღდა
კრატერი, უსტვენდა ჩიტი...
ტრიალებს ბორბალი, ბინადარს უნდა
ძილისას ყველაფრის ხილვა.

110

ბავშვის სიმღერა 06.01.2018.

მე მხოლოდ ბავშვის სიმღერა მესმის,
არ ვიცი, იგი ბიჭია, თუ გოგონა, მაგრამ
ისე მკაფიოდ მესმის იგი, თუმცა, შორიდან...
ისე ვნატრობდი, ისე მსურდა, მისთვის მეამბნა
ტკბილი ამბები, ბავშვობაში რომ მიმღეროდნენ...
მე მხოლოდ ბავშვის სიმღერა მესმის,
ღმერთო, ის არის, რომ მაცოცხლებს და მაფერადებს.

წითელი ხვლიკების მარათონი 09.09.2017.

ძარღვებში წითელი ხვლიკები დარბიან!
ასე მემართება, როცა მატყუებენ.
ორადორი რამე განაგებს ქვეყანას:
სიმართლე, სიცრუე – ღმერთი და ეშმაკი.
ყოველთვის თენდება შემდეგ დაღამების.
წითელი ხვლიკებიც იწყებენ მარათონს
მდორედ, ბუნებრივად... და მხრავს გაგიუება.

*** 19.12.2018.

ადრე, ძველ სხვენში ცხოვრებისას, ერთი ამბავი
დამამახსოვრდა ყველაზე მეტად;
იგი აქამდე არავისთვის მომიყოლია.
ერთხელ, წიგნს ვწვავდი გასათბობად (ის არ ვარგოდა,
მისი შიგთავსი არ მომწონდა, თანაც ციოდა)
და მომეჩვენა (იქნებ არა და ასეც იყო,
არ ვიცი, უკვე აღარ ვიცი) ვიღაც დამიდგა
გვერდით ჩუმად და ჩვეულებრივად.
მას ჩემს შესახებ ვუყვებოდი დიდხანს, ხმადაბლა
(არც კი მიკვირდა გამოჩენა არარსებულის)
მან არაფერი მიპასუხა, სულ არაფერი.
მაშინ შევშინდი, განა იმიტომ,
რომ ეს აჩრდილი თვითონ ვიყავი,
მე შემაშინა, რომ ჩემს ანარეკლს
არც მაშინ და არც მას შემდეგ ჩემთვის
სათქმელი ქონდა აღარაფერი.

ფიქრის ტერიტორია 18062018

რამდენი ვნახე მიცხოვრია რამდენი თურმე
უკვე არ მჯერა რომ მე მე ვარ და
სულ სხვა მგონია ხანდახან თავი
ერთხელ ხუთ დღეში გამოვიარე
ოთხმოცი სოფლის ტერიტორია
მაგრამ ვერ მივხვდი მანქანებზე რატომ ბოდავენ
ვერაფრით ვხვდები რატომ უყვართ კომფორტი რატომ
დიდხანს ვიფიქრე მაგრამ ვერაფრით
ჩავწვდი ჰალსტუხის დანიშნულებას
ვიცი მთვარეს აქვს საუკეთესო
ხელმისაწვდომი სინათლე მუდამ
სხვა სინათლე კი უსუსური ლამფაა მასთან
ჩვენი თვალების შემეცნების სინათლის გარდა
ყველაზე დიდი მუსიკოსი წვიმაა ქვეყნად
ალბათ პირველად იყო ფიქრი
და ამა ქვეყნის დასასრულიც ფიქრი იქნება

ტრიუმის კვამლი 01.02.2018.

შემოილანდა ტრიუმში დილა. უშვებენ ღუზას.
ამ დროს გემბანზე არავინ დგას. ზღვა აღარ არის.
ტვინში მესობა თოლიების სამკუთხა ფრთების
ქნევა და ვუსმენ გამკივანი ყვირილის დუმილს.
ისმოდა მწყობრი ნაბიჯების რიტმული ექო.
გული ბაგუნობს, ისევ გული, შველა მჭირდება!
ნუთუ, წამლების დამავიწყდა დღესაც დალევა?
ფოთლის ხაზების სიმეტრია, ლავის ბუყბუყი!
მეორდებიან თეთრი კვამლის ცეკვის სცენები.
ვფიზლდები, ანუ მეძინება. დილა ფარფატებს,
ტრიუმი არა, დილეგია მხოლოდ და მხოლოდ...
გაქრა ღუზაც და რუტინული მოდის წვალება.

ოქტომბრის დალალები 13.10.2018.

ჰეი, ოქტომბრის დალალებო, მე თქვენ მიყვარხართ!
საით მიდიხართ ძველო ფოთლებო, მომენატრებით...
მე ისე მიყვარს შიშველ ხეებზე
შემორჩენილი ხრინწის მუსიკა,
ფოთლის ხალიჩადაგებული გზების ხლართები,
საღამოს სუსტი მზის ალერსი, როცა დაისი
ბნელ უფსკრულებში დევნის ხოლმე ვან გოგის ფერებს...
მე ისე მიყვარს წელიწადის სიბერის ხილვა
და უნაყოფო ზამთრისწინა დროის ცახცახი,
ნარინჯისფერი სიკაშკაშე, ღამის სიგრილე
და განთიადის სუსტი სუსხი, რომ ამ დროს თითქოს
ვშემოდგომდები და ვემზადები შემოდგომაზე
საგაზაფხულოდ.

თაგვისფერი დარბაზი 30.05.2018.

თაგვისფერი დარბაზი. რუხი ჩრდილი მოძრაობს,
მეც შიგნით ვარ, კარი კი არსადაა გარშემო.
გარეთ ვეღარ გავდივარ, ვიგუდები, ვერ ვსუნთქავ!
მივხვდი, მივხვდი; ეს ჩემი ცხოვრებაა ასეთი.

დედამიწა-გვირაბი 06.02.2018.

მიტოვებულ სახლს მაგონებდა გვირაბი, სადაც
მოსასვენებლად შევიარე... ვირთხების წრიპინს
როგორც ყოველთვის და როგორც ყველგან,
ვერ გავექეცი და მათთან ქეიფს
კვლავ ბასრი კალმით ბრძოლა ვარჩიე.
გვირაბს კედლებად თაგვისფერი ედგა ბურუსი
და შავი სისხლის გუბეები დუღდნენ გარშემო.
მივხვდი, რომ ასეთ გვირაბშია მთელი პლანეტა,
რომ ჯოჯოხეთის მსხვილი ნაწილი
სიცილ-ხარხარით, მანჭვა-გრეხით, ტანჯვა წამებით,
ლუციფერს უკვე მიწისზემოთ აუთრევია.

მომავლიდან 09.10.2018.

ვინმე ისურვებს წლების შემდეგ ჩემთან ლაპარაკს?
მე არ ვიქნები მიწის ზემოთ ამ დროს, არამედ...
არ ვიცი, საით!
მე, ორგან მყოფი, ვერშელეული
ორი სამყაროს ერთმანეთში არყოფნას, მუდამ
მიყვარხართ ისე, ვერც დაინახავთ,
როგორ ვჩურჩულებ თქვენს სახელებს, როგორ გიყურებთ
და გულში ვიკრავ თითოეულ სიტყვას და ცეცხლში,
თქვენ რომ დამინთეთ, ვიფერფლები მარადიულად.

ომები 20.10.2018.

ამქვეყნად ბევრი ომი მძვინვარებს,
ომი ფულისთვის,
ომი სკამისთვის,
ომი გულისთვის,
ომი გვამისთვის,
ომი მიწისთვის,
ომი აწმყოში,
მომავალში,
ანდა, წარსულში.
რა უაზროა ყოველი ომი,
რომელიც თავის წინააღმდეგ არ დაუწყიათ!
ვიცი, მხოლოდ მე არ ვარ ასეთი

და უფრო მეტიც, ბევრნი არიან,
მაგრამ ძალიან მეშინია, ერთ დღეს ადვილად
რომ ვერ ვიპოვო ადამიანი,
რომელიც იტყვის:
„ვემსახურები მხოლოდ მშვიდობას
და სიმართლისთვის სამუდამო მადგას უღელი.“

მუხების ტევრი 06.03.2017.

ტევრი მუხების. იდგა მარტი. ფოთლების შრიალს
ერთვოდა რბოლა ობობების. აჭრიალებდა
მიტოვებული სახლის ფანჯრებს ქარის ბღავილი.
ბოლავდა თივის ზვინი ისე, თითქოს ყვავები
თრიაქს ჯგუფურად აბოლებდნენ. იჯდა გოგონა
თეთრი პერანგით მწვანე მოლზე და ღიღინებდა,
სადღაც კი ძვლებით სავსე დილეგს ახმოვანებდა
კეთრი, ჭუჭყი და შეშლილების ტირილ-ხარხარი.
ტევრი მუხების. კვამლი იდგა გარშემო. თითქოს
ყვავთა ორკესტრი აბოლებდა თრიაქს. მე ვწერდი.

***

04.10.2018.

არსად წასულხარ, ნუ გვერიდები, ჩვენ მაინც გხედავთ
და სულ გახსენებთ.
შენთვის და შენი საუფლო არის მარადიული, მშვიდი
სავანე...
შენ ის მიგიღებს, ის გიმასპინძლებს, დაგიმეგობრებს და
დაგიტოვებს.
ვინ დაიჯერებს, თვალი გაზაფხულს მოვაშოროთ და
გადავაჩვიოთ?
ახლა გვიყურებ მარადისობის ფერმკრთალ სივრცეში
ნასეირნები
და გიკვირს, რატომ ვწუხვართ შენს გამო...
რადგან კარგად ხარ (ეს ჩვენ ვართ ცუდად)
შენ რეალობის სიღრმეებს მოწყდი, სავსეს ტკივილით
და სიხარულით,
გადაინაცვლე იმ სამყაროში, სადაც სულების სიმსუბუქეა.
შენი სიცოცხლე, ღრმა და ფერადი, სიცოცხლით სავსემ მას
მიუძღვენი...
ბოლო მოუღე წუხილის რონინს – ბევრი ჩვენგანი ალბათ,
მანდ მოვა...
მანამდე ბევრჯერ დაგვეხმარები მძიმე გამოცდის
ჩაბარებაში,
შენი სიმართლის მუდმივ დასტურად რადგანაც დარჩნენ
შენი ლექსები
და ფრაგმენტები შენი ხსოვნიდან – როგორი უნდა იყოს
სიცოცხლე.

XXI საგიუეთი 23.06. - 02.07.2006.

(მეორე ვერსია)

I

აქ ქუჩა არის ქაოტური. იგი აჩუქა ჟამმა ქაოსებს.
თვალს იტაკიებენ ქალაქური პეიზაჟები.
აქ კივილებმა არე შეზარეს. რა აზანზარებს
შემზარავ ზარებს, რა ახარხარებს ბობოქარ ქარებს?
„ვიბარებ ბოთლებს!“ „ყველანი გარეთ!“
– საქართველოა...
ტვინებს კისფერი ეკრანიდან ანთებს შეშლილი
სახე – თაღლითი მებადური ქართველი ხალხის.
წითელჯვრიანი დროშით, ყვირილით;
ის იმიტირებს რევოლუციას.
იგი, მაღალი ლუკიფერი, ხალხს წინ მიუძღვის.
ფართოდ იღება დინგი სიკვდილის.
116 დგას ქალბატონი მის გვერდით; იგი
საშუალო სკოლის დირექტორად თუ გამოდგება.
ფართოდ იშლება მოქმედება, ბევრი ნაწილი
უფასო დრამის. სრული დასი იდგა უფსკრულთან.
და თუ აქ ვარდმა ვეღარ ივარდა,
მაშინ ყვავილიკ დარჩება დარდად.
ვიღაკ ქაჯები ტრიბუნიდან ისვრიან ფრაზებს.
რამდენი ფერის სახეა ირგვლივ!
იქ უყურებენ ერთმანეთს ეჭვით
(ჭერი კა არის) ღრუბლებივით იჟღინთებიან.
აქ ერთი კაკი ყურადღებას იქკევს სიგონჯით,
იგი ხვლიკივით გამხდარი და უსუსურია.
(ქუჩის კუთხეში კერბერივით ყეფდა ქოფაკი)
კაკის კინკრიხოს გვირგვინივით ადგას ექვსი თმა,
კეფა კი უგავს უდაბნოს ხახას.
დასის წევრები ვაკუუმში მიაბიჯებენ
ხალხის თვალებში, ტაშით, ღრიალით,
დიდაქალაქი ტერმიტივით აქტიურია...
იქნებ, მითია ეს ყველაფერი?

II

ახლა შავი ტბა იზიდავს ყველას,
ხოლო სამოთხეს ბურუსების მირაჟი ფარავს.
იქნებ, აწვალოს ერთმა კითხვამ ასი წლის შემდეგ
ჩვენი სულების საშინელი სიცარიელე:
„შთამომავლობამ თუ გვაპატია?“
მოთხოვნილება იზრდება გმობის.
ვერ ნახა ნოეს კიდობანმა ნაპირი ვერსად!
რა სიზმარია, რა ბოდვაა ეს ყველაფერი?
ცხოვრება. მასში ყველაფერი ეტევა. თვითონ
შერყევა; ხალხის ჯგუფი ქუჩაში.
მიდის შეტევა „ძვირფას“ სახლზე. არ არის ტევა.
„ნემსის ადგილი? ხალხია, თუ ხორცის მანქანა?!“
ვიღაც დედაბერს შეუწუხდა ბებერი გული.
„მას აქ რა უნდა? ასს იქნება გადაცდენილი!“
– ხალხის თვალები ნიშანია კითხვა-ძახილის.
ვნებათაღელვა, რომ მათუსალას
აღარ შეევსო რამდენიმე ზედმეტი გოჯი.
„ვაიმე, გვკლავენ! – ისმის კივილი
– გვაქცია ცოცხალ გვამად მაქციამ!“
ახალი გვამი: – „შევა“ უკვე ისტორიაში
შევა და მეტიც, ის იქაა დღეიდან, როგორც
უდიდებულეს გვამთა ელიტა.
განხეთიქლების ვაშლებს ვინ ისვრის?
მექორწილეთა ბნელ სულებში რად ყრია ქვები?
ყველა ქვა არის ღრმად უსაქმური,
საფლავის თლილი ლოდების გარდა!
რაში კი ფრთხება გერბზე, ხარხარებს,
არ ტოვებს აღარც ნაქალაქარებს.
თუ ქაოტური მოვა დღეები,
დედაქალაქის მებაღეები გამეფდებიან
და მომავლის შიშს დაზაფრულ სახის გალერეები
და შავ-წითელი ღელეები მოადგებიან.
„ტაში, გვირგვინი ეშმაკის სიცილს!“

III

ამას ვინ ამბობს? საიდუმლოა!
ჩლუნგების ტვინში ვინ ჩააქრო სინათლე? მიწამ.
ხალხი და თალხი.
რა ახლო არის ერთმანეთთან ეს ორი სიტყვა!
აქ ყველგან უნდათ გაშლა კარავის,
აქ მოდუნება უნდა არავის.
გადაყამირდნენ და დაიბზარნენ
მიწები შავი, უხნავ-უთესი.
უსათუთესი განა მხოლოდ მომავალია?
სული წარსული? მას ვეტყვით რაღას? ბრბო დათარეშობს!
ერბო და ქილა ნუთუ გლეხკაცის, დაიჯერება?
საგიჟეთია ადგილი, სადაც უჯრედები დახტუნაობენ!
ნება დინების, მომლოდინეა ძუ ეშმაკის მოლოგინების.
ბილწი და ტვინში გაწბილებული სურვილი ხალხის;

იგი ოთხკუთხა სივრცეში ხვრეტს ხალხს და უფლებებს.
აქ აღარ ცხრება არც ცხოვრება ციხის ცხაურის:
„მინდა ღრიალი, გნიასი და აურზაური!“
პირდაპირ დღისით, მზისით. თბილისი
– იგი სატახტო ქალაქია საქართველოსი, ხომ არ მეშლება?
ძველია იგი და საყვარელი, მაგრამ ხანდახან
მისი არია საზიზღარია. როცა სიმღერა
გინდა, ნუ გვიყეფ, ჯობია, ჩუმად იყო მუნჯივით.
იქ, სადაც ძაღლის თავი მარხია,
ყველგან ქაოსი და ანარქია.
ლოდინი ღამის, ნადირობის ბოროტი დროა,
ანდა ლოდინი ღამის, რომ ეგებ სახლში შეასწრონ
დაღმეჭილ წყვდიადს; იგი არაფერს მათ არ პირდება.
წითლდება ღამე; სისხლი, ასფალტი, ფეიერვერკი,
რომლებსაც თურმე რა უხარიათ, იცის არავინ.
რა ზღაპარია, აბატ ფარიას ეძებენ აქაც.
ყველას იოლი გამდიდრება უნდა, აბა რა,
თვით „წმინდანებსაც.“ აშმორდა მიწა, სულ დაჭაობდა!
რამდენი ხალხი დაობლდა და კვდება რამდენი,

IV
ოცნებებიც ხომ სულ დაობდა, კვდება თაობა,
პური, სკამები, სანახაობა, ეს ყველაფერი
არარაობა! ყველა ლომია, ყველგან ომია.
სველი ნოემბრის „თავისუფლება“
– ადამიანთა საცხოვრისი ქუჩის გუბეა!
ზღვის დონემ ტვინთა კიდეები გადმოამსხვრია
და ემუქრება გადალეკვით კაცობრიობას.
აქ ყველამ იცის ყველაფერი, ბრიყვი ბრძენია,
ბრძენი დამუნჯდა, თარეშობენ ბრძენი ბრიყვები.
ხვალ რა იქნება, это тайна; დრომ ყველა გააინშტაინა.
მაგრამ განდეგილ უჯრედს მობეზრდა,
რომ დრომ იქ, სადაც მისი მსგავსნი დახტუნაობენ,
ამება ამეფა.
ხანდახან მიწას ბილწავს „ცოცხალი,“ დამყაყებული
მიწის სიდამპლე, ჩაბუდებულა რომელიც შეშლილ,
ახალგაზრდა და უკვე ბებერი,
ღრმა ნარკომანის გადმოკარკლულ თვალთა სიღრმეში.
„მგონი, ეს კაცი ნარკომანია.“
სადაა ნამდვილი სიცოცხლის ნდომანი?
იქნებ, საჭიროა ნოეს კიდობანი?
ქუჩაში ყრია „ბაიანები.“
შენობა. მრგვალი სახურავი. საყოველთაო
დგანან ქალები ეტიკეტით: „მე ვიყიდები“
და მათ სიმძიმეს ვერ უძლებენ გზები, ხიდები.
ბინდდები თვალო, მათ შემხედვარე.
„თუკი არსებობს ფული, ვალუტა,
ჩვენთან სიძულვილს ესაქმება აღარაფერი.“
– ამას სიშიშვლე და გამოხედვა ამბობენ მათი.
თვალებს უნახავთ ფრიალი კაბის,
მტკიცე უარი, პენუარი საყოველთაო.
„სიძვირე აღარ გამიგია მისი მეძავო!“
 ფრთხვინავენ ჯიბეგახვრეტილი და მარტოხელა,
უკმაყოფილო კაცთა ჯოგები.

V

პასუხი – ხვრეტა ბაყაყური, გრძელი თვალებით –
„მეძავო? თქვენ... თქვენ? რა გსურთ ნეტავო?!“
ჯიბე კაკვების, გახვრეტილი და კარიელი,
ყეფს ქოფაკივით, მას უნდა მწვანე თავი ფრანკლინის
– მაღალი რანგის მაკულატურა. იგი არ არის.
მეორე მხარეს, იმ ქალაქში, არის ბაზარი, აქ ყველაფერი
არის საზარი, აქ გლოვის ზარი ნამდვილია, ხელშესახები.
აქ თქვენ იყიდით დაუთრგუნავ სინდისს იაფად,
ნაღდია, წმინდა სისხლის, ქართული, ორიგინალი.
იმდენად ნაღდი, ვერ ახდი ფარდას. რა ღირს? ძვირია,
2 კონა ღირს 15 თეთრი.
„სადაც არ არის ევოლუცია, იქ საჭიროა რევოლუცია!“
– კივის იმპულსი ჩახლეჩილი ხმით და მიკროფონში.
„რევოლუცია კარიელი ხელებით? არა!“
– თავს ეჭვით აქნევს მთელი მსოფლიო.
120 მაგრამ ვინ კდება, არავინ იკის,
– აქ ტაშს უკრავენ ეშმაკის სიკილს.
იხსნება სიტყვით ყველაფერი, მაგრამ ყველაფერს
არა აქვს ახსნა. ასამართლებს თვით მოსამართლეს
ვინმე სოფისტი და სიმართლეა უარყოფითი.
„რატომ ვუსმინოთ ორატორ სოფისტს,
თუ მის სიმართლეს კრემლები მოსდის?“–ისმის გარშემო.
(მე რომ იქ ვიყო, აუცილებლად გამიგიჟებდნენ სმენას
სპაზმები)
„ჩვენ რომ არ ვკხოვრობთ სომალიში, კარგია, მაგრამ
ის აღარ მოგვწონს, რომ ვართ ასეთ სქართველოში!“
მიდის უწყვეტი ტრანსლაკია, ჰალსტუხიანი
მაქკია არის გმირი მთავარი, გაფითრებული,
ხმაჩაწყვეტილი, თავაწყვეტილი. გამოაღვიძა
მან ხალხი, მაგრამ ღრმად დააძინა ამავე დროში.
ბრმებს თვალის ჩინი უბრუნდებათ, მაგრამ ბრმავდება
სინათლე თვითონ. ჯერ აჩრდილივით დაიარება
ფურკილი, სადაკ „შევა“ შევიდა, გიორგობისთვის
გასცენარება იწერებოდა მხოლოდ ზევიდან.

VI
სინათლეს იძენს თვალი სიბრმავის და ყაჩაღდება
ყვავილიკ თვითონ. დაიტაკცეს და გაატირაჟეს
უკვე უჟმური მირაჟები ერმიტაჟისთვის.
ჩნდება გაზეთი თავის მსხვრევად ქალაში, მისი
ტირაჟი ოთხი მილიონია, სათაური კი –
„წრე-წელიწადი წითელი წვიმის.“
განხეთქილების მაკდურ ვაშლთა წიოდა წვიმა!
თავისუფლება ჯიბემძიმეთა ხვედრია მხოლოდ?
ფრინველებს რატომ ეჯიბრება ადამიანი?
სადაკ კი გინდა გადაფრინდი და საიდანაკ
გინდა, მოფრინდი, „დემოკრატია“ სრული და სველი.
შავო მანტიავ, მოსამართლის, რა დაგმართნია?
სრული უფსკრული.
ვერკლის ბრჭყვიალი გააუკუნეს განგებამ, სივრცემ,
დრომ, საუკუნემ. გაუკნაურდა ყვილაფერი.
დედები შვილებს დაარიგებენ: „ეკადე, იყო საამაყო და
აღარ დანაყო წყალის წყალობა.“ მათ კი ესმით და არ
იგებენ.
„გაჩერებაზე გააჩერეთ დროებავ, ვითხოვ!“
ბოხი ხმით ამბობს უნაზესი ვინმე გოგონა.
ამოყირავდა დედამიწა, მიმართულება
დაკარგა სქესმა. ტვინი აშუქებს კხოვრების სურათს;
სურათში კურავს არქივი ძველი და მომავალი
დამხრჩვალი ურვის. იგი გავს ტირანს და ყვილაფერი
ეძლევა ტირანს, საწყალს კი არ აქვს აღარაფერი,
არ ჩანს ნაპირი, ხორკი იხრჩობა!
სული გაფრინდა ზღაპრიდან სადღაკ, ახლა კი ფართხალს
დაიწყებს ჩონჩხი, დარჩა რომელიკ მარტო და მშრალი
უდაბნოსავით! აქ თავად ქუჩა ერთი კაკია
და ამ კაკს ტიტველ ტანზე აკვია გაუგებარი რეპუტაცია.
კაკმა არ იკის, დაკენკილი სახე აქვს რატომ.
მას გაუჭირდა და დაუჩირდა ღვიძლი, ფილტვები,
ძრავა, მუხრუჭი. თვალის გუგებზე, შიგნით, კედლებზე
მას ახატია ხურდა ირემით. კაცური სახე გაუსახურდა,

VII

გადატკეცილი კანი გახუნდა, ხუნდად ქცევია
თავი თავისი, უმართავია, გაუმართავი.
მისი სახატე გააპარტახეს. საწყალი, მაგრამ
ამაზრზენია, გათავებია ვაზნები გულის,
ის თოფულია მოსიარულე.
ისტორიული ბუტურია სიტყვა ყოველი.
ტირის თავის თავს (იქ თითილი აქვს, თუ მოუკიდებ,
თეთქავს და აღარ ხდება გაქრობა უკვალოდ მისი)
თავში გუგუნებს საუკუნე, თავზე ეტყობა
ღრმა ნაკვალევი ძვირი თეხსაკმლის,
ხალხს სულიერი არსებობის! ხსნა არსაიდან!
უფრო უნდება აგუგუნება და ვერ ახერხებს
და ამაზრზენი, ყელში კივილად გადაქცეული,
ის ეხეთქება საკუთარ ხორხის უგრძეს კიდლებს,
როგორც აფთრების ღამეული ხარხარის ექო!
122 აუდაბნოებს წვიმის წვეთებს ეს ყოველივე!
მათი გვალვა კი აშრობს ყველა აორტის თეთქვას,
რომ დაიღვაროს კრემლჩქერები პარალელურად,
უამრავი და უბოლოო, უსაზღვროდ, როგორც
მიწას ბილწავენ ბოროტების მსახურნი მარად!
მათი ნაწილი გულს აურევს მხილველს ნიანგთა,
ნაწილს ერქმევა კრემლი სინაზის,
უწმინდესია და ხალასი, რადგან ისითი
სველია, როგორც პოეზია, როცა ასკდება
მლაშე სითხე შვლის ნუკრის თვალებს!
გაჭამათმავლდა ნაწილი ხალხის, გამამათმავლდა,
გაქვეწარმავლდა, ახლა ისინი
შუქნიშანივით სამთვეროვნად გაანათებენ!
სად არის მწვანე და ყვითელი? შავი და თეთრი!
მესამე ფერი სისხლისთვერია. გაშუქნიშანდა
ხალხი რატომღაც; რომლის დროც მოვა, ის
გაბრწყინდება.
თუმცა, თვერებშიც უცხო არის უმკირესობა;
კისა და ვარდის ალტერნატივას
ერიდებიან ტრადიციები აქაც კეთრივით.

VIII

არვინ იცის, კაცი ქალია, ქალი კაცია, თუ სენსაცია.
არქაულ ერას ეთქვიფვება მთელი სამყარო;
ქათმები ღრუბლებს შეეზილნენ, არწივები კი
ემსგავსებიან არქეოპტერიქსს.
ფვეთქავს სურათი; იარაღიან ორფვეხს უჩერებს
ავტომობილი. გაღიმებული ბიჭები შიგნით.
ისმოდა ყეფა: „საბუთები ლაწირაკებო!“ ბიჭებმა: „რაო?“
„დოკუმენტები პირუტყვებო, დოკუმენტები!“
„რა დოკუმენტი, დოკუმენტი თვითონ გვაჩვენე!“
„გეყოფა ბიჭო – შიგ კეფაში უჩურჩულებენ
ამის წარმომთქმელს – ის ხომ სამართალდამცავია!“
(არის თუ არა ეს ფრაგმენტი ჩვეულებრივი?!)
„სამართალდამცავს“ საინტერესო გარეგნობა აქვს
– მას თვალები აქვს ისეთივე პატარა, გონჯი
და უმეტყველო, როგორც აქვთ ღორებს,
მაგრამ მათში ხომ ანტარქტიდა ეტევა მთელი?!
დინგში – თავები, ერთი-ორი დასტა ფრანკლინის
(დაუბჩენია როცა იგი მას ნაპრალივით)
ახალ ერაში მას სული აქვს პითეკანთროპის,
სული კი, სული – ავადმყოფის (რა გვეშველება?!)
მისი ეშვები, რომელიც არ ჩანს,
საკუთარ პატრონს მხრებზე უჭამს უხილავ სფეროს.
ის უგრძნობია, როგორც პოლუსი.
„ბიჭო, გადმოდი მანქანიდან!“
– მომღიმარ ბავშვებს იარაღი უყეფს რატომღაც.
„დღესასწაული არის დღეს ხომ წმინდა გიორგის,
კარგი, არ გვინდა, ნუ ვაწყენინებთ.“
– კარის გაღების ხმამ თქვა ეს სიტყვა,
ლითონის კარის ჩხაკუნი კი ეავტორება
დიდ ტრაგედიას. დამყაყებული ტვინი დაფრთხა
და თითს უბრძანა, სახლეტს გამოკრას
და ბიჭი, ასე მომღიმარი, იქ გაისტუმროს,
სადაც, ვინ იცის, გამგზავრება როდის ეკუთვნის?!...

IX
უბოდიშოა სკენა იგი იმ სიზმარივით,
რომ არა და არ მოუწვევიათ! უბოდიშოა ეს ყველაფერი!
აი, აირში ტყვია მიელავს,
ის ტკბილ ნოემბერს ემორიელა.
მსხვერპლის გვარზე კი გვაგონდება „გველის პერანგი.“
ეჰ.
რკინას პატრონი გაუთიშავს და ორი რამე
უჩუქებია მისთვის ოდითგან:
ეს სიბრმავეა და აღმართის მლეწავი ძალა,
რომელიც უკვე დაღმართში გდია ტვინდანთხეული
– დაღმართი მოდის აღმართის შემდეგ!
უფრო გრძელია ეს დაღმართი, ვიდრე აღმართი,
რადგან უფსკრულში უჩინარდება,
სადაც ყოველთვის ბინადრობენ მონის მონები
– ძენი კაენის, ეთქვიფლებიან ეშმაკს რომლებიც!
124 ამ შემთხვევამ კი ბევრი უჯრედი დაამეგობრა
ეს გაფრქვეული უჯრედები დაამეგობრა,
გაანათა და ათქმევინა: „რა ამაზრზენი ფრაგმენტია!
ორჯერ დახვრეტა, ან ასწლიანი პატიმრობა
რამდენიმეჯერ,
ხვეტა სიბნელის, ცოფიანი კოცნა კოცონის,
იყოს წყეული სიკვდილივით, უხროტინებდეს
ტვინი და ძვლები, უყარდეს გვამი, უღვთო, უმადლო,
ორიათასი წლის ცხედარივით, თავს რომ ვერ აღწევს
თეთრი მეტალის სამარადისოდ წყეულ განაჩენს
– თავის დახრჩობის დამპალ არჩევანს!
თუკი მოკვდება, გააცოცხლეთ, რათა დატანჯოს
ათასწლოვანმა ბლაგვმა სპაზმებმა!“
„არსებობს რამე ამის შემდეგ?!“ – ამბობდა ხალხი.
ხალხს უკვე აღარ უმღერიან „გიხაროდენო,“
რადგან იციან, ვერ მიხვდება, რას გულისხმობენ.
სადღაც არაკებს ალაპარაკებს ლაპარაკების გაარაკება.
„ბედი მომე და გადამაგდე თუნდაც ნაგავზე!" – ოქრომ
თქვა. ყვილამ იცის ყვილათერი, ბრიყვი ბრძენია,
ბრძენი დამუნჯდა, აქ ბრიყვს საუნჯე თავში გაუჯდა.

X

ხვალ რა იქნება, это таина; დრომ ყველა გააინშტაინა.
რა ფრაგმენტია აი კიდევ დედაქალაქში
– ერთ ლამაზ, მრავალსართულიან სახლს პერსპექტივა
აქვს პიზის კოშკის, შიგ მოფუთფუთე მატრიოშკების
მიერ ნაყიფი, ჩასვრილი სიტყვის:
„აი, გოდოლი ბაბილონისა!“
ყიფენ და ყიფა ეშხიფენება ფანტაზიაში
უკვე დამსხვრეულ წარსულის კედლებს,
სადაც წარსულის სული ჩაკლეს, დგამენ სპექტაკლებს.
შიგნით შესული ლაპარაკობს ყვილა სხვა ენით,
კოკხლდება თითქოს ძველი კაენი.
ჭრელია ხალხი, კისარტყელა – მისი სახელი.
ამ სახლში დოღიკ იმართება, სიტყვების დოღი,
ფსონი დიდია, შედეგი გონჯი და კეკლოვანი.
 იქ, ბაბილონის უნგრევ გოდოლში, ბუდე აქვთ მახინჯ
კომპრაჩიკოსებს. მათ გამოუშვეს ბოთლიდან ჯინი, 125
დაარქვეს „ჩვენი ბენჯამენი“ და იმის შემდეგ
ინიღბებიან ჭაობისფრად. ქაჯეთის კიხე
ნოემბრის წვიმებს ვეღარ უძლებს, ეთხრება ძირი!
მაგრამ სახელად ჯერაკ ქვია აუღებელი...
ტრანსპარანტები მეტყველებენ: ბლა ბლა... აბსურდი.
ნება დემონებს ემონება, ხელი და სული
კარიელი აქვს შეშლილსახიანს. კარიელია
შიშველი მთვარის ზედაპირივით. ქუჩა, მიტინგი;
უჭერენ მისი მარწუხები გაოფლილ ქუჩას.
 ჩხვლეტა, ეკალი, მგონი, ახლა ქუჩა გასკდება!
სიტყვა მფრინავი, კხელი, ვრკელი, ყოვლისმომცველი:
„აღარ უსმინოთ სიტყვას სოფისტის, ეგ აღა უნდა
ავადმყოფის ტვინს, აი, ნაყოფი გიორგობისთვის,
ხელს ნუ გაიწვდენთ კრუ ნაყოფისთვის,
თქვენივე თავის უარყოფისთვის!“ ქუჩა გასუქდა;
ბევრი ხალხია და ღრუ ღრუბლებს ღრიალი ანგრევს:
„აქ ეკალია ჩვენი ძმა და ჩვენი ძმობილი!"
(აქ თვითონ მნათობს აცვია თალხი)

XI
პამ, პიმ, პიმ, პომ, პუმ – ასიგნალიებს ავტომობილი,
მაგრამ ამაოდ – არ იძვრის ხალხი!
არარატს ბრმიები დაიძიბინ. ტრანსპარანტიები
ვიღაცის შუბლზე: „ჩამოიხრჩე თავი უბიდო,
მოკვდი ძაღლივით, ხარ გომბეშო და გვილთა სენი
და საკუთარ თავს დაბადება არ გაუბედო!“
თურმე, კეთილი ყოფილა კუდი,
კუდს ვუწოდებდით თურმე კეთილებს,
არ ქვია თურმე ქართული ქუდი
სვეილი ნოემბრის პოლიეთილენს!
„შენ, საქართველოვ, ნაბიჯი წინ, ნახტომი უკან,“
– ეს უახლესი ისტორია წარმოთქვამს ასე.
ახლოა რაღაც მისისიპი, დნეპრი, ურალი,
იანძი, განგი, ტიმზა, სინა, დუნაი, ილბა,
მაგრამ ფსოუმდე უშორესი დარჩა მანძილი!
126 თუ ნისლი ძალას არ წაართმევს ოქროს მდინარეს,
თუ დრო განდევნის ფსოუს დინებას,
თვითონ დრო ჩაკლავს ხილვას ნანატრს და
სხივმფინარეს,
რომელსაც ორი მოძმე ხალხის ერთობა ქვია.
ხალხი ლაზიერს ხედავს решка-ში და სურთ, მიუძღვნან
решка-ს ფეშქაში! უტოპია; ჩვენი მასშტაბით
თბილისის ანძა ჯობია კრემლს და ეიფელს, მაგრამ
თავს იჩენს კლაუსტროფობია, ბორგავს, აწვალებს
სულს, ლაღს და დღემდე თავისუფალს, მალე ივსება
თვითმფრინავები სადღაც მიმფრენი,
კარიელია მაგრამ მომფრენი! მარათონია
მთელი ქვეყანა, გარბის ყველა და ყველაფერი,
არავის უნდა ყალბი ტახტები, ბარიერია
ყველგან, ყოველთვის, თხრილი ბინძური!
სულო ბოროტო, ვერ გადახტები და გააგრძელე
სიარული ასე ტაატით! (საათი რატომ ტრიალებს უკან?!)

XII
სკდება მყვირალა მიკროფონი, ფონი ხმელი და ნაპოვნია
გუშინწინდელი შავი პურიკით, მშრალი ნაპირი
ასვლებს სულსაკ! განხეთქილება, ვაშლი, ერიდა,
ვინ მოერიდა თავსხმად წამოსულ დამპალ ნაყოფებს?
ნოემბრის წვიმებს გადარეკხენ მოგონებები.
გიორგობისთვე თუ იტირებს კრემლით მარადის,
იგივე ცრემლი გააცილებს კუბოს კარამდის.
ქუჩა, კვლავ ქუჩა, სველი ქუჩის პეიზაჟები.
აქ დრომ ქაოსი ხალხს კვლავ აჩუქა,
აქ კივილებმა არე შეზარეს:
„ვიბარებ ბოთლებს“ „ყველანი გარეთ!“
ვიღაცას უკვირს, გასაკვირი არ არის მაგრამ
– საქართველოა...
გაერთიანდნენ: ქატოს მაგნატი, პროდასავლელი
და რევოლვერი სველი ჩახმახით
(რა ფერის რევოლუციფერია?)
ეს სამომავლოდ დაჭირდება ვინმეს? არავის.
კარვის ქალაქებს ალაგებს ხელი
მომავლის ბნელი კუთხეებიდან,
მარხავს პირდაპირ აბსტრაქტული ნაგვის სიღრმეში.
„შესანიშნავი“ სამეული ერთად არიან
და რევოლვერის სანიშნეა სპექტაკლი, რომლის
სველი ჩახმახი (ოცდაერთი კალიბრის მქონე)
ახმახმა კაცმა შემართა და არ გავარდნილა.
შეცვალა იგი ყვავილის შუბმა და მოაკვნიტა
წამახული წვერი დრაკონმა. თითო კალიბრი
ვისთვის თითო სველი დღე არის,
ვისთვის – უგრძესი საუკუნე გიორგობისთვის.
აქ სამი კვირა ოცდაერთი საუკუნეა!
აქ ყვირილებმა არე შეზარეს, მწარე მარწუხო,
რა ვუპასუხო ბობოქარ ქარებს, აბეზარ ზარებს?!
საქ-ART-ველო ხომ საქ-ART-ველოა XXI საუკუნეშიც:
„ყველანი გარეთ!“

სარჩევი

პოეტის გზა 3
ხელები..... 3
ბაღი და გველი..... 4
ნაპრალი..... 4
შეჩერებული წამი 5
კვიპაროსი 6
გზები..... 6
სათოფურები 7
მასის ხმა 7
ნისლის ჯადოში..... 8
თითების გვირგვინი 8
 იდილია 9
გამოგონილი ტაძარი 9
შენ დაბრუნდები 10
შვიდი სურათი..... 10
ტაძარში დგახარ 11
*** (გავურბი ყოველს) 11
მახსოვს შენი ხმა..... 12
მსუბუქი მიწის მოლოდინი 12
ფიქრები შენზე 13
ცივი წნელები 13
ქალი 14
სისველე..... 14
თეთრი ღამეები..... 15
აპრილის ღამე..... 16
*** (არ გინდათ) 16
მოკალი ბნელი..... 17
როცა გიყურებ 17

მკრთალი განთიადი 18
ნანგრევებიდან 18
ლურჯ-ყვითელი 19
თრობის რუ 19
ბავშვები 20
უმისამართო 20
უკან, წარსულთან 21
გუდამაყარი 21
მედროშე ძმები 22
მომოსი 22
ალის მმართველი 23
ყვითელი ხაზების კერა 24
სადაც ბრჭყვიალი ჭრის 24
ეს იყო მაშინ 25
სამუდამო ბანგი 25
ვუალები 26
გლეხკაცის სამშობლო 26
ციხე-დედამიწა 27
კარისკაცი 27
გადარეული სივრცეები 28
ეშაფოტი 28
ხვეულ კიბეზე 29
გათანაბრება 29
თაღლითი კრავი 30
შავი დოქები 30
წვიმის ბალეტი 31
დერეფნები 32
ადამის ლტოლვა 32
აღქმის ტიარა 33
***(ვინც გსურს იყავი) 33

წყურვილი 34
შერყევა 34
იქ იყვნენ ორნი 35
ბრძოლა და რისკი 36
სტიქია 36
სტიგმატები 37
სიკეთის ვენახები 37
ქალს აიადად 38
დირიჟორი 38
სიკვდილის ღამე 39
სიტყვით ნუ მომკლავ 39
ცარიელი სივრცე 40
ფიქრის მომავალი 40
ქარის წისქვილები 41
წითური თმების დაისი 42
ოქროს სიტყვეით 42
კოლაფსი 43
***(გვიანი არი არასოდეს) 43
რაც იყო,იყო 44
კლდეები ცისკენ 44
სული მეორე 45
მოჩვენება 45
ახსნა 46
წიხლი 46
ეკლის ჯაყვები 47
***(ამოიწია კრატერიდან) 47
ყოფითი გუბე 48
ორი მთა 48
შავი ზეწაი 49
ბავშვი მარამი 49

ორეულს 50
სველი სარკმლის მიღმა 50
კიბეების ნგრევა 51
სამონასტრო 52
შავი თასი 52
მევენახე 53
მეჯლისი 53
სანატრელი ქოხი 54
ირგვლივ მეფობს ისტერია 54
გულგრილობის ბაზრი 55
ჩიტები 55
ყოფის ნაყოფი 56
ლუჯი გვირაბი 56
***(უუფალოდ) 57
მტაცებლები 57
ალი ჩემი 58
მარადმწვანე 59
კლდის ქარაბზე 59
ყობის კალთები 60
ყოფის მეორე მხარე 60
ოცნების მწყემსები 61
ოდესღაც 62
ცხელი წვიმა 62
***(ხუთიათასი) 63
მარათონი 63
უტკბილესი ნაჟური ხარ 64
მდინარიდან 64
სიმღერა მთვარეში 65
უგალაკტიკო სული 65
ია 66

ბურანი 66
ხელებაწვდილი 67
სისხამი 67
დაკარგული კერია 68
თიხის მსხვრეველები 68
სალამურები 69
ილუმინატირი 69
ველური სურვილები 70
შემოქმედის საქმე 70
გადაფიქრება 71
მკლავთა დაისი 72
ცრუ ლოცვა 72
მხრები-ჰამაკები 73
აღმართი 73
მირაჯის ხვავი 74
ფიჭვის და საკმევლის სუნი 74
ბინდი 75
ოთხნი 75
არ ყოფნის მოტივი 76
მე მთელი ღამე ვწერდი 76
წითელი დაისი 77
ფოთლების ბანქო 77
ვიღაც ვიღაცას ატირებს 78
დაცემა 78
რიჟრაჟი ძალას იკრებს 79
დაშხამუსი ჟასმინი 79
ღამეთა თევის ჩვევა 80
საცეცები 80
დროს ველი,როცა 81
ფრთბი 81

კურთხევა 82
დარბაზი ქვაში 82
საილუზიო ხვავი 83
ხმელ ფიცარ ნაგზე 83
დამიმოდიოდა საქართველოში 84
ლოდი და გოდო 84
სიმშვიდე ბრძანებს 85
აღარ იმარტო! 86
ერთხელ 86
დილის სიმღერა 87
მოსასხამი 87
ღმერთი და მე 88
შავი ღრმულები 88
ეპიდემია 89
მდინარე 89
ცარიელი შარა 90
მძიმე მდგმური 90
ალკოჰოლური 91
ტრავმა 91
სხივი სიბნელეში 92
შავი ტიარა 92
ბნელი შეხება 93
ვალი იხდება არასოდეს 93
მე ის ვარ 94
ქალაქის ელფერი 94
უცხო ხმები 95
თხოვნა 96
ბრძოლა სიმართლისთვის 96
ქვეყნის ტრიუმი 97
აპრილის რწმენა 98

მოლოდინი 98
თითების ხმა 99
უსხეულოდ 99
დიხნის წინათ 100
ადამიანი-ღამურები 100
ყოფილები 100
***(ვაჟავ) 101
დილა-ქალი..... 101
მძიმედ ნაცხოვრები კაცის მონოლოგი..... 102
დაისის ზეცა 102
უცნობი შიში 103
ლოდების ქალაქი..... 103
მატერიის ბორკილი 103
უპაემანო 104
შეხვედრა..... 104
სარკოფობია..... 105
სარკის უაროფა..... 105
ლურსმნის სახრე..... 106
ბავშვთა თვალებში 106
მე გამიმართლა..... 107
ჩაძირულია ყველა გემი 107
მეფე დაკვეთით..... 107
ნუ გეშინია 108
მუსიკა..... 108
სიტყვა და კოცონი..... 108
სუნთქვის ფოთლები..... 109
გარესკნელი..... 109
ბინადარი..... 110
ბავშვის სიმღერა..... 110

წითელი ხვლიკების მარათონი 110
***(ადრე,ძველ სხვენში)..... 111
ფიქრის ტერიტორია..... 111
ტრიუმის კვამლი..... 112
ოქტომბრის დალალები 112
თაგვისფერი დარბაზი 113
დედამიწა-გვირაბი..... 113
მომავლიდან..... 113
ომები..... 114
მუხების ტევრი..... 114
***(არსად წასულხარ) 115
XXI საგიუეთი..... 117
სარჩევი..... 128

ხელმოწერილია დასაბეჭდად 00.00.2022
ქაღალდის ზომა 60X84 1/16
ფიზიკური თაბახი 9
ტირაჟი 0000

ფასი სახელშეკრულებო

შპს „გამომცემლობა ოდა“, ბათუმი, ე. თაყაიშვილის 19